

# **XXXIII**

## **რესპუბლიკური დიალექტოლოგიური სამეცნიერო სესიის მასალები**

**გორი**  
2013 წლის 1 ნოემბერი

**თბილისი  
2013**

## მუშაობის გეგმა

### 1 ნოემბერი, 11 საათი

**მისალებები:** პროფ. **გიორგი სესიაშვილი** — გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის რექტორი

პროფ. **ლალი ეზევგაია** — არნ. ჩიქობავას სახ. ენათმეცნიერების ინსტიტუტის დირექტორი

მ. ფაღავა — ექსპედიცია კლარჯელ მუჭაჭირთა შთამომავლებთან და კლარჯეთში (წინასწარი მოხსენება)

ნ. წულეისკირი — ეკოლინგვისტიკა: კვლევის შესაძლო პერსპექტივები და მიღებები

თ. ლომთაძე — ქართველ ებრაელთა მეტყველების შესწავლისა-თვის — მნიშვნელობა და პრობლემები

### I სექცია

ხელმძღვანელები: პროფ. **ა. არაბული**, პროფ. **გ. გოგოლაშვილი**

### I სხდომა, 12 საათი

- დ. ან ფიმიადი, „ბარბარეს ბარბარიზმები“ (ბარბარე ჯორჯაძის სოციოლექტი „სრული სამზარეულოს“ ენობრივი მასალის მიხედვით)
- ა. არაბული, ადრეული ქრისტიანობის ზოგი ენობრივი გამოვლენისათვის ხევსურულში
- მ. ბარიხაშვილი, ტექსტის დამუშავების პრინციპები მულტი-მედიური კორპუსისთვის
- გ. გოგოლაშვილი, დიალექტთა ფხოური ჯგუფის ხოლმეობითების თაობაზე
- ე. დადიანი, ემე ნაცვალსახელი იმერხეულსა და ტაოურში
- რ. ენოხი, რ. საღინაძე, ებიან მრავლობითში ფუძის უკვეცელობის შემთხვევები ქართული ენის დიალექტებში
- ც. კვანტალიანი, რ. ლანდია, ზმნური ფუძეებისა და თემის ნიშანთა კვლევისათვის დიალექტური კორპუსის მიხედვით

8. გ. კიკვაძე, ილია ჭავჭავაძის მოურავის მეუღლის ჩანაწერები როგორც დიალექტური ტექსტი
9. ე. ნაპირელი, ქართული დიალექტური კორპუსი — სამეცნიერო დასკვნების გადამოწმების საშუალება (-ყველების მაგალითზე)

## II სხდომა, 15 საათი

10. ი. რუსაძე, პროფ. მიხეილ ალავიძე — ლეჩეუმური დიალექტის მკლევარი (წიგნის გამოცემიდან 75 წლისთავის გამო)
11. ნ. ფარტენაძე, ქვემდებარისა და შემასმენლის რიცხვში შეთანხმების საკითხი სამხრულ მეტყველებაში
12. ნ. ფხავაძე, დიალექტურ ერთეულთა ფუნქცია ფორმულ დისკურსში
13. ხ. ყანდაშვილი, მეორე სუბიეტური და მესამე ობიექტური პირის გამოხატვა კახურში
14. ნ. შარაშენიძე, მოდალობის გამოხატვის ენობრივი საშუალებები ქართული ენის დასავლურ დიალექტებში
15. თ. შიოშვილი, გ. მახარაშვილი, კლარჯული ანდაზები
16. ნ. ცეცხლაძე, ჩვენებურთა მეტყველების ემოციურ-ექსპრესიული დახასიათება
17. მ. ცინცაძე, მ. ბარამიძე, ფონეტიკური მოვლენები კლარჯულში
18. რ. ჭიკვაძე, იოტას ფონოლოგიური განდასებისათვის
19. ნ. ჭოხონელიძე, ზოგი ზარ-ფუძიანი ომონიმური ცალების წარმომავლობისათვის
20. ნ. ჭუმბურიძე, ზმნისწინთა სიტყვაწარმოებითი დანიშნულებით გამოყენების შემთხვევები ქართულ მხატვრულ ლიტერატურასა და დიალექტებში
21. მ. ხახუტაშვილი, ზმნიზედები ქობულეთურ კილკავში (მუჰაჭირთა მეტყველების მიხედვით)

## II სექტია

ხელმძღვანელები: პროფ. პროფ. გ. ახალაძა, პროფ. გ. შენგელია

### I სტდომა, 12 საათი

1. გ. ახალაძა, ბრუნვის ნიშანთა მაქემდებარებელი ფუნქცია ზანურში
2. ს. ბერულავა, მ. ჯლარკავა, თანამედროვე ლექსიკა პროექტ „ლაზური ტექსტების ელექტრონული არქივის“ ფარგლებში მოპოვებული მასალის მიხედვით
3. მ. ბუკია, ლაზური ლექსიკის ადგილისთვის ალიო ქობალიას „მეგრულ ლექსიკონში“
4. თ. გუჩია, პერფორმატივები მეგრულში (ევროპელ მოგზაურთა ჩანაწერებისა და ქართული ეთნოგრაფიული ძასალების მიხედვით)
5. ლ. ეზუგბაია, პირველი სუბიექტური პირის ალომორფთა კი-ლოკაციები განაწილებისათვის მეგრულ-ლაზურში
6. ო. კეკელია, აფხაზეთის ისტორიული ტოპონიმიდან („ბედია“, „ილორი“, „ცხომი“//„ცხუმი“)
7. ლ. კელაურაძე, სვანიზმები მეგრულ-ლაზური ენის ლაზურ დი-ალექტსა და ქართული ენის აჭარულ, გურულ და იმერულ დიალექტებში
8. მ. კობერიძე, დარგობრივი ლექსიკა დიმიტრი ბაქრაძის „ქართლურ-კახური, იმერული, გურული, ქობულური (ჩურუქ-სული) და აჭარული კილოების მოკლე შედარებით ლექსიკონში“
9. ო. მემიშიშვი, ზოგი ნაწილაკის ფუნქციისათვის ლაზურში
10. ნ. მგელაძე, კლარჯული კარტლას (//ქართლას) მნიშვნელობისათვის

## **II სხდომა, 15 საათი**

11. კ. მითაგვარია, ლ. გიგლემიანი, ზოონიმების შემცველი ფრაზეოლოგიური ერთეულების შესახებ მეგრულში
12. ნ. ოთინაშვილი, ტოპონიმებისა და ანთროპონიმების შედარებითი ანალიზი ქსნის ხეობაში
13. მ. საღლიანი, ნეგაციისათვის სვანურ ენაში
14. მ. საღლიანი, ნ. შავრეშიანი, ლ. გიგლემიანი, მიმართებითი ნაცვალსახელების და მიმართებითი ზმნიზედების სტრუქტურული მოდელები სვანურში
15. ნ. ფონიავა, ჩელიგიური ლექსიკისათვის მეგრულ იდიომებში
16. ნ. შავრეშიანი, ქვემდებარული დამოკიდებული წინადადებისათვის სვანურში
17. ე. შენგელია, სამოსლის აღმნიშვნელი ლექსიკის ერთი ჯგუფი მეგრულ იდიომატურ გამოთქმებში
18. ვ. შენგელია, გერიშ გემახვენჯი (მიმღეობა — იდიომის ერთი კომპონენტი მეგრულში)
19. მ. ცისკარიშვილი — დიგლოსია წოვა-თუშების ქართული მეტყველების ნიმუშების მიხედვით
20. ც. ჯანჯღავა, დო „და“ კავშირი მეგრულ იდიომებში
21. მ. ჯღარჯავა, ისქენდერ ჭითაშის „ჩქუნი ჭარა“

### **კონფერენციის დასურვა**

## **XXXIII**

**რესპუბლიკური დიალექტოლოგიური  
სამეცნიერო სესიის  
მასალები**

**2013**

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის  
სახელმწიფო უნივერსიტეტის  
არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების  
ინსტიტუტი  
გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

### **XXXIII**

## **რესპუბლიკური დიალექტოლოგიური სამეცნიერო სესიის**

**მ ა ს ა ლ ე ბ ი**

**გ ო რ ი**

**2013 წლის 1 ნოემბერი**

**თბილისი  
2013**

სამეცნიერო დიალექტოლოგიური სესია გაიხსნება 2013 წლის 1  
ნოემბერს გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში

მისამართი: გორი, ი. ჭიათურავაძის ქ. № 53, I კორპუსი

რეგლამენტი

მომხსენებელს — 10 წუთი  
მსჯელობაში მონაწილეს — 5 წუთი

რედაქტორი — **გ. გოგოლაშვილი**

© არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი

## **მუშაობის გეგმა**

### **1 ნოემბერი, 11 საათი**

**მისალმებები:** პროფ. **გიორგი სესიაშვილი** — გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის რექტორი

პროფ. **ლალი ეზუგბაძა** — არნ. ჩიქობავას სახ. ენათმეცნიერების ინსტიტუტის დირექტორი

მ. ფალავა — ექსპედიცია კლარჯელ მუჭაჭირთა შთამომავლებთან და კლარჯეთში (წინასწარი მოხსენება)

ნ. წულეისკირი — ეკოლინგვისტიკა: კვლევის შესაძლო პერსპექტივები და მიღებები

თ. ლომთაძე — ქართველ ებრაელთა მეტყველების შესწავლისა-თვის — მნიშვნელობა და პრობლემები

### **I სექცია**

ხელმძღვანელები: პროფ. **ა. არაბული**, პროფ. **გ. გოგოლაშვილი**

### **I სხდომა, 12 საათი**

- დ. ან ფიმი ადი, „ბარბარეს ბარბარიზმები“ (ბარბარე ჯორჯაძის სოციოლექტი „სრული სამზარეულოს“ ენობრივი მასალის მიხედვით)
- ა. არაბული, ადრეული ქრისტიანობის ზოგი ენობრივი გამოვლენისათვის ხევსურულში
- მ. ბარიხაშვილი, ტექსტის დამუშავების პრინციპები მულტი-მედიური კორპუსისთვის
- გ. გოგოლაშვილი, დიალექტთა ფხოური ჯგუფის ხოლმეობითების თაობაზე
- ე. დადიანი, ემე ნაცვალსახელი იმერხეულსა და ტაოურში
- რ. ენოხი, რ. საღინაძე, ებიან მრავლობითში ფუძის უკვეცელობის შემთხვევები ქართული ენის დიალექტებში
- ც. კვანტალიანი, რ. ლანდია, ზმნური ფუძეებისა და თემის ნიშანთა კვლევისათვის დიალექტური კორპუსის მიხედვით

8. მ. კიკვაძე, ილია ჭავჭავაძის მოურავის მეუღლის ჩანაწერები როგორც დიალექტური ტექსტი
9. ე. ნაპირელი, ქართული დიალექტური კორპუსი — სამეცნიერო დასკვნების გადამოწმების საშუალება (-ყ ელემენტის მაგალითზე)

## II სხდომა, 15 საათი

10. ი. რუსაძე, პროფ. მიხეილ ალავიძე — ლეჩეუმური დიალექტის მკლევარი (წიგნის გამოცემიდან 75 წლისთავის გამო)
11. ნ. ფარტენაძე, ქვემდებარისა და შემასტენლის რიცხვში შეთანხმების საკითხი სამხრულ მეტყველებაში
12. ნ. ფხავაძე, დიალექტურ ერთეულთა ფუნქცია ფორმულ დისკურსში
13. ხ. ყანდაშვილი, მეორე სუბიეტური და მესამე ობიექტური პირის გამოხატვა კახურში
14. ხ. შარაშენიძე, მოდალობის გამოხატვის ენობრივი საშუალებები ქართული ენის დასაგლურ დიალექტებში
15. თ. შიოშვილი, გ. მახარაშვილი, კლარჯული ანდაზები
16. ნ. ცეცხლაძე, ჩვენებურთა მეტყველების ემოციურ-ექსპრესიული დახასიათება
17. მ. ცინცაძე, მ. ბარამიძე, ფონეტიკური მოვლენები კლარჯულში
18. რ. ჭიკვაძე, იოტას ფონოლოგიური განდასებისათვის
19. ნ. ჭოხონელიძე, ზოგი ზარ-ფუძიანი ომონიმური ცალების წარმომავლობისათვის
20. ნ. ჭუმბურიძე, ზმნისწინთა სიტყვაწარმოებითი დანიშნულებით გამოყენების შემთხვევები ქართულ მხატვრულ ლიტერატურასა და დიალექტებში
21. მ. ხახუტაიშვილი, ზმნიზედები ქობულეთურ კილოკავში (მუჰაკირთა მეტყველების მიხედვით)

## II სექცია

ხელმძღვანელები: პროფ. პროფ. გ. ახალაძა, პროფ. გ. შენგელია

### I სხდომა, 12 საათი

1. გ. ახალაძა, ბრუნვის ნიშანთა მაქვემდებარებელი ფუნქცია ზანურში
2. ს. ბერულავა, მ. ჯლარკავა, თანამედროვე ლექსიკა პროექტ „ლაზური ტექსტების ელექტრონული არქივის“ ფარგლებში მოპოვებული მასალის მიხედვით
3. მ. ბუკია, ლაზური ლექსიკის ადგილისთვის ალიო ქობალიას „მეგრულ ლექსიკონში“
4. თ. გუჩუა, პერფორმატივები მეგრულში (ევროპელ მოგზაურთა ჩანაწერებისა და ქართული ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით)
5. ლ. ეჭუგბაია, პირველი სუბიექტური პირის ალომორფთა კილოგაური განაწილებისათვის მეგრულ-ლაზურში
6. ო. კეკელია, აფხაზეთის ისტორიული ტოპონიმიდან („ბედია“, „ილორი“, „ცხომი“//„ცხუმი“)
7. ლ. კელაურაძე, სვანიზმები მეგრულ-ლაზური ენის ლაზურ დიალექტსა და ქართული ენის აჭარულ, გურულ და იმერულ დიალექტებში
8. მ. კობერიძე, დარგობრივი ლექსიკა დიმიტრი ბაქრაძის „ქართლურ-კახური, იმერული, გურული, ქობულური (ჩურუქ-სული) და აჭარული კილოების მოკლე შედარებით ლექსიკონში“
9. ო. მემიშიშვი, ზოგი ნაწილაკის ფუნქციისათვის ლაზურში
10. ნ. მგელაძე, კლარჯული კარტლას (//ქართლას) მნიშვნელობისათვის

## **II სხდომა, 15 საათი**

11. ქ. მითაგვარია, ლ. გიგლემიანი, ზოონიმების შემცველი ფრაზეოლოგიური ერთეულების შესახებ მეგრულში
12. ნ. ოთინაშვილი, ტოპონიმებისა და ანთროპონიმების შედარებითი ანალიზი ქსნის ხეობაში
13. მ. საღლიანი, ნეგაციისათვის სვანურ ენაში
14. მ. საღლიანი, ნ. შავრეშიანი, ლ. გიგლემიანი, მიმართებითი ნაცვალსახელების და მიმართებითი ზმნიზედების სტრუქტურული მოდელები სვანურში
15. ნ. ფონიავა, რელიგიური ლექსიკისათვის მეგრულ იდიომებში
16. ნ. შავრეშიანი, ქვემდებარული დამოკიდებული წინადადებისათვის სვანურში
17. ე. შენგელია, სამოსლის აღმნიშვნელი ლექსიკის ერთი ჯგუფი მეგრულ იდიომატურ გამოთქმებში
18. ვ. შენგელია, გერიშ გემაზენჭი (მიმღეობა — იდიომის ერთი კომპონენტი მეგრულში)
19. მ. ცისკარიშვილი — დიგლოსია წოვა-თუშების ქართული მეტყველების ნიმუშების მიხედვით
20. ც. ჯანჯღავა, დო „და“ კავშირი მეგრულ იდიომებში
21. მ. ჯლარჯავა, ისქენდერ ჭითაშის „ჩქუნი ჭარა“

### **კონფერენციის დახურვა**

ა ვ თ ა ნ დ ი ლ ა რ ა ბ უ ლ ი (თბილისი)

## ადრეული ქრისტიანობის ზოგი ენობრივი გამოვლენისათვის ხევსურულში

არქეოგრაფიულ-არქეოლოგიური წყაროები მიანიშნებს, რომ ისტორიული ფხოვის ტერიტორიზე საუკუნეების განმავლობაში მიმდინარეობდა ქრისტიანული რწმენა-წარმოდგენების დამკვიდრების საქმაოდ არაერთგაროვანი პროცესი. კერძოდ, აქ აშეარად ჩანს ადრეული პერიოდის ქრისტიანობის პირდაპირი თუ ირიბი ნაკვალევი, ხოლო შუა საუკუნეებისათვის ასეთი აქტივობა საკმაოდ შემცირებული ჩანს.

ვვარაუდობთ, რომ ამ რეგიონის დიალექტებში სწორედ ადრეული ქრისტიანობის გარკვეული ნიშნები უნდა იკითხებოდეს. ისტორიისათვის დაფარული, მაგრამ ლექსიკურ მონაცემებში „შენახული“ მოვლენების გასააზრებლად დავაკვირდეთ რამდენიმე ენობრივ ფაქტს:

1. **მოქრისტიანება:** ეს სიტყვა ხევსურულში „მოქცევას“ არ ნიშნავს. მას იყენებდნენ „ჭრილობის განკურნებისკენ წასვლის, მოშუშების“ აღსანიშნავად: „მოკეთდება, განკურნებას დაიწყებს (ჭრილობა)“ (ალ. ჭირჭარაული). ასეთი პოზიტიური მეტაფორული შინაარსი საკმაოდ ხანგრძლივ პროცესს გულისხმობს და, რაც მთავარია, ის არ შეიძლება წარმოქმნილიყო შუა საუკუნეების მაფრი რელიგიური ბრძოლების კვალზე.

2. **ძირაქი** — ენამოსწრებულს, ენამახვილს ნიშნავს. უეჭველია, აქ ჩვენ გვაქვს ბიბლიური პერსონის - **ზირაქის** — სახელის განზოგადება. როდის შეიძლება ჰქონოდა ძველი აღთქმის ამ არაკანონიკურ წიგნს („სიბრძნე ისო ზირაქისი“) ესოდენი პოპულარობა მთაში, რომ მისი სახელი „ბრძნადმეტყველი“ ადამიანის მეტაფორად ქცეულიყო. ამისი საფუძველი მხოლოდ ბიბლიური წიგნების გავრცელების ადრეულ პერიოდში უნდა ყოფილიყო. მით უფრო საგულისხმოა, რომ ამ წიგნისა და სახელის პოპულარობის რაიმე ნიშანი სხვა რეგიონში არ დასტურდება.

**3. ბარუქა** — ეს არის ველობი ადგილის სახელი არხოტში, სოფ. ახიელთან. დაკავშირებული ჩანს უძველეს სალოცავთან. „ბარუქის წინასწარმეტყველებაც“ ძველი აღთქმის იშვიათი, ასევე არაკანონიკური წიგნია. **ბარუქი** ცნობილია იმით, რომ მას უშუალოდ იერემია წინასწარმეტყველისაგან გადმოსცემია საიდუმლო ცოდნა: „და მოუწოდა იერემია ბარუქს, ქესა ნირისა და დაწერნა ბარუქმან პირისაგან იერემიადსასა ყოველნი სიტყუანი უფლისანი, რომელნი გამოაცხადნა მისდამი ქარტასა ზედა წიგნისასა“ (იერემია 36, 4). როდის შეიძლება დაეტოვებინა ამ უკიდურეს სასაზღვრო ზოლში კვალი ბარუქის ბიბლიურ ავტორიტეტს და როდის უნდა გამკრთალებულიყო ის მთლიანად, როგორც ისტორიულ-კულტურული მონაცემი, თუ არა ადრეულ პერიოდში, ვფიქრობთ, ნაკლებ საფუძველს არ იძლევა განსჯისათვის.

## ვიანორ ახალია გორი

### ბრუნვის ნიშანთა მაქვემდებარებელი ფუნქცია ზანურში

ნ. მარი წერდა: „აორისტის და კავშირებითი კილოს ფორმათა ქართულ მიცემითში (Дам. Картском) დაყენებით გამოხატება დროის გარემოებითი წინადადება: ვუბირათ-ის „როცა მის წინ წავითა-მაშებ“, მოხთან-ის „როცა ისინი მოვლენ“, ბაბი ვარ გახუნა-ის „შენ თუ ვერ შესძელი დაზავება“.“

-ის || -სი პარალელურ აფიქსთაგან -ის დასტურდება თანხმოვნის მომდევნოდ, ხოლო -სი ხმოვნის შემდეგ:

ჯუზი მოხთას-ის კაიჩქილული ვიქუმათ (ნ. მარი)

„თხილი როცა შემოდის, ნავით ვიწყებთ გადაზიდვას“

ოწედუ-სი სუმ ტორონჭი ქოგეხთუ (არნ. ჩიქობავა)

„რომ შეხედა, სამი მტრედი მოვიდა“

-ის || -სი მეორეულია; მათთვის აღსაღვენია ისი ვარიანტი, რომელიც შემდეგ ცვლილია: ხმოვნის მომდევნოდ (ამ ხმოვნის გავლე-

ნით) მოგვცა **-სი** (მოეკვეცა თავკიდური ხმოვანი **-ისი** → **-სი**), ხოლო თანხმოვნის შემდეგ გადავიდა **-ის** ვარიანტში (მოეკვეცა ბოლოკიდური ხმოვანი: **-ისი** > **-ის**). ისინი უპირატესად ათინურში იხმარება, ნაწილობრივ ვიწურშიც.

6. მარი საგანგებოდ აღნიშნავდა: აორისტის III პირის ფორმისაგან ნათესაობითში ბრუნვის სუფიქსის (**ში**) მეშვეობით ვიღებთ ხოლმე წარსული დროის მიმღეობას, რომელიც გამოიყენება გარემოებით წინადადებაში, სხვათა შორის — მიზეზისაც: ვა ნანჭუ - **ში** ნან „ვერ მიღწეული“ (ასე რომ ვერ მიაღწია).

ნათესაობითში ბრუნვის ნიშნისეული -**ში** -ს გამოყენება გარემოებით დამოკიდებულ წინადადებაში ფაქტია, ოღონდ, როგორც შენიშნავენ, ფუძისეული ხმოვნის ზეგავლენით დაბოლოება ყველგან კარგავს თავკიდურ **ი-ს**: ეს ბგერა იკარგება ნათესაობითში, მიმართულებითში, დაშორებითსა და მოქმედებითში... როგორც მხოლობითში, ისე მრავლობითში. ბრუნვის ნიშნებადაა: **-ში**, **-შა**, **-შე(ნ)**, **-თე(ნ)**, ყველგან დაკარგულია **-ი** (უნდა ყოფილიყო: **-იში**, **-იშა**, **-იშე(ნ)**, **-თე(ნ)**). (არნ. ჩიქობავა)

მაშასადამე, **-ში** ← **იში**, **-შა** ← **იშა**... ჭანურში ასეა განაწილებული: **-ში** ვიწურ-არქაბულსა და ხოფურშია, ხოლო **-შა** ათინურში. ისინი ჭანურში ნათესაობითი და მიმართულებითი ბრუნვათა ნიშნებია, რომლებიც რომ, როცა, თუ, სანამ კავშირთა ფუნქციითაც იხმარება. საინტერესოა, რომ აღნიშნული მორფემები მეგრულშიც გვაქვს, ოღონდ მხოლოდ ბრუნვის ნიშნებად და საკავშირებელი ფუნქციით არ გვხდება.

დიანა ანფიმიადი (თბილისი)

## „ბარბარეს ბარბარიზმები“

(ბარბარე ჯორჯაძის სოციოლექტი „სრული სამზარეულოს“ ენობრივი მასალის მიხედვით)

ბარბარე ჯორჯაძე მეცხრამეტე საუკუნის ქართული კულტურის უმნიშვნელოვანები წარმომადგენელია. გარდა მრავალმხრივი ლიტერატურული და საზოგადოებრივი მოღვაწეობისა, საინტერესოა მისი დამოკიდებულება ქართულ ენასთან, როგორც კულტურულ მოვლენასთან, მისი მნიშვნელობის გააზრება და საკამათო, თუმცა უაღრესად საინტერესო მოსაზრებები ენასა და მეტყველებასთან დაკავშირებით.

ამჯერად ბარბარე ჯორჯაძის ერთ მნიშვნელოვან, შეიძლება ითქვას, ენციკლოპედიურ შრომაზე, „სრულ სამზარეულოზე“ შევჩერდებით, რომელიც ქართულ ენაზე გამოცემული პირველი, სრული სახის კულინარიული სახელმძღვანელოა თავისი ყველა მახასიათებლით.

გარდა ვიწრო, პროფესიული მნიშვნელობისა ეს წიგნი საინტერესოა, როგორც ეპოქის ენობრივი, კულტურული, ეთნოგრაფიული სურათი, რადგანაც კულინარია ადამიანის ერთ-ერთ უმთავრეს ინსტიქტთან დაკავშირებული დარგი, კარგად წარმოაჩენს ენის, როგორც კულტურის, სპეციფიკასა და სახეს.

ბარბარე ჯორჯაძის „სრულის სამზარეულოს“, ავტორის სხვა ნაწარმოებების თუ პირადი მიმწერის, მისი თანამედროვე ავტორების ტექსტების პარალელური ანალიზის, მეცხრამეტე საუკუნის პრესის ენის სპეციფიკის გათვალისწინებით, ვცადეთ, გამოვლენალებინა ბარბარე ჯორჯაძის ამ კონკრეტული ტექსტის ინდივიდუალური მახასიათებლები, ენობრივი ნიშნები, როგორც მორფოლოგისა თუ სინტაქსის, აგრეთვე, განსაკუთრებით სემანტიკისა თუ პრაგმატიკის კუთხით.

ბარბარე ჯორჯაძე ამ შესანიშნავი ტექსტის დანიშნულების შესაბამისად პოულობს ერთგვარ სოციოლექტს, რომელიც შეიცავს მეცხრამეტე საუკუნის ქართული სალიტერატურო ენისა და დიალექტების მახასიათებლებს, უცხო ენიდან შემოსულ ლექსიკას თუ კონ-

სტრუქციებს, მისი ენა ერთგვარი მედიუმია მეცხრამეტე საუკუნის სხვადასხვა ფენას შორის კომუნიკაციისათვის, ერთნირად გასაგები ქალაქელი ხელოსნისა თუ პროგინციელი არისტოკრატისათვის.

ბარბარე ჭორჭაძის ენა, ერთგვარი სოციალური და კულტურული მოვლენაა, ეპოქის სულის ანარეკლი.

## მაია ბარისაშვილი (თბილისი)

### ტექსტის დამუშავების პრინციპები მულტიმედიური კორპუსისთვის

მულტიმედიურ კორპუსებში ტექსტების რამდენიმე ვერსია გამოიყოფა:

- ხმოვანი
- წერილობითი
- შერეული

მულტიმედიური კორპუსის შესაქმნელად ქდკ-ს (ქართული დიალექტური კორპუსის) ბაზაში შექმნილია ტექსტური კოლექციის პარალელური ვერსიები, რომელთაგან ერთი ქდკ-ის ბაზისთვისაა საერთო წესებით მომზადებული, მეორე კი ქმნის ბაზას თანამედროვე ტიპის ზეპირი (მულტიმედიური) კორპუსისათვის.

პროექტ „საქართველოს ლინგვისტური პორტრეტის“ ფარგლებში დიალექტური ტექსტები ჩაწერილია სხვადასხვა მეთოდოლოგიით, მეტატექსტური და ლინგვისტური მახასიათებლების სხვადასხვაგვარი ფიქსაციით, განსხვავებული ტექნიკური საშუალებით. მოპოვებული აუდიო და ვიდეომასალა უნიკალური საშუალებაა ზეპირი მეტყველების შესასწავლად.

ტექსტებში არსებული ინფორმაციის სტრუქტურირებისას გამოიყოფა კომუნიკაციისათვის ღირებულების მქონე ელემენტები — ლინგვისტური და პარალინგვისტური მარკერები, რომლებიც სხვადასხვა სტრუქტურის მქონე ენებში განსხვავებული ფორმალური სა-

შუალებებით ხორციელდება და ნებისმიერ ენობრივ დონეზე შეიძლება იყოს რეალიზებული (რ. ასათიანი).

ტრანსკრიბირების წესების, მარკირებისა და ტერმინების შესახებ სამეცნიერო ლიტერატურაში აზრთა სხვადასხვაობაა. ჰეზიტაციური აღწერა, ფალსტარტების მარკირების პროცესი მეტ-ნაკლებად განსხვავებულია.

მოხსენებაში თეორიულ საკითხებთან ერთად წარმოდგენილი იქნება ფრაგმენტები იმ ტექსტებიდან, რომლებიც მულტიმედიური კორპუსისთვის არის გამზადებული.

## სოფიკო ბერულავა, მარინა ჭლარკავა (თბილისი)

### თანამედროვე ლექსიკა პროექტ „ლაზური ტექსტების ელექტრონული არქივის“ ფარგლებში მოპოვებული მასალის მიხედვით

პროექტ „ლაზური ტექსტების ელექტრონული არქივის“ ფარგლებში ლაზეთში ჩაწერილი თანამედროვე ლაზური მეტყველების ამსახველი ტექსტების გაშიფრვისას და გადმოქართულებისას სიძნელეს გვიქმნიდა ისეთი ლექსიკური ერთეულები, რომლებიც დღემდე გამოცემულ არცერთ ლექსიკონში არ არის დაფიქსირებული.

ცხოვრების პირობების ცვლა, პროგრესი აუცილებლად აისახება ენაში, მეტყველებაში, რადგან ენა ყოველთვის სწრაფად და მოქნილად რეაგირებს საზოგადოების მოთხოვნილებებზე. სიახლეებმა ეკონომიკაში, სოციალურ და კულტურულ სფეროებში, მათმა ამსახველმა ცნებებმა გამოიწვია ლაზურის კოგნიტურ ბაზაში შესაბამისი ლექსიკური ერთეულების გაჩენის აუცილებლობა. მთქმელები, გამომდინარე მათი სოციალური, პროფესიული, საზოგადოებრივ-კულტურული ცხოვრებიდან, ცდილობენ მეტ-ნაკლებად ისაუბრონ დახვეწილი ლაზურით, მაგრამ გვერდს ვერ უვლიან თანამედროვე ყოფითი, ტექნიკური, კულტურული და ა.შ. სიტყვების გამოყენებას, რომლე-

ბიც სარფის იქითა ლაზურში, რა თქმა უნდა, თურქულიდანაა აღებული.

ასეთ ნასესხებ ლექსიკაში გვხდებით როგორც თურქულის მეშვეობით უცვლელად შემოსულ ინტერნაციონალიზმებს, ისე თურქულის ფონოტაქტიკის მიხედვით შექმნილ ვარიანტებს.

გაგებინების თვალსაზრისით სიძნელეს ქმნის საკუთრივ თურქული, თურქულის მიერ სახეშეცვლილი ან კალკირებული ერთეულები, როგორიცაა, მაგ.: **ჩუქულეთა** „შოკოლადი“, **საკიზი** „სალეჭი რეზინი“, **ბილგისაიარი** „კომპიუტერი“, **ორგანიკი** „ორგანული სასუქი, ნაკელი“, **ქიმიასალმადღე** „ქიმიური სასუქი“, **კამიონი** „სატვირთო მანქანა“, **ჯეირანი** „ელექტრობა“.

## მანანა ბუკინ (თბილისი)

### **ლაზური ლექსიკის ადგილისთვის ალიო ქობალიას „მეგრულ ლექსიკონში“**

2010 წელს გამომცემლობა „არტანუქშა“ გამოსცა ალიო ქობალიას „მეგრული ლექსიკონი“, რომელიც მოცავს 90 ათას ლექსიკურ ერთეულს და ძირითადად ეფუძნება აფხაზეთსა (შუასოფელსა და სამურზაყანოში) და სამეგრელოში (ოდიშსა და ლაგადაში) მოძიებულ საველე მასალებს, ფოლკლორსა და ეთნოგრაფიაში შემორჩენილ, სხვადასხვა დროის ქართველი და უცხოელი ენათმეცნიერებისა და ლექსიკოგრაფების მიერ შეკრებილ, დამოწმებულ და გაანალიზებულ ზანიზმებს, ძელი ქართული ლიტერატურის ძეგლებს.

ლექსიკონს განსაკუთრებულ ღირებულებას მატებს ის, რომ შექმნილია აბეუაში, შუასოფელში, საღაც გვერდიგვერდ თანაცხოვრობენ ქართველები და აფხაზები, შესაბამისად ინტენსიურია ენობრივი ზეგავლენები ორივე მიმართულებით.

განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს ლექსიკონში დადასტურებული ლაზური სიტყვები, რომლებიც სოლიდური რაოდენობითაა წარმოდგენილი.

ცნობილია, რომ აბუუაში მრავლად ცხოვრობდნენ ლაზები. ოსახოვიას გადმოცემით, მე-20 საუკუნის დასაწყისისთვის ოჩამჩირეში ცხოვრობდა 608 მოსახლე. ამათში 26 კომლი ლაზი იყო, სამი ბერძენი, ერთი სომეხი, ერთიც პოლონელი, დანარჩენები კი — მეგრულები. შესაბამისად, გასაგებია ის გავლენა, რაც ლაზურმა მოახდინა აბუულთა მეტყველებაზე.

საანალიზოდ წარმოდგენილი ლაზური ლექსიკა რამდენიმე ნაწილად დავაჯვუფეთ:

### **1. საერთოქართველური ლექსიკა, რომელიც მეგრულში არ გვხვდება:**

**დიცენტი „სისხლი“** (გვ. 242) < ლაზ. **დიცენტი „id“.**

**ბერე / ბეე „ვაუიშვილი“** (გვ. 60, 61), **გეგე-ბერ-ი „გეგეს, წმ. გიორგის ბიჭი“** (გვ. 85), **ლულუ-ბერ-ი „ჩივილი, ყრმა“** (გვ. 383) < ლაზ. **ბერე „ბავშვი, შვილი“** (მეგრულში **ბერ[ე]** მხოლოდ გვარსახელების შემადგენელ ნაწილად გვხვდება: **ბერ-ია, გიგ-ბერ-ია, კაკუ-ბერ-ია).**

**მაგიაფი „ტურის ტაბუირებული სახელი“** (გვ. 386) < ლაზ. **მკაფუ / კაფუ „ტურა“.**

**კანტარი „სიმინდის ფოჩი“** (გვ. 353) < ლაზ. **კანტარი / კანტაი „სიმინდის კენჭერი“.**

**გენდიხური „კერძი“** (გვ. 93) < ლაზ. **გენდუხერი / გენდულერი „ლაზური საჭმელია ერთგვარი“.**

**წულუ „პატარა“** (გვ. 700) < ლაზ. **წულუ „მცირე, პატარა“**

**2. სიტყვები, რომლებიც მეგრულში გვხვდება სემანტიკის გადაწევით, ან მხოლოდ კომპოზიტის ნაწილად:**

**ნოღა „ქალაქი, დაბა“** (გვ. 526) < ლაზ. **ნოღა „id“. შდრ. მეგრ. ნოღა „მინარის გამშრალი კალაპოტი, მდინარის ტოტი“.**

**კულე „მოკლე“** (გვ. 375) < ლაზ. **მკულე / კულე. შდრ. მეგრ. ხეკულე „მოკლეხელიანი, დაავადებულხელიანი“. დამოუკიდებლად ეს სიტყვა (**კულე**) მეგრულში არ ჩანს.**

**3. ჰიბრიდული კომპოზიტები, რომლის ნაწილი მეგრულში ბოვნიერია, ნაწილი კი — უცხოენოვანი:**

**კალაგალენი „გარეციხე“** (გვ. 352) < ლაზ. **კალა** (თურქ. **kale**) „ციხე“, **გალენი** (მეგრ.-ლაზ.) „გარეთა“.

**გერმაკოჩი „ტყის კაცი“** (გვ. 96). < ლაზ. **გერმა** (თურქ.) „ტყე“,

**ქოჩი** (მეგრ.-ლაზ.) „კაცი“.

4. თურქულიდან და ბერძნულიდან შეთვისებული სიტყვები, რომლებიც მეგრულში არ ჩანს:

**გემინჯი** „მეზღვაური, გემის კაპიტანი“ (გვ. 91) < ლაზ. **გემიჯი** < თურქ. **გემიცი** „id“.

**ბიბი** „იხი“ (გვ. 62) < ლაზ. **ბიბი** < თურქ. **bibi** „id“.

**კალა** „ციხე“ (გვ. 352) < ლაზ. **კალა** / **კალე** < თურქ. **kale** „id“.

**თინჩი** „დინჯი“ (გვ. 315) < ლაზ. **თინჩი** < თურქ. **dinci** „მორწმუნება“.

**კილისა** / **კლისა** „ეკლესია“ (გვ. 265, 271) < ლაზ. **კილისე** / **ქილისე** < თურქ. **kilise** „id“.

**უნისელი** „უგნური, უგონო, შეუგნებელი“ (გვ. 613) < ლაზ. **ულნოსელი** / **უნოსელი** „id“ < ბერძ. **γνώση** „ჭკუა“.

ეს არის მცირე ნაწილი ლაზური ლექსიკისა, რომელიც აბჟუაში გავრცელებულ მეგრულში გვხვდება და წარმოდგენილია ა. ქობალიას „მეგრულ ლექსიკონში“.

გიორგი გოგოლაშვილი (თბილისი)

## დიალექტთა ფხოური ჯგუფის ხოლმეობითების თაობაზე

ცნობილი ჭეშმარიტებაა: ქართული ენის მთის დიალექტებისა-თვის დამახასიათებელია არქაული მოვლენები, რომლებიც თავს იჩენს ძირითადად ფონეტიკასა და მორფოლოგიაში. არქაულ მოვლენათა რიგში ასახელებენ ხოლმეობითობის კატეგორიას.

ხოლმეობითის მორფოლოგიური კატეგორია გვაქვს ხუთივე ფხოურ დიალექტში; მაგრამ არ არის ერთგვაროვანი ვითარება ამ კატეგორიის მორფოლოგიური გამოხატვის თვალსაზრისით. ამ მხრივ ფხოური ჯგუფი სამაღ შეიძლება დაიყოს:

ა) მთიულურში ზუსტად ისეთივე ვითარებაა, როგორც ქველ ქართულში, ამიტომ ეს შეიძლება მივიჩნიოთ ტიპიურ არქაზემად;

- ბ) მოხეურში სპეციფიკური ვითარებაა; მოშლის გზაზეა ხოლმე-ობითის ძველი ქართულისებური წარმოება; მაგრამ ფორმა-თა განვითარება ხდება არა ბარის დიალექტთა უმეტესობისა ანდა ახალი ქართული სალიტერატურო ენის მიმართულებით, არამედ -**კე** ნაწილაკის დართვით; ეს ფაქტი შეიძლება განხილული იქნეს **ინოვაციად**.

გაცილებით რთული ვითარებაა ფშაურსა და ხევსურულ-თუ-შურში: ამ დიალექტთა I და II ხოლმეობითების III პირის ფორმები ძველი ქართულისებურია და იგი შეიძლება ჩაითვალოს არქაიზმად (აკეთებდ-ი-ს, აკეთ-ი-ს...); ასე ვთქვათ, „შერეული“ ვითარებაა I-II პირის შემთხვევაში: ორგანული წარმოება რომ გვაქვს ხოლმეობითისა, ეს არქაიზმია, მაგრამ ამ ორგანულ ფორმებში -**ოდ** (ფშაურისათვის) და -**იდ** (ხევსურულ-თუშურისათვის) სუფიქსიანი წარმოება რომ გა-ჩნდა, ეს ინოვაციაა.

თუ მოხეურ დიალექტში შეიძლება საუბარი ამ კატეგორიის მო-შლის (გაქრობის) ტენდენციაზე, ამასვე ვერ ვიტყვით ფშავ-ხევსურუ-ლი ხოლმეობითების შესახებ: ხდება ამ ფორმათა მკაცრი ფორმალი-ზება; მეტიც, -**ოდ** და -**იდ** ელემენტები გამოყენებულია დიალექტთა ურთიერთგამიჯვნისათვის (ურთიერთგამიჯვნის ტენდენციისათვის იხ. ბ. ჭორბენაძე), რაც ამ ფორმებს სიმყარეს ანიჭებს.

## თამარ გუჩუპა (ქუთაისი)

### **პერფორმატივები მეგრულში**

(ევროპელ მოვალეობა ჩანაწერებისა და ქართული ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით)

პერფორმატივი, როგორც მოქმედების ექვივალენტური გამონათ-ქვამის აღმნიშვნელი ცნება, თავდაპირველად ბრიტანელი ფილოსო-ფოსის ჯონ ოსტინის შრომებში გამოჩნდა. მისი შენიშვნით, პერფორ-მატივი ისეთი სამეტყველო ერთეულია, რომელიც აუცილებლად გუ-

ლისხმობს მოქმედების შესრულებას, წარმოადგენს ან მხარეებს შორის რამეზე შეთანხმებას ან უბრალოდ რისამე დეკლარირებას. მაგალითად, კონკრეტულ სოციალურ აქტში სტანდარტული წინადაღების — „თანახმა ვარ, ცოლად შევირთო“ — წარმოთქმა ნიშნავს დაქორწინებას და ა.შ. (J. L. Austin, How to Do Things With Words, 1962). გამომდინარე აქედან, პერფორმატივების განხილვა შეუძლებელია ისეთი სოციალურ-კომუნიკაციური სიტუაციების კონტექსტის გარეშე, როგორებიცაა: ფიცი, განაცხადი, ბრძანება და ა.შ.

მოხსენებაში საუბარი გვექნება რამდენიმე მეგრულ ადათ-წესთან დაკავშირებული პერფორმატიული გამონათვების შესახებ, რომელთა ნაწილი — ქართველი ეთნოგრაფების, ნაწილი კი მე-17 საუკუნეში ევროპელი მოგზაურების მიერ სამეგრელოში იქნა ჩაწერილი.

უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენი თემისთვის საჭირო მასალის თვალსაზრისით, ყველაზე პროდუქტიული მაინც გლოვის, ნიშნობისა და ქორწინების წეს-ჩვეულებები აღმოჩნდა.

- გლოვასთან დაკავშირებული პერფორმატივი:

ოჯახის წევრები გარდაცვლილის სანაცვლოდ შეარჩევდნენ ვინმეს, მისი თვისებების მქონეს, რომელიც მგლოვიარეს წვერს (თმას) სამჯერ ჩამოკრეჭდა ყველას თანდასწრებით და ასე ხდებოდა შვილნაფიცი.

### **ფიცის ფორმულა: „შენ - მამა (დედა), მე - შვილი!“**

- ნიშნობასთან დაკავშირებული პერფორმატივი:

მე-17 საუკუნეში სამეგრელოში საკმაოდ გავრცელებული იყო ქალ-ვაჟის აკვანში დანიშნის წესი, რომელიც ასე სრულდებოდა:

ვაჟის დედა მიმართავდა თავის შვილს და მიუთითებდას გოგოს აკვანზე: „აი, შენი ცოლი!“ გოგოს დედა მიუბრუნდებოდა თავის შვილს, უჩვენებდა ვაჟს და ეტყოდა: „აჲა, შენი ქმარი! ღმერთმა გაგზარდოთ, დაგაქორწინოთ, ერთმანეთთან ბედნიერად და სიამტკბილობით გაცხოვროთ“.

ნიშნობასთან დაკავშირებული ამ პერფორმატიული გამონათვების, როგორც დალოცვის ერთგვარი ფორმულის, ორივე მხარის მიერ სამჯერ წარმოთქმის შემდეგ ნიშნობის წესი შესრულებულად ითვლებოდა და ამ აღთქმის დარღვევა მასში მონაწილე პირებისთვის დაუშვებელი იყო

- ქორწინებასთან დაკავშირებული პერფორმატივი:

საინტერესოა, რომ ჯვრისწერასთან დაკავშირებული პერფორმატიული გამონათქვამები სხვადასხვა კულტურასა თუ ეთნოსში მეტწილად მსგავსია (იგულისხმება რიტუალის წამყვანი პირის მიერ ქორწინების თანხმობასთან დაკავშირებული შეკითხვის დასმა და მასში მონაწილე პირების მიერ პასუხის გაცემა). თუმცა, მე-17 საუკუნის სამეგრელოს მაგალითზე თუ ვიმსჯელებთ, მცირე, გენდერული ხასიათის გამონაკლის შემთხვევასთან გვაძეს საჭმე: ჯვრისწერამდე მღვდელი სასიძოსა და საპატარძლოს მიმართავდა ტრადიციული კითხვა-ფორმულით: „**თანახმა ხართ ჯვრისწერის?**“ სასიძოსგან ადვილი იყო თანხმობის მიღება, საპატარძლოსგან კი იშვიათად გაიგონებდით „**ჰო**“-ს ან „**არა**“-ს, რადგან საქორწილო ცერემონიალის დროს ქალის მხრიდან ხმის ამოღება იმდროინდელ მეგრულ საზოგადოებაში უწესობად ითვლებოდა და ქალის დუმილი ნიშნავდა დასმულ შეკითხვაზე მის თანხმობას.

მკვლევრების შენიშვნით, განხილული გამონათქვამების სპეციფიკურობა იმაში მდგომარეობს, რომ მათ მხოლოდ კონკრეტულ, განსაზღვრულ სიტუაციაში აქვთ მნიშვნელობა, რამდენადაც არ აღწერენ არანაირ მოქმედებას, პირიქით, თვითონ წარმოადგენენ მას. მოხსენებაში ზემოქამოთვლილი და კიდევ სხვა რამდენიმე ადათ-წესთან დაკავშირებული პერფორმატივებიც შედარებით დაწვრილებით იქნება განხილული.

## ეკა დაღიანი (ქუთაისი)

### **ემე ნაცვალსახელი იმერხეულსა და ტაოურში**

იმერხეულსა და ტაოურში აქტიურად გამოიყენება **ემე** (/იმე/) ნაცვალსახელი, რომელიც მეტყველებაში უმთავრესად პაუზის შემავსებლის ფუნქციას ასრულებს.

- I. **ემე** ნაცვალსახელი გვხვდება სხვადასხვა ბრუნვის ფორმით:  
აგზე **ემე**? ყოფილა, ნაქილისვარი; დღე რაცხა თქვა **ემემაც**, თე-

ლევიზიონმა; ათ ჯვალ **ემეს** ევლებ, ფქვილს; ჩვენი წყალიც ჰა იქედამ მოდის, **ემის** ძირიდამ, ტყეს ძირიდან (იმერხ.)... ფასულიესაც **ემეზე** წასულა, ეგერ, სარებზე; ეს სოფელი **ემიდაძ** მოსული არიან, ფო-ცხოვიდამ (ტაოური).

II. საანალიზო ნაცვალსახელი მრავლობითს იმერხეულსა და ტა-ოურში სხვადასხვაგარად აწარმოებს:

ა) იმერხეულში **ემე** ნაცვალსახელი მრავლობითში -**ებ** სუფიქსს დაირთავს. მაგ.: მუა ღარჭები, **ემეები**, ბაღნები; ჩვენ იქ **ემიები** ქვეონდა, პატარა სახლები; ამ **ემეეფში** არიან, ზემოთ ყიშლეეფში...

ბ) ტაოურში **ნართანიანი** მრავლობითის ფორმები იხმარება. მაგ.: ერთ აგარაში **ემენი**, დელიყანლები (ვაჟები), ბგანები (გოგონე-ბი) ბერაბერ ვითერხულეფთ; ზამთრი დიდი **ემენი**, ღამევნარი არი; **ემეთ** გაფრცხავთ, ყაბებ (ჭურჭელს) გაფრცხავთ; ნიჩფითაც **ემეთ**, გუბრეთ (ნაკელს) დუყრით.

III. **ემე** ნაცვალსახელი ხშირად შესაბამის ზმნას ერწყმის და ერ-თან ყალიბს ქმნის:

ა) იმერხეულში | სერიის ფორმებთან მიცემითის -ს ფორმანტი მეტწილად შენარჩუნებულია. მაგ.: მემრე **ემესიჯებით**, ვჭრით, ყარ-თოფ მოვთხრით; იმათ **ემესიჯებით** და, კლავთ? ღამით ყანას **ემეს-ვიქთ**, დოუცადეფთ...

შდრ. II-III სერიის ფორმები: ერთ ათ წელიწადსაც იქ **ემევენ**, ვიცოცხლე; იქ **ემეუქნიან**, მოუხნავან ყანიები ბოინა.

ბ) ტაოურში **ემე** ნაცვალსახელი ძირითადად უნიფიცირებული სახით, სახელობითის ფორმით გვხვდება სამივე სერიის ფორმებთან. მაგ.: თევზი ასე **ემეიჯება**, ფართხალოფს; [გველი] მოა, **ემეგზამს**, დაგსუნავს; იმ შავ ადგილ **ემეიქამ**, გაპყრი... თუ ზეირმა (შხამმა) **ემე გიყო**, აღარ გამთელდები; სხვა ჭენჭი **გემევენე** ქი, კად შევ გომიოდესო... თურქებ **ემე უქნიან**, გოუდენიან ერმენები აქედამა (შ.ფუტკარაძე).

**ემე** ნაცვალსახელი დასტურდება: ლივანურში, აჭარულში, კა-ხურში... ცალკეულ კილოებში გვხვდება: **იმე** (კახ., ლივან.), **ამე** (ხევს., მოხ.), **ისემე/ისამე** (ჭართლ., კახ.).

სამეცნიერო ლიტერატურაში **ემე** ნაცვალსახელის წარმომავლო-ბა ახსნილია: **ემე** მომდინარეობს **ამა** ნაცვალსახელისაგან; **იმე-სა-**

თვის ამოსავალია **იმა; ესემე/ისემე** რთული შედგენილობისაა: **ეს, ის + ემე** (არ. მარტიროსოვი, გრ. იმნაიშვილი).

## ლ ა ლ ი ე ზ უ გ ბ ა ი ა (თბილისი)

### **პირველი სუბიექტური პირის ალომორფთა კილოკავური განაწილებისათვის მეგრულ-ლაზურში**

მეგრულ-ლაზურში პირველი სუბიექტური პირის ალომორფებს კილო-კავების მიხედვით განაწილების დამატებითი ანალიზის შედეგად გამოჩნდა:

1. პირველი სუბიექტური პირის {ვ-} ნიშნის ალომორფთა პოზიციური განაწილების თვალსაზრისით სხვაობას ბაგისმიერთა წინა პოზიციაში განაპირობებს „მორფონოლოგიური შეუთავსებლობის“ დაძლევის ორი სხვადასხვა გზა: ერთი მხრივ, გვაქვს მეგრულისა და ლაზურისთვის საერთო ტენდენცია: /ვ-/ ალომორფის შენარჩუნება (ცენტრალური არეალი), მეორე მხრივ, განსხვავებული მიმართულება: ლაზურში ნულოვანი მარკერის გაჩენა, მეტათეზი — მეგრულის ზუგდიდურ-სამურზაყანოულ კილოკავში (განაპირა არეალი).

2. ხოვნისწინა პოზიციაში ლაზურსა და მეგრულში ალომორფთა განაწილება კილოკავური მახასიათებელია, თუმცა ზუგდიდურ-სამურზაყანოულში სხვაობა მეტათეზისის შედეგია.

3. ინტერვოკალურ პოზიციაში ერთმანეთს უახლოვდება ზუგდიდურ-სამურზაყანოული და ხოფური ნულოვანი მარკერის გაჩენით.

4. ყველაზე მეტად მეგრული და ლაზური ერთმანეთს მიჰყვება ალომორფთა განაწილების წესით თანხმოვნისწინა პოზიციაში, თუმცა აქაც შესამჩნევია კილოკავური სხვაობა ამა თუ იმ ალომორფის განზოგადების მიხედვით: /ვ-/ განზოგადდება მეგრულის ორსავე კილოკავსა და ლაზურის ათინურ კილოკავში, ხოლო /ბ-/ განზოგადდება ხოფურსა და ვიწურ-ათინურში.

5. შეიძლება ითქვას, რომ {ვ-} მორფების ფონოლოგიური

გარდაქმნის პროცესი ყველაზე სუსტია სენაკურ-მარტვილურ მეტყველებაში, ხოლო პროცესი ძლიერდება განაპირა არეალისკენ: დასავლეთით სამურჩაყანოულის მიმართულებით, აღმოსავლეთით ათინურის მიმართულებით.

სქემატურად ალომორფთა განაწილება ასე გამოიყურება:

ზანური	პოზიცია პრეფიქ- სი	- V	V - V	- გ <sup>θქ.</sup>	- ც <sup>ფშ.</sup>	- ც <sup>ბშ.</sup>	- $\begin{bmatrix} \theta \\ ვ \\ ჸ \\ ბ \end{bmatrix}$
ზუგდ.- სამურჩ.	{ ვ- }	ვ - , ბ- // ფ- // ვ-, ∅-	ვ - // ∅ -	ბ- // ვ-	ფ- // ვ- // ბ-	ვ- // ვ- // ბ-	ბ- // ფ- // ვ- // ბ-
მარტ. სენაკ.	{ ვ- }	ვ -	ვ -	ვ- // ბ-	ვ- // ფ- // ბ-	ვ- // ბ- // ფ-	ვ-
ხოც.	{ ვ- }	ვ -	∅ -	ბ-	ფ- // ბ-	ვ- // ბ- // ფ-	∅ // - ბ- // ფ- // ვ- // ბ
ვიწ. არქ.	{ ვ- }	ბ - // ვ-	ბ -	ბ-	ფ- // ბ-	ვ- // ბ- // ფ-	∅ // - ბ- // ფ- // ვ- // ბ
ათინ.	{ ვ- }	ვ - // ბ-	ვ -	ბ- // ვ-	ფ- // ბ- // ვ- // ფ-	ვ- // ბ- // ფ- // ვ-	∅ // - ბ- // ფ- // ვ- // ბ

მოხსენებაში ვრცლად წარმოვადგენთ სათანადო მასალის ანალიზს. კვლევა შესრულებულია რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის საგრანტო პროექტის ფარგლებში.

რეუვენ ენოხი (იერუსალიმი), რუსუდან საღინაძე  
(ქუთაისი)

## ებიან მრავლობითში ფუძის უკვეცელობის შემთხვევები ქართული ენის დიალექტებში

1. სხვადასხვა ეპოქის ქართულ წერილობით ძეგლებში, XIX საუკუნის II ნახევრისა და XX საუკუნის დასაწყისის პრესის ენაში, დიალექტებში, აგრეთვე ქართველ ებრაელთა ბიბლიური წიგნების ტრადიციულ ზეპირ თარგმანებში დასტურდება ა- ხმოვანფუძიან სახელთა ებიანი მრავლობითის უკვეცელი ფორმები (ლიხსებაები, ცხოვრებაები, გამოცემაები, ცნობაები, ჩემისთანაები...). ჩნდება რამდენიმე ვარაუდი: ა. ეს მოვლენა უკვეცელსია, საკუთრივ ქართული ენისთვის დამახასიათებელი; ბ. ასეთი ფორმები დამახასიათებელი იყო რომელიმე დიალექტური წრისთვის ან ლიტერატურული სკოლისთვის და თავს იჩენდა ამ წრიდან თუ სკოლიდან გამოსულ მწერალთა, მოღვაწეთა ნაზრევში.

2. რთულია ებიანი მრავლობითის უკვეცელ ფორმათა ქრინოლოგიის განსაზღვრაც. სამეცნიერო ლიტერატურის მიხედვით, ა- ხმოვანფუძიან სახელთა უკვეცელი ფორმები ძველ ქართულშივე დასტურდება. ი. იმნაიშვილი ასახელებს რამდენიმე მაგალითს: **გუგაები** („გამოსლვა.“), **გუგამთა** („აბოს წამ.“) იქვე არის ამავე სახელის შეკვეცილი ფორმაც: **გუგისა**)...

ებიანი მრავლობითის უკვეცელი ფორმები შემჩნეული აქვთ სხვა მეცნიერებსაც: ა. „შანიძის „ქართული ენის გრამატიკის საფუძვლებში“ (1980 წ.) უკვეცელობის ნიმუშად წარმოდგენილი სახელის **ლურჯა-ს** ბრუნების პარადიგმას მრავლობითში ასეთი სახე აქვს: **ლურჯა-ებ-ი, ლურჯა-ებ-მა, ლურჯა-ებ-ს...** ა- ხმოვანფუძიან სახელთა თავისებურებებს ეხება ო. ურიდია, რომელიც გ. ერისთავის თხზულებათა ენაში გამოყოფს ფორმებს: **ხეობაები, გორაები, წურბელაები** (> **წურბელეები**)... ქართველ ებრაელთა ბიბლიური წიგნების ტრადიციულ ზეპირ თარგმანებში არსებულ ფორმათა (ქებაები, საკვირველობაები, კონაებისუ) საფუძვლებზე მიჩნეულია, რომ ქართველ ებრაელთა მეტყველების განვითარების გარკვეულ ეტაპზე უკ-

ჰეცელი ფორმები საგვებით ჩვეულებრივი იყო (რ. ენოხი).

3. ებიან მრავლობითში ფუძის უკვეცელობასთან დაკავშირებულ პრობლემათა ასახსნელად მნიშვნელოვანია ქართული ენის დიალექტების მონაცემთა შესწავლა. უკვეცელი ფორმები მეტ-ნაკლებად და-ჩნდება როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოს დია-ლექტებში (დედაები, ბიძაები, ძმაები, დაები, ვაჟაები, დანუკაები, ხმაები, შეშაები, ლეგენდაები, სხვაები...), აგრეთვე საქართველოს ფარგლებს გარეთ არსებულ დიალექტებში. ეს მოვლენა ასახულია ქართული ენის დიალექტურ ლექსიკონებში, ტექსტებში, სხვადასხვა გამოცემაში (ავტორები: ი. გიგინეოშვილი, ვ. თოფურია, ი. ქავთარაძე, შ. ძიძიგური, ქ. ძოწენიძე, ბ. ჯორბენაძე, შ. ფუტკარაძე, შ. ნიუარაძე, ნ. სურმავა, მ. ფალავა, მ. ცინცაძე, გრ. იმნაიშვილი, ვ. აბაშვილი (კუზიბაბაშვილი), მ. ბერიძე, მ. ბარიხაშვილი...), ქართული დია-ლექტური კორპუსის მასალებში.

4. ებიან მრავლობითში **ა-** ხმოვანფუძიან სახელთა ფუძის უკვეცელობის შემთხვევები ქართული ენის დიალექტებში, განსაკუთრებით საქართველოს ფარგლებს გარეთ არსებულ დიალექტებში (ინგილოურში, შავშურ-იმერხეულში, ფერეიდნულშიუ) განამტკიცებს ვა-რაუდს იმის შესახებ, რომ ეს მოვლენა უძველესია, საკუთრივ ქართული ენისთვის დამახასიათებელი.

## იგორ კეკელია (მარტვილი)

### აფხაზეთის ისტორიული ტოპონიმიდან „ბედია“, „ილორი“, „ცხომი“ // „ცხუმი“

**ბედია.** სახელწოდების წარმოშობის შესახებ ცნობილია საისტო-რიო წყაროების მონაცემები.

ამ წყაროების თანახმად, სახელწოდების მნიშვნელობა დაკავშირებულია სიტყვა ბედთან. „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის“ მიხედვით ბედის ერთ-ერთი მნიშვნელობაა „კარგი ხვედრი — ილბალი, ბედნიერება“ (ქეგლ | 1990: 124).

ტოპონიმის სემანტიკის შესაცნობად საყურადღებოა **ბედია** სი-ტყვის სხვა მნიშვნელობებიც. სამურზაყანოელთა (და, საერთოდ, მე-გრელთა) მეტყველებაში იგი აღნიშნავს „საღვთოს, ხატზე შესახელებულს“, „ხატის ტყეს“. ამასთანავე, ბედიას ეძახიან „ჩალრმავებულ ადგილს, ქვაბულს“. ამ უკანასკნელ მნიშვნელობასთან სემანტიკურადაა დაკავშირებული, აგრეთვე, **ბედე**, რაც წარმოადგენს ერთგვარ ტაბლას, ზედ ამოჭრილი ჩალრმავებებით, ღომის ჩასაგებად (ქობალია 2010: 60). საგულისხმოა ის გარემოება, რომ სამურზაყანოსა და სა-მეგრელოში, ადგილს, სადაც ადრე ხატის ტყე იყო გაშენებული, **ბე-დიანაჩენს** უწოდებენ (იქვე).

ასეთი განმარტება საფუძველს იძლევა, რომ ეჭვევეშ დავაყენოთ ისტორიულ წყაროებში ტოპონიმ „ბედიას“ შესახებ დაცული ინ-ფორმაცია, და საფუძვლიანი, ამასთანავე, აუცილებელი კორექტირება შევიტანოთ სახელწოდების მოტივაციაში; ამდენად, შესაძლებელია ბედია ორგვარად გავიაზროთ. კერძოდ, 1. „ხატზე შესახელებული, ხატისთვის მიჩნილი ტყე ან მიწა“, და 2. „ჩალრმავებული ადგილი, ქვაბული, ტაფობი“.

**ოლორი** სოფელი და თემის ცენტრია ოჩამჩირის რაიონში, ღა-ლიძგის მარცხენა მხარეს. ზ. დ. 10 მ-ის სიმაღლეზეა და ოჩამჩირეს 3 კმ აშორებს.

მსგავსი ტოპონიმი გვხვდება სამტრედიისა და წყალტუბოს რაი-ონებშიც. ტოპონიმ ილორ-ის ეტიმოლოგიისათვის საგულისხმოა ა. ქობალიას ლექსიკონში წარმოდგენილი მონაცემების გათვალისწინება.

**ლორი, ილორი** მეგრულში აღნიშნავს როგორც მორს ან მორე-ბად დასაჭრელ ხეს, ასევე ძელს, ძელიცხოველს. ა. ქობალიას „ლექ-სიკონში“ **ილორია** განმარტებულია როგორც „მორისა, ძელისა; მო-რვადი, ხლეჩადი; სამორე ტყე; საკერპე ძელისა“, ხოლო **ილორილი** როგორც „დამორილი“ (ქობალია, 2010: 324). იმავე ლექსიკონის მი-ხედვით **ილორუჟა** მეგრულში აღნიშნავს „მორებად ხლეჩას, დამორ-ვას (**ილორუჟ** იხლეჩება, იმორება)“ (იქვე).

ილორის გარიანტი ლორი იმავე ლექსიკონში წარმოდგენილია რამდენიმე მნიშვნელობით: „**ლორი** მორი, ნახეთქი ხისა; უბირატე-სად, შუაზე გახეთქილი ხე ან ძალიან სქელი და ფართო ნამორი,

იყენებენ კარვის ბანურ სახურავად ან ხის ციხე-სიმაგრის მძლავრი კედლის ამოსაყვანად“ (იქვე: 383). **ლორია** იგივეა, რაც „ნამორი, ჭირკუტანა“; **ლორილი** აღნიშნავს „დამორილს, შუაში გახეთქილ ხეს“, ხოლო ლორიში — „ნახეთქი მორის ნაგებობას (საზოგ.)“; ხეში გამოლებულ ნაცს“ (იქვე: 383). ტყეში საცხოვრებლად გამიზნული და დახეთქილი, გაუჩიორენავი ხეებით აგებული ქოხი, მორის კარავი „ლორიშ კარედ“ იწოდებოდა (იქვე). მორებად დახლებილი ხეებით აგებულ ციხეს **ლორიშ ჯიხას** უწოდებდნენ (იქვე). ამასთანავე, **ოლორე** სამორე ტყის აღმნიშვნელი სიტყვაა, ხოლო **ოლორუე** აღნიშნავს მორების დამზადების ან მორების დასაცურებელ ადგილს (იქვე: 538).

მეგრულის სალექსიკონო მასალებში ყურადღებას იქცევს შემდეგი განმარტებებიც: **ილორიშ ნიში** „ილორის ნიში, ტყეში დადგმული ქვითკირის პატარა სვეტი, რომლის თახჩაშიც ესვენა ხატი“; **ილორიშ ოხვამე** „ილორის საყდარი; ძელის საყდარი“; **ილორგანი** „ილორის მხრისა, საკაფი (ტყე)“ (ქობალია, 2010: 324).

ზემოთ მოხმობილი საილუსტრაციო მასალით შეგვიძლია სოფლის სახელწოდება „ილორი“ დავაკავშიროთ **ლორ**-თან (მწყემსთა სადგომი კარვის გადასახურავად გამოსაყენებელი ფართო და სქელი, ნაპობი ფიცრის დასამზადებელი ტყე“, ან „ძელიცხოველი, ხატის დასასვენებელი თახჩიანი ნიში“).

დასაშვებია ტოპონიმ „ილორის“ სხვაგვარი გააზრებაც. კერძოდ, მასში შესაძლებელია პირის სახელ ილიას გამოყოფა და კუთვნილობა-ვისობის აღმნიშვნელი -ურ სუფიქსის საწარმოქმნო დერივატად მიჩნევა. მაშასადამე: **ილიაური—ილიური—ილორი.**

**ცხომი //ცხუმი //სოხუმი.**  
მკვლევართა მიერ დადგენილია, რომ **სუხუმი** ქართველური ცხუმის თურქიზებულ ფორმას წარმოადგენს, ვინაიდან თურქულს არა აქვს ც აფრიკატი; ამასთანავე, ვინაიდან სიტყვის დასაწყისში ორი თანხმოვნის თავმოყრას თურქული ენა ვერ ჰგულბს, ამიტომ „ცხუმ“ ფორმის ნაცვლად თურქულში მკვიდრდება სახენაცვალი ფორმა **სუხუმ** და **სუხუმი.**

ამ ტოპონიმის წარმომავლობის შესახებ სხვადასხვა თვალსაზრისი არსებობს. ერთი მათგანი ეკუთვნის გ. ფიფიას, რომელიც მიიჩ-

ნევს, რომ ტოპონიმ „ცხუმისათვის“ ამოსავალია რცხილის ერთ-ერთი სახეობის ზანური სახელწოდება, ცვ, რამაც სხვა ზანურ-მეგრულ სიტყვასთან („ხუმ“) შეთანხმებით მოგვცა ტოპონიმი ცხუმი ანუ „მშრალი რცხილა“ (ფიფია, „სახალხო განათლება“, №10, 1990: 13).

ტოპონიმ „ცხუმის“ გ. ფიფიასეული ანალიზი დაზუსტებას საჭიროებს. თუკი ჩავთვლით, რომ „ცხუმის“ ერთ-ერთი კომპონენტია ხუმ- სიტყვა, მაშინ იგი უნდა ითარგმნოს არა როგორც „მშრალი“, არამედ როგორც „ხმელი“. ამასთანავე, კავკასიური რცხილის მეგრული შესატყვისია ცხემური //ცხიმური, ხოლო ცი/ცუ იგივეა, რაც თელა და თელადუმა (მაყაშვილი, 1991:152).

ამდენად, ცხომი // ცხუმი უნდა გავიაზროთ როგორც „ხმელი თელა“.

## ლევან კელაურაძე (თბილისი)

**სვანიზმები მეგრულ-ლაზური ენის ლაზურ დიალექტსა და ქართული ენის აჭარულ, გურულ და იმერულ დიალექტებში**

მეგრულ-ლაზური ენის ლაზურ დიალექტსა და ქართული ენის აჭარულ, გურულ და იმერულ დიალექტებში დასტურდება არა ერთი ლექსიკური ერთეული, რომლებიც, ჩვენი ვარაუდით, ან სვანური-დან უნდა იყოს ნასესხები (ლაზურში), ან სვანურ სუბსტრატს უნდა წარმოადგენდეს (ქართული ენის დიალექტებში).

**ლაზური < სვანური**  
ლაზ. **სტიპო** „მჟავე“ < სვან **ლი-შდებ** „აფუება“; (ლიპარტელიანი) **ი-შეტბ-ი** „დედდება“ (შდრ.: (საბა) თბე „ხოლო ცომი რა დამჟავდეს და საფუარ იქმნას“); ლაზ. **ი-სთერ-ს, ი-სთირ-ს** „თმაშობს“, **ო-სთე(რ)-უ** „თამაშობა“ < სვან. (ზს.) **ლი-შდერ**, (ბქ.) **ლი-შდირ** „თავის შექცევა“ და სხვ.

მიგვაჩნია, რომ ბგერათფარდობა — ქართ.-მეგრ.-ლაზ. **თ** : სვან. **შდ** — უგამონაკლისოა (გამონაკლისის საილუსტრაციოდ ხშირად მო-

ხმობილი ძვ. ქართ. სასთაული (> სასთუნალი) ორმაგი პრეფიქსაცი-ით ჩანს მიღებული < \*სა-სა-თავ-ულ-ი), ამდენად ზემოთ წარმოდგე-ნილი ლაზური სიტყვები, ისევე როგორც ყველა ის ლაზური სიტყვა, რომლებიც **სთ** (< \*შთ) კომპლექსს შეიცავს და პარალელს ჰქოვებს სვანურ ენაში, სწორედ სვანურიდან ნასესხებად არის მისაჩენები.

### **აჭარული, გურული, იმერული < სვანური**

(გურ.) **ანკრათ** „ჭორად ნათქვამი; გადაკვრით, ნახევრად მისახ-ვედრად ნათქვამი“ < სვან. **ანკრ** „ეჭვი, გუმანი; მობეზრება“, **ანკრდ** „ყურმოკრულად“; (იმერ.) **ზისხა** „იხმარება შედარებისას -ვთ თან-დებულით მეტად მწარე და ცუდი გემოს აღსანიშნავად. ზისხასავით მაქს პირი, ზისხასავით გემო აქ“ < სვან. **ზისხ** „სისხლი“; (გურ.) **ფანდელი (ფანდლისა)** „მსახური“ < სვან. (ბზ., ბქ.) **ფანდლი**, (ლშხ.) **ფამლი** „შინაყმა, შინამოსამსახურე, ლაქია“ (<ლათ. ფამ्लულუს, ი „მომსახურე, თანმხლები“); (გურ., იმერ.) **შტიმ-ვა, და-შტიმ-ვა** „თვალის დატყვრეცა, თვალის ბრიალი“ < სვან. (ბზ.) **შტიფი**, **შტიფლამ**, (ლშხ.) **შტიბლად, შტიულად** „ელამი, თვალმრული, ბრუ-ტიანი; ლნტ. თვალებგადმოკარკლული“; (ლიპარტელიანი) **შტივე** „მოლრეცილი თვალით იყურება“, **შტივარ** „ბრუციანი, ელამი“, (დუნ-დუა) **შტივარ** „ბრუციანი, ელამი“; (ზ. აჭარ.) **ჯარა** „პირუტყვის წყლის დასალევი ვარცლი; საწნახელი“ < სვან. (ზს., ლნტ.) **ჯირ**, (ლშხ.) **ჯარ** „ვარცლი“ და სხვ.

აღნიშნულ დიალექტებსა და სვანურ ენას არაერთი ისეთი საზი-არო ლექსიკური ერთეულიც მოეპოვებათ, რომელთა მაინცდამაინც სუბსტრატად კვალიფიცირებაც ჭირს, თუმცა მხოლოდ ამ დიალექ-ტებში გამოვლენილი სიტყვების სათანადო სვანურ მასალასთან შები-რისპირებისას, ვფიქრობთ, გასათვალისწინებელი უნდა იყოს ის გა-რემოება, რომ ეს სიტყვები შესაძლოა სვანური სუბტრატის ნაშთს, ან სვანურიდან ნასესხებას წარმოადგენდეს. ცხადია, ცალკეულ შე-მთხვევაში ვერც სესხების საპირისპირო მიმართულებას გამოვრიცხავთ.

შდრ.: (გურ.) **გა-კლიმ-ვ-ა** „სინჯის აღება, გასინჯვა სასმელისა“ < სვან. **ი-კმბრ-ი** „ისინჯაებს; მოინახულებს“; **პრატ-ი** (ზ. აჭარ.) „აგდე-ბით: გოგო, ქალიშვილი“; (შ. ფუტკარაძე — „ჩვენებურების ქართუ-ლი“) „გოგონა, ქალიშვილი“ — სვან. (ლიპარტელიანი) **ლი-პრატ-ი** „მირტყმა პატარა გოგოსადმი“, **ლი-პრენტე** „პატარა გოგოს გაუპა-

ტიურება“, **ხო-პრეტ-ი** „პატარა გოგოს უჩანს სასქესო ორგანო“; (%. აჭარ.) **ფუთხო** „ხმელი მუწუკი“, (გურ.) **ფუფხ-ი** „კანის ავადმყოფობა“, **და-ფუფხ-ვა** „ხმელი მუწუკების დაყრა“ — სვან. **ფუთხში**, **ფურთხში** „საქონლის მჭლე ხორცისათვის დამახასიათებელი ბუშტუკები; ქონში დაბუდებული მავნე უჭრედი, ხორცის შემაგრებული ბურთულა“ (შლრ.: (იმერ.) **ფუთქ-ი** „პატარა წყალჩამდგარი ბუშტუკი სხეულის ნაწილზე სიდამწვრის ან ცემის შედეგად“); (იმერ., გურ.) **ფუწ-ი** „თამაშობის დროს შეცდომა; ფუწმე! ამბობენ, როცა შეცდომის გასწორება სურთ: უკაცრავად, შემცდაო; თამაშობის დროს შეცდომაზე იტყვიან“; (გურ.) **ფუცე-ებ-ა** „შეცდომა თამაშში“ — სვან. (ლოპარტელიანი) **ფუწ** „რიკ-ტაფელობის ან კარტის თამაშის დროს მოწინააღმდეგეს ეუბნებიან წაგების დროს“; (გურ.) **ქამ-ი** „ნამი, სისველე“, **და-ქამ-ული** „დანამული, ნესტიანი“, **და-ქამ-ვა** „და-სველება ოდნავ“ — სვან. **ქიმ**, (ლშხ.) **ქემ** „ცრემლი“; (გურ.) **ლან-ილ-ი** „წვიმის ცოტა ხნით გადაღება, გამოდარება“, **ი-ლან-ილა** „წვიმამ ცოტა ხნით გადაიღო“ < სვან. (ბზ., ლშხ.) **ლერ-ი**, **ლერ-ი** „ოდნავ დარი“ და სხვ.

ლაზურსა და ქართული ენის დასავლურ დიალექტებში გამოვლენილი ლექსიკური სვანიზმები, ამ დიალექტთა გავრცელების არეალში დადასტურებულ სვანურენოვან ტოპონიმიკასთან (მაგ. ლანჩხეთი, ლაითური და სხვ.) ერთად, სავარაუდოდ, აღნიშნულ ტერიტორიაზე სვანთა ოდინდელი განსახლების თაობაზე უნდა მეტყველებდეს.

ციცინო კვანტალიანი, რუსულან ლანდია (თბილისი)

## **ზმნური ფუძეებისა და თემის ნიშანთა კვლევისათვის დიალექტური კორპუსის მიხედვით**

ქართული სალიტერატურო ენისაგან განსხვავებით დიალექტებში ზმნური ფუძეებისა და თემის ნიშანთა წარმოება უფრო მრავალფეროვანია. ეს მრავალფეროვნება ზმნის ფუძის შედგენილობასაც ეხება და თემის ნიშანთა ნაირსახეობებსაც. დიალექტებში თემის ნი-

შანთა ვარიანტები ფართო სპექტრით არის წარმოდგენილი. ამ ყველაფერს წარმოაჩენს და თვალსაჩინოს ხდის დიალექტური კორპუსის მიხედვით კალევა. გამოვყოფთ რამდენიმე შემთხვევას.

1) დიალექტებში სალიტერატურო ენისაგან არ განსხვავდება არც ზმნური ფუძე და არც ზმნის ყალიბი. განსხვავებას ქმნის თემის ნიშანთა ფორმეტიკური ვარიანტები.

ყალიბი: V-ზმნური ფუძე — თემის ნიშანი  
ა-ბარ-ებ-ს ა-მბ-ობ-ს ა-გინ-ებ-ს  
ა-ბარ-ემ-ს ა-მბ-ოვ-ს ა-გინ-ეფ-ს  
ა-ბარ-ევ-ს ა-მბ-ომ-ს ა-გინ-ავ-ს  
ა-ბარ-ეფ-ს ა-მბ-ოფ-ს ა-გინ-ამ-ს

2) დიალექტებში სალიტერატურო ქართული ენისაგან არ განსხვავდება არც ზმნური ფუძე, არც ზმნის ყალიბი, მაგრამ ზმნის ფინი განსხვავებულია და აწარმოებს ახალ ზმნურ ფორმას, რომელიც სალიტერატურო ქართულ ენაში არ დასტურდება. იცვლება ზმნის მნიშვნელობაც.

ყალიბი: ზმნური ფუძე - თემის ნიშანი  
ფარ-ავ ფარავს, დაფარავს  
მაგრამ  
ამოფარავს = დაფარავს  
სალიტერატურო ქართულში ამოფარავს ფორმა არ იწარმოება.  
„პურისათვის ჭერ მიწას დავხნავთ, მერმედ დავფარცხავთ, მერმედ პურს **ამოფარავთ**“ (ქვ.იმერ.)

3) დიალექტებში არ იცვლება ზმნური ფორმა, არც ზმნის მნიშვნელობა, მაგრამ იცვლება ყალიბი:

ყალიბი: V -ზმნური ფუძე - თემის ნიშანი (ვარიანტებით)

ა-ფას-ებ დააფასებს  
ა-ფას-ეფ დააფასეფს  
ა-ფას-ენ დააფასენდა (სამცხ.ჭავახ.)

ყალიბი: ზმნური ფუძე - თემის ნიშანი

ჰ-ფას-ავ დაჰფასავდნენ = დააფასებდნენ (მთ.-გუდამაყრ.)

4) დიალექტებში შეიცვალა ზმნური ფუძე, ზმნის ყალიბიც და მნიშვნელობაც უცვლელია.

ყალიბი: V-ზმნური ფუძე — თემის ნიშანი (ვარიანტები)

1) ა-ფარ-ევ იფარევენ, აფარევენ

ა-ფარ-ევ გადავაფარეთ, დააფარეთ

ა-ფარ-ენ დაგვაფარენდა, შეგვაფარენდა

ა-ფარ-ემ დავაფარემდით, დავაფარემ

ა-ფარ-ან თავ აფარანდნენ (სამცხ.-ჯავახ.).

2) V-შეკუმშული ფუძე — თემის ნიშანი

ა-ფრ-ი-ს = აფარებს მიწას აფრის (სამცხ.ჯავახ.).

ხსოვ ზმნური ფუძე დიალექტებში იცვლება და რამდენიმე ვარიანტით გვხვდება.

ყალიბი: V-ზმნური ფუძე

ა-ხსოვ-ს

ა-ხსომ-ს

ა-ხსონ-ს

ა-ხსოფ-ს

ამგვარად, დიალექტური კორპუსის მიხედვით ზმნური ფუძეებისა და თემის ნიშანთა წარმოების ძალიან საინტერესო სურათი იყვეთება. წინამდებარე მოხსენებაში განვიხილავთ სხვადასხვა ზმნურ ფუძეება და თემის ნიშანს და წარმოვაჩენთ მათი შემდგომი კვლევის მოსამზადებელ სამუშაოებს.

## მაია კიკვაძე (ბათუმი)

### ილია ჭავჭავაძის მოურავის მეუღლის ჩანაწერები როგორც დიალექტური ტექსტი

ილია ჭავჭავაძის ცხოვრების ბოლო წლების შესახებ საინტერესო ცნობებს გვაწვდის მწერლის უკანასკნელი მოურავის, დიმიტრი ჭავჭავის მეუღლე დარია კოპლატაძე-ჭავჭავი. მისი მოგონებები (ჩაწერილი 1955 -1965 წლებში) ღირებულია როგორც ისტორიული, ისე ლინგვისტური თვალსაზრისით. მოგონებები ასახავს აგრეთვე მეოცე საუ-

კუნის სამი ათეული წლების ამბებს, რომლებიც განსაკუთრებით კარგად დამახსოვრებია დარია კოპლატაძეს.

დარია ჯაში უშუალო მოწმე იყო საგურამოს ამბებისა და დი-მიტრი ჯაშთან ერთად იღიას სიცოცხლის ბოლო სამი თვის განმავ-ლობაში ყველაზე უფრო ახლო იყო მის ოჯახთან, ოლღა გურამიშ-ვილთან.

მოგონებებს ეტყობა განათლებული ქალის ხელი. მას სტკივა მა-შინდელი საქართველოს სატკივარი, ქვეყნის ბედი, განიცდის ქვეყანა-ში შექმნილ მდგომარეობას. მოგონებების მთავარი მიზანია, გაიფან-ტოს ის ცრუ შეხედულებები, რომელთა მიხედვით იღიას მკვლელო-ბის ორგანიზატორად დარია ჯაშის მეუღლე-დიმიტრი ჯაში იყო მი-ჩნეული (ი. ჯაში 1963-1965, წინასიტყვაობა).

წერილების ენაზე დაკვირვებამ გამოავლინა შემდეგი თავისებუ-რებანი:

ფონეტიკური მოვლენებიდან ადგილი აქვს სუბსტიტუციას. ხში-რია მ/ც მონაცვლეობა: **სიმაგრი**.

მოსალოდნელი კუმშვის ნაცვლად სახელები შეუკუმშვი ფორმი-თაა წარმოდგენილი: „**ჯვარის** წერის ცერემონიას დაესწრენ...“

საკუთარი სახელები გვხვდება კნინობითის ფორმით: „**ლადიკო** და **ილიკო** დარჩიები“.„

პირველი პირის ნაცვალსახელს ნათესაობით ბრუნვაში დართუ-ლი აქვს -ს: **ჩემს მიმართ**.

ზმებში დაკარგულია მესამე ირიბი ობიექტის ნიშანი-ჲ: „რო-მელსაც ცოლად **ყავდა** სახლის პატრონის ქალიშვილი მაშო“; „იგი მკლავ გაყრილი **მიყვებოდა** ქართველს“.

მესამე სუბიექტური პირის მრავლობითობას გამოხატავს არა ნენ, არამედ-ენ: **დაესწრენ, სეირობდენ...**

დაკარგულია შუალობითი კონტაქტის ნიშნისეული **-ნ**: „დიმიტ-რი ცდილობდა იღიასთან ნდობა **მოეპოვებია**; ნდობა **დაეშახურე-ბია**;“

აღრევაა რიცხვში მონაცვლე ზმებთან: „**ჩავჭექით**, ბარგი დავა-წყვეთ ეტლში...“ „კაკლის ხის ძირას **დაჭდენ** ჩრდილში“.

ხშირია თემის ნიშანთა მონაცვლეობა: „ავადმყოფს სიცოცხლეში **ჭირია** ექიმი“.„

ზმნიზედები და თანდებულები წარმოდგენილია ძველი ქართულის ნორმით:

„დავბინავდით ვეძინსკის ქუჩაზედ...“; „მთელი სომხეთის ბედი და ხვედრი ჩემს კისერზედ მაღევსო“; „რომ მოკვდება, მერმედ რა უშველის...“

ირიბი ნათევამის გამოსახატავად გამოყენებულია -ო ნაწილაკი: „მითხრეს, რომ ახატანის ბიჭები ემზადებიან ილიას მოკვლისათვისო და თქვენც დიდი სიფრთხილე გმართებთო.

წერილებში დადასტურებულია განკურძოებული სიტყვები და გამოთქმები, კერძოდ: განკურძოებული გარემოება, დანართი, ჩართული: „დიმიტრი სოფრომიჩ, აი იქ, დიდი ხის ძირას, ცივი და გემრი-ელი წყაროს წყალია, მოიტანე!“; „ეს ჩვენი ვანო, დიდად განათლებული კაცი, დამ ჩაყლაპა თუ მიწამ...“ „მადლობა დმერთს, თუ მშრომელი კაცის ნაშრომს ღმერთმა მაღლის თვალი მოავლო“.

ლექსიკის გარკვეულ ნაწილს ქმნის დიალექტური ფორმები, ბარბარიზმები: „პაპიროს-პაპიროსზე ეწეოდა“; „შევედით მეორე სართულის ზალაში“, „ეზოს ოთხი სტრაჟნიკი იცავს“.

წერილებში გვხვდევა ფრაზეოლოგიზმები, ეფუძიზმები, დისფე-მიზმები: „გლეხობას უკვე რევოლუციის ნიავმა დაბერა“; „სიტყვა რომ ენაზე არ გაგიშრეს, ღვინო დაგვილიე!“!

სიკვდილის მოახლოებას ერთი მხრივ ეფუძიზმი გამოხატავს, მეორე მხრივ დისფე-მიზმი: „ასაკმაც თავისი ზარი შემოკრა“; „მაგ კნიაზს მალე დაამიწებენ ჩვენი სოფლის ბიჭები“; „მე ვანო ინაშვილი არ ვიყო, თუ ეგ კახელი თავადი არ ჩავაძლო“.

დადასტურებულია ხელოვნური ფორმები: „მიშუამდგომლოს, რომ ჩემს შეილს შეეძლოს სახლში ღამის გათევა და თავდები გამი-კეთოსო“.

## მარიამ კობერიძე (გორი)

**დარგობრივი ლექსიკა დიმიტრი ბაქრაძის  
„ქართლურ-კახური, იმერული, გურული, ქობულური  
(ჩურუქსული) და აჭარული კილოების მოკლე  
შედარებით ლექსიკონში“**

1878 წელს სანქტ-პეტერბურგში საიმპერატორო მეცნიერებათა აკადემიის განკარგულებით დაისტამბა დიმიტრი ბაქრაძის წიგნი „არქეოლოგიური მოგზაურობა გურიასა და აჭარაში“. მასში განხილულია ავტორის მიერ 1873 წელს გურიასა და აჭარაში შეკრებილი მდიდარი ფაქტობრივი და ეთნოგრაფიული მასალა.

დიმიტრი ბაქრაძეს მოგზაურობისას სოფელ კობალაურში პირველად მოსვლია აზრად შეედგინა ჩურუქ-სუს, აჭარის, გურიის, იმერეთისა და აღმოსავლეთ საქართველოს ყოფა-ცხოვრებაში სახმარ სახელწოდებათა მცირე შედარებითი ლექსიკონი. მასალების მოძიებაში მას დაეხმარენ ოჯახის მასპინძლები და იხალვაზრდა გურული კალანდაძე, რომელიც კარგად იცნობდა იმერეთს. კალანდაძე უსნიდა იმერულ და გურულ სახელწოდებებს. როგორც ავტორი აღნიშნავს, ეს ლექსიკონი შემდეგ მან შეამოწმა და შეავსო გურიაში და ზემოთ დასახელებულ მონოგრაფიას დაურთო (დანართი I) ზოგ ეთნოგრაფიულ განმარტებებთან ერთად.

ლექსიკონში სიტყვები დალაგებულია არა ანბანურად, არამედ დარგობრივი პრინციპით. სქოლიოში მოცემულია მცირე განმარტებები შენიშვნების სახით. გამოყოფილია ათი გვუფი: 1. ასაკი, ნათესაობა და თვისება; 2. ტანსაცმელი; 3. იარაღი; 4. ცხენის აკაზმულობა; 5. სახლი და მისი მოკაზმულობა; 6. სამზარეულო და საჭმელი; 7. საოჯახო მეურნეობა; 8. ბოსტნეული, კულტურული და ველური მცენარეები; 9. შინაური და გარეული ცხოველები; 10. ორგოგრაფია და ტოპოგრაფია; ზოგი ფიზიკური მოვლენა, სხვადასხვა ცნობა.

საანალიზო მასალა ყურადღებას იქცევს სინონიმური მნიშვნელობის სიტყვებით. მაგ.: **დიდი-დედა** (ქართ. -კახ.,), **ბებია** (ქართ.-კახ., იმერ., გურ.), **დინე** (ქობ., აჭარ.); **ძალუა** (ქართ.-კახ.), **ბიცოლა** (იმერ., გურ.), **მუსადია** (გურ.), **მუსალია**, **აბლა** (ქობ., აჭარ.).

**საკინძი** (ქართ.-კახ.), **ბერანგის** **შესაბნევი** (იმერ.), **გულისბირი** (გურ.), **საყისური** (ქობულ., აჭარ.) ; **ახალუხი** (ქართ.-კახ., იმერ., გურ.), **სათბური** (ქობ., აჭარ.) — „**სათბური** მუხლებამდეა, ჩითისა, დაბამბული, სახელოიანი“; **ტალი** (ქართ.-კახ.), **კაუი** (იმერ., გურული., აჭარ. ქობ.) ; **საქონე** (ქართ.-კახ., იმერ., გურ.), **თაღდანი** (ქობ., აჭარ.,) — „იაღდანი ბრინჯაოსია. მასში ინაზავენ საჭმელ ზეთს იარაღის საწმენდად“; **ბანი** (ქართ.-კახ.), **სახურავი** (იმერ., ), **ნაბურავი** (ქობ., აჭარ.), **საკუჭნაო** (ქართ.-კახ.); **ბეღელი**, **ხულა** (იმერ., გურ.), **ხულა**, **აჭარული** (აჭარ.), **სუფრა** (იმერ., გურ.), **სუფრა**, **ფეშებუმი** (ქობულ., აჭარ.) — „სუფრა ქართლ-კახეთსა და თვით იმერეთში მაგიდის გადასაფარებელია, **ფეშებუმი** კი საეკლესიო ჭურჭელი. ქობულეთსა და აჭარაში მაგიდას ასე უწიდებენ, ალბათ, იმიტომ, რომ მას ფეშებუმის ფორმა აქვს“; **ქვაბი** (ქართ.-კახეთ.), **კარდალი** (იმერ., გურ., ქობ., აჭარ.) — „კარდალში ღომის ხარშავან. ღომის საზელ ჭოხს გურიაში, ქობულეთსა და აჭარაში ჩოგანი ჰქვია, ხოლო რითაც ღომის ამოარიგებენ, ლაფერას ეძახიან, იმერეთში კი პირიქით — ლაფერა ჩოგანია, ხოლო ჩოგანი — სუთი“; **ლითონი** (ქართ.-კახ.), **სიქლინგი** (გურ., ქობ., აჭარ.); **გოგრა** (ქართ.-კახ.), **კვახი** (იმერ.), **ხაბი** (გურ.), **ხაბე** (ქობ., აჭარ.).

ზოგი მასალა ლექსიკონში წარმოდგენილია გარკვეული ფონეტიკური ცვლილებებით. მაგ: **ჩაბრახტი** (ქართ.-კახ.), **ჩაბრასტი** (გურ., ქობულ., აჭარ.) — „**ჩაფრასტი** დიდი ხანია აღარ იხმარება გურიაში. იგი გვხვდება გურიის ეკლესიების ფრესკებზე. ჩაფრატი სხვა არაფერია, თუ არა ღილების მშკრივი გულსაფარზე“. **გარცლი** (ქართ.-კახ.), **ვარცხლი** (გურ., ქობ., აჭარ.); **თევზი** (ქართ. ჟყახ.), **თებზი** (გურ., ქობ., აჭარ.); **ლერდი** (ქართ.-კახ.), **ლერწი** (გურ., ქობ., აჭარ.); **ხუმირა** (ქართ.-კახ.), **ხვიმირა** (იმერ., გურ., ქობ., აჭარ.); **ხურმა** (ქართ.-კახ., გურ., ქობ., აჭარ.), **ხუმლა** (იმერ.); **რთხმელა** (ქართ.-კახ., იმერ.), **თხმელა** (გურ., ქობ., აჭარ.).

ერთი და იგივე სიტყვა რამდენიმე ცნებას გამოხატავს ან სხვა დანიშნულებისა სხვადასხვა კილოების მიხედვით. მაგ.: **კალო** (ქართ.-კახურ., იმერ., გურ., ქობ., აჭარ.) — „ქართლში, კახეთში, ზემო იმერეთსა და ზემო აჭარაში კალოზე ხორბალს ან ქერს ლეწავენ, გურიაში, ქობულეთსა და ქვემო აჭარაში კალოს ეტყვიან იმ აღ-

გილს, სადაც მოტეხილ სიმინდს აქტებენ“; **ვაზი** (ქართ. კახურ.), ვენახი (იმერ., გურ., ქობ., აჭარ.). — „დასავლეთ საქართველოში ვაზი სხვა მნიშვნელობით იხმარება, ვიდრე აღმოსავლეთ საქართველოში. იქ იგი რტოს ნიშნავს“.

კილოების მიხედვით ძირითადად მსგავსია სამზარეულოსა და საჭმელების აღმნიშვნელი ლექსიკა. მაგ.: **კალმახი, ნაფოტა, ზუთხი, ლოქო (თევზის სახეები).**

საინტერესოა ბოტანიკური ტერმინოლოგია. მაგ., ვაშლის ჯიშები გურიასა და ჩურუქ-სუში: **შაქარ-ვაშლი, ნეფის ვაშლი, პანტა ვაშლი, რკინა ვული, კობიზური;** იმერეთში: **შაქარ-ვაშლა, ბორა-ვაშლი, კიტრა-ვაშლი, ბანტა-ვაშლი;** ყურძნის ჯიშები ჩურუქ-სუში: **ჩხავერი, კლარჯული, ოქტრუშა, სამარხი, ხოფათური;** გურიაში: **საკმეველა, ხემ-ხუ, ტრედის-ფეხა, ორონა, მსხილა-თაობანი, მტევან-დიდი, კაბისტონი, აგაინი, იმერეთში:** **მწვანე, ძველ-შავი, კუნძა-საფერე, დონდ-ლდაბი** (დიდი მტევანი), **კამური;** მსხლის ჯიშები ჩურუქ-სუში: **საენკენიო მსხალი, სატრი მსხალი, კაცისთავი, ხეჭეჭურა (ყველაზე საგვიანი), ინჩქითური, სახელე.**

ზოგი ლექსიკური ერთეული დადასტურებულია გურულში, ქობულურში და აჭარულში, მაგრამ შესატყვისი არ არის მითითებული ქართლურ-კახურსა და იმერულში, ან კიდევ პირიქით. მაგ.: **მერე** — „ნაკვეთი, რომელზეც დიდი ხანია აღარ უთესიათ“ (გურ., ქობ., აჭარ.); **მოდულა** — „ნაკვეთი, რომელზეც ყანა ჰქონდათ და დიდხანს დაასვენეს, ბუჩქნარით დაიფარა და ისევ წმენდენ საყანედ“ (გურ.); **ოჯენჭალი** — „დირეა, რომელზეც ჭაჭვი კიდია“ (გურ., ქობ., აჭარ.)....

მოხსენებაში წარმოდგენილი იქნება ავტორის მოსაზრება ლექსიკონის მნიშვნელობაზე, გურულისა და აჭარულის, ჭანურისა და მეგრულის მსგავსებაზე ლექსიკის მიხედვით.

## თამარ ლომთაძე (ქუთაისი)

### ქართველ ებრაელთა მეტყველების შესწავლისათვის — მნიშვნელობა და პრობლემები

ქართველ ებრაელთა მეტყველების შესწავლას დიდი მნიშვნელობა ენიჭება როგორც ქართული, ასევე ებრაული ენის ისტორიული, დიალექტოლოგიური, სოციოლინგვისტური თუ ფსიქოლინგვისტური თვალსაზრისით.

საქართველოში 26 საუკუნოვანი თანაცხოვრების მიუხედავად, ამ დიასპორის მეტყველების ენობრივი ანალიზი საგანგებო კვლევის საგანი თითქმის არასოდეს გამხდარა. უფრო მეტიც, ძალიან ცოტა გვაქვს ჩაწერილი მეტყველების ნიმუშებიც. არსებული გამოკვლევები და მასალები, რა თქმა უნდა, მნიშვნელოვანია, თუმცა — არასაკმარისი.

ებრაელთა მეტყველების შესახებ შრომები ეკუთვნის კ. დუმბაძეს, რ. ენოხს, თ. ლომთაძეს, ნ. ბაბალიკაშვილს, ი. გაფულაშვილს, გ. ბენ-ორენს და სხვებს, რომლებშიც ნაჩვენები, აღნიშნული და გაანალიზებულია ძველი ებრაული ენის რეკონსტრუქციის საკითხების მნიშვნელობისათვის ქართველ ებრაელთა მიერ გამოყენებული ზოგიერთი ლექსიკური ერთეულის წარმოთქმა, ენობრივი კონტაქტების თვალსაზრისით ქართულ-ებრაული ფონეტიკური, მორფოლოგიური და ლექსიკური კონტაქტების შედეგები, ქართულ ქალაქურ უარგონში ებრაიზმების გავრცელების ისტორიის საკითხები; ჩაწერილი და გამოცემულია „თავსილის“ ტექსტი, რომლის ენობრივმა შესწავლამ გაამდიდრა ქართული დიალექტოლოგიისა და ქართული ენის ისტორიის კვლევები და აგრეთვე, ძველი აღთქმის თარგმანების, განსაკუთრებით თარგმანის ზეპირი ტრადიციების კვლევა და წინ წასწაა ებრაული ენების თეორიული და პრაქტიკული პრობლემების შესწავლის საქმე.

აქედან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ გამოკვეთილია ქართველ ებრაელთა მეტყველებაში დადასტურებული ენობრივი მოვლენების ანალიზის ძირითადი კონტურები ფონეტიკურ, გრამატიკულ თუ ლექსიკურ დონეზე, თუმცა საჭიროა ქართველ ებრაელთა

მეტყველების დაწვრილებითი კვლევა, დაწყებული წარმოთქმიდან, დამთავრებული გრამატიკული და ლექსიკური საკითხებით, რათა ყველა ენობრივ მოვლენას მიეცეს სათანადო კვალიფიკაცია, თუმცა ეს გარკვეულ სიძნელეებთანაა დაკავშირებული, რადგან საქართველოში დღეს იღარ გვაქვს ებრაელთა კომპაქტური დასახლებები, ხოლო აქა-იქ შემორჩენილ ებრაელებთან ბევრი მათთვის დამახასიათებელი ენობრივი მოვლენა უკვე ნიველირებულია. სასურველია მეტყველების ნიმუშების ჩაწერა მოხდეს საზღვარგარეთ, რადგან სატელევიზიო გადაცემები გვიჩვენებენ, რომ საქართველოს გარეთ მცხოვრებ ქართველ ებრაელებს ჭერ კიდევ აქვთ შემორჩენილი მათთვის დამახასიათებელი ინტონაცია და ენობრივი ფორმები.

### ომარ მემიშიში (ბათუმი)

## ზოგი ნაწილაკის ფუნქციისათვის ლაზურში

მეგრულ-ლაზურში ზმნისწინთა სისტემა გაცილებით რთული და მრავალრიცხვანია, ვიდრე ქართულში, ამასთანავე ზოგი ზმნისწინი სხვადასხვა მნიშვნელობას აძლევს ზმნას.

**ლაზურში გოგონ** (ქართ. გაგან) ზმნისწინს შეუძლია ზმნების სემანტიკური გარდაქმნა (ტრანსლაცია): **გონ-წყიფს** „აღებს“, **გო-წყიფს** „ატყავებს“, **გონ-დგინერი** „გაზვიადებული“, **გო-დგინერი** „შემოდგომილი“, **გონ-ტახერი** „განელებული“, **გო-ტახერი** „შემოტეხილი“...

ზმნისართული ზმნისწინი **ოკონა** (ქართ. უკანა) გამოხატავს უკუჭცევითობას და ზმნას უცვლის მნიშვნელობას: **ლურუნ** „კვდება“, **ოკონა-ლურუნ** „იბნილება“, **ოკონა-ხთუ** „უკუიქცა“, **ოკონა-ტკოჩუ** „უკუტყორცნა“...

ნუგზარ მგელაძე (ბათუმი)

## კლარჯული კარტლას (//ქართლას) მნიშვნელობისათვის

გეოგრაფიული სახელწოდება **კარტლა** (//ქართლა) კლარჯეთში — ნიგალისხევშია დადასტურებული. იგი ნიგალისხევში ჭოროხის აუზის ერთ-ერთ ქართულ სოფელს აღნიშნავს, რომელიც ჭოროხის-პირიდან ამაღლებულ ფერდობზე მდებარეობს. ამჟამად სოფელს თურქულად **თუთუნჯულის ქოის** (tütüncüler köyü) ეძახიან.

სოფლის სტრუქტურა უბნობრივ განსახლებას ეფუძნება. თითო-ეულ უბანს საკუთარი სახელწოდება გააჩნია, საღაც მოსახლეობის მეხსიერებაში შემონახულია დასახლებული პუნქტების ქველი ქართული სახელწოდებებიც. მაგალითად, ასეთია გუგუცური, თეთრები... ადრე აქ ქართველთა მოსახლეობის დამასაბუთებელი სხვადასხვა ტიპის ტოპონიმი არსებობდა, ისეთები, როგორიცაა **კოცანახეთი** (საძოვარი), **ჭიტავრი** (ყანა), **ჭა** (საძოვარი), **საქონდრია** (თხილის ბალი)...).

**კარტლა** ისე, როგორც **ქართლა** ქართველთა აღმნიშვნელ ეთნო-ნიმთან — ქართველთან და ეთნოგრაფიული ჯგუფის გამომხატველ ტერმინთან ქართლელთან, ასევე, ქართველთა სამშობლოს სახელწოდებასთან — საქართველოსთან და ხორინიშ — ქართლთან უნდა იყოს დაკავშირებული.

ეთნონიმი **ქართველის** შესახებ სამეცნიერო ლიტერატურაში არაერთი, ხშირად, ერთმანეთისაგან განსხვავებული მოსაზრებაცაა გამოთქმული (ექვთ. თაყაიშვილი, ს. ჭანაშია, ნ. ბერძენიშვილი, გ. მელიქიშვილი, თ. გამყრელიძე, ოთ. ლორთქითანიძე, დ. მუსხელიშვილი...).

ვფიქრობთ, **კარტლა** (//ქართლა) უშუალო მიმართებაშია დასავლეთ საქართველოში დადასტურებულ ეთნოგრაფიულ ტერმინებთან **ქალტასა** და **ქართასთან**, რომლებიც თხის, ცხვრისა და საქონლის სადგომი, მოლობილი ადგილი, ბაკი-საჩეხე იყო. ამ ხრივ გასათვალისწინებელია ოსეთში გაფრცელებული სახელწოდება **ქურთათა**. მეცნიერთა ერთი ნაწილი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა ამ სიტყვის ეტიმოლოგიას. მას ოსური **კაერტას** მეშვეობით ხსნიდა და

საკუთრების ფორმებს უკავშირებდა. ოსური კაერტა ეზოს აღნიშნავს. არც იმას გამორიცხავენ, რომ სიტყვა კაერტა ირანული წარმომავლობის იყოს. მათი აზრით, კავკასიის სხვადასხვა ხალხში ტოპომნიმ ქურთათა’ს მსგავს ტერმინოლოგიაში მიწაზე აღრეფეოდალური საკუთრების ფორმები აირეკლებოდა (ალ. რობაქიძე). ქურთათის ხეობის ტერიტორიებს მეზობელი რეგიონის მოსახლეობა საზაფხულო საძოვრებად იყენებდა, სადაც პარალელური სამეურნეო ბაზები — დროებითი სადგომები იყო მოწყობილი, რომელთაც ქართა ერქვა. იგი დროთა განმავლობაში მუდმივ საცხოვრებელ ადგილად იქცეოდა ხოლმე და სოფლად ყალიბდებოდა (ბ. გამყრელიძე). სწორედ ქართა’ს, როგორც მოლობილი ადგილის სახელწოდებას, რომელიც კლარჯული სოფლის სახელის კარტლა’ს (ქართლა’ს) სემანტიკური და ფონეტიკური შესატყყისი უნდა იყოს, კავშირში ჩანს ეთნონიმი ქართველი. აქედან გამომდინარე, ქართველთა თვითსახელწოდების ფორმირება შემდეგნაირად უნდა განვითარებულიყო: ქართა-ელი>ქართაველი, სადაც კეთილმოვანობისათვის ხმოვნებს შორის „ვ“ არის ჩართული > ქართველი (გ. მელიქშვილი), თუმცა ცალკეული აგტორი ასეთ გადასვლებს საეჭვოდ მიიჩნევს, რადგან ეთნონიმი ქართი არსად დამოწმებული არ არის. აღნიშნული შეხედულების თანახმად, თბილისის მეგრული სახელწოდება და ტოპონიმი ქართი სწორედ ქართლი’დან მომდინარეობს და იგი უკანასკნელ ხანს მწიგნობრული გზით შეიქმნა. სინამდვილეში უმარცვლო უ-ნით ეთნონიმი ქართუ არსებობდა, რასაც მეგრულთა მიერ აღმოსავლელ-ქართველთა სახელწოდება ქორთუ მოწმობს. მეცნიერთა ერთი ნაწილის ვარაუდით, ეს ქართუ, ადგილი შესაძლებელია, პუნქტსაც და ქვეყანასაც აღნიშნავდა, რის საფუძველზეც სწორედ მისგან ნაწარმოები სახელია ქართუ-ელი, რომელიც წყაროებში დამოწმებულ უძველეს ფორმად მიაჩნიათ. მისგან მომდინარეობს საყოველთაოდ ცნობილი ქართველი (დ. მუსხელიშვილი). მიუხედავად ამისა, ერთ-ერთ ბოლო გამიკვლევაში მკვლევრები ანვითარებენ აზრს: ქველ ქართულში არ გვაქვს \*ქართუ ფორმა, მაგრამ დასტურდება უ/უ სონანტის ქართულში ვთანხმოვანში გადასვლის შედეგად -ელ სუფიქსით ნაწარმოები ქართუ-ელი — ქართუ-ელი — ქართველი. ამდენად, ქართულ-ზანური

ენობრივი ერთიანობისათვის უნდა დაფუშვათ \*ქართუ სახელის არსებობა ქართველისა და ქართველთა ქვეყნის მნიშვნელობით, რომელმაც მეგრულ-ლაზურში ზანური ხმოვანთვადაწევის შედეგად კანონზომიერად მოგვცა ქართუ, ხოლო საკუთრივ ქართულში -ელ ბოლოსართის დართვით მივიღეთ ისტორიულად დადასტურებული ქართველი ფორმა (თ. გამყრელიძე).

ამრიგად, კლარჯული კარტლა (//ქართლა) უშუალოდ უნდა უკავშირდებოდეს საერთო ქართულ ქართაშს შემოლობილის მნიშვნელობით, რომლებიც გამორჩეული არაა საფუძვლად დაედო ქართლსა და საქართველოს ისე, როგორც ქართლელსა და ეთნონიმ — ქართველს. აქვე ინტერესშემცველია ასევე კლარჯულში, სოფელ კარტლაში დადასტურებული სიტყვა ბერე, რომელიც „შემოლობილს“ — თხისა და ცხვრის სადგომს აღნიშნავდა. ბერ (//ბერა) საქართველოს სხვადასხვა კუთხეში ანალოგიური მნიშვნელობით დასტურდება. სავარაუდოა, ეთნონიმ იბერსა და ქვეყნის საქართველოს ძევე სახელწოდებას — იბერიას ამ სამეურნეო ტერმინოლოგიასთან განსაზღვრული კავშირი ჰქონდეს.

კობა მითაგვარია, ლელა გიგლემიანი (თბილისი)

### ზოონიმების შემცველი ფრაზეოლოგიური ერთეულების შესახებ მეგრულში

მეგრული საკმაოდ მდიდარი და მრავალფეროვანია ფრაზეოლოგიური გამონათქვამებით, მათი წარმომავლობის გარკვევა კი მეტად მნიშვნელოვანია.

მრავალფეროვან ფრაზეოლოგიურ მაკროსისტემაში სხვადასხვა მიკროსისტემებს (ანუ ფრაზეოლოგიურ ბუდეებს) გამოყოფენ;

ამჯერად ჩვენი მოხსენების ძირითადი თემაა ზოონიმების შემცველი ფრაზეოლოგიური ერთეულების სტრუქტურულ-სემანტიკური ანალიზი მეგრულში.

მეგრულ მასალაზე დაკვირვების შედეგად გამოიკვეთა რამდენიმე სემანტიკური ჯგუფი:

1. იდიომი, რომელიც არის საკუთრივ მეგრული:

მეგრ. **გერიშ გიმახენჯი** „გულადი, შეუპოვარი [ზედმიწ]. — მგელზე მჯდომი, მგელიგლეჭია (ქალი)“...

2. იდიომი, რომელსაც პარალელი ექტნება ქართულსა და სვანურში, ესენია:

მეგრ. **ჭოლორიშ ბედი უღუ** უმართლებს (ზედმიწ). — ძალის ბედი აქვს“

სვან. **უელიშ ბედ ხულტა** „ბედნიერია (ზედმიწ). — ძალის ბედი აქვს“...

3. იდიომი, რომელიც ნაწილობრივ თანხვედრას პოულობს ქართულთან ან სვანურთან:

მეგრ. **ჩხოუქ ინაღვარუ** „ყრუ ადამიანი (ზედმიწ). — ძროხამ ჩაბლავლა“

სვან. **წელი ყულ მა ხესმი** „შეუსმენელია (ზედმიწ). — სახედრის ყროყინი არ ესმის“ და ა. შ.

მოხსენებაში დაწერილებით იქნება განხილული ზოონიმების შემცველი ჩვენ მიერ მოძიებული ყველა ფრაზეოლოგიური ერთეული მეგრულში.

ელენე ნაპირელი (თბილისი)

**ქართული დიალექტური კორპუსი — სამეცნიერო დასკვნების გადამოწმების საშუალება**

(-უ ელემენტის მაგალითზე)

როგორც ცნობილია, -უ მრავალფუნქციური ნაწილაკია და საკმაოდ პროდუქტიულია ქართული დიალექტების ერთ ნაწილში.

-უ სუფიქს-მორფეულიდი თავს იჩენს ქართული ენის წერილობით ძეგლებში XI საუკუნიდან; თუმცა ახალ სალიტერატურო ქარ-

თულში ასეთი ფორმები არ დამკვიდრებულა და მხოლოდ დიალექტებში შემოგვჩნა.

საენათმეცნიერო ლიტერატურაში (არნ. ჩიქობავა; ი. გიგინეიშვილი, ვ. თოფურია, ი. ქავთარაძე; ბ. ჯორბენაძე, მ. კობაიძე, მ. ბერიძე; კ. ტუიტი; კ. კუბლაშვილი; მ. ფალავა; ნ. სურმავა...) გამოთქმული შეხედულების თანახმად, -ყე ელემენტისთვის გამოყოფილია **თანდებულის, ნაწილაკის, სუფიქს-მორფემოდის** ფუნქციები.

ჩვენ შევისწავლეთ -**ყე** ნაწილაკისა და თანდებულის და მათი ფონეტიკური ვარიანტების (-**ყენ/ყენა**, -**წყენ**, -**ყი**, -**ყინ**...) რეპრეზენტაცია ქართული დიალექტების კორპუსში.

აღსანიშნავია, რომ ქართული დიალექტური კორპუსის მიხედვით, აღნიშნული ელემენტის გეოგრაფიული გავრცელების არე კიდევ უფრო ფართოვდება, ვიდრე ეს სამეცნიერო ლიტერატურაშია მითითებული.

გამოქვეყნებულ დიალექტურ ტექსტებში -**ყე** ხან წინამავალ სიტყვასთან ერთად იწერება, ხან დეფისით და ხან ცალკე. ქდკ-ში ტექსტური მასივის უნიფიკაციის ეტაპზე -**ყე** ყოველთვის სიტყვასთან ერთადაა გადმოცემული, რათა კონკორდანსში მისი ყველა რეალიზაცია ერთად იყოს დაფიქსირებული.

კორპუსულმა კვლევამ საინტერესო სურათი აჩვენა -ყე ელემენტისა და მისი ფონეტიკური ვარიანტების ფუნქციისა და გეოგრაფიული გავრცელების შესახებ ქართულ ენობრივ სინამდვილეში. გამოიკვეთა შემდეგი სიახლეები:

- -ყენ ელემენტის დადასტურება **ფერეიდნულში ნაწილაკის** ფუნქციით;
- დადასტურებითი და -ც ნაწილაკის ფუნქციით -**ყე** ელემენტის გამოყენება **ინგილოურში**.
- -ყე ელემენტის დადასტურება იმერხეულში, რამაც, შესაბამისად, გააფართოვა ამ ნაწილაკის გამოყენების გეოგრაფიული არე.

მოხსენებაში ამ საკითხებზე მსჯელობა ვრცლად იქნება წარმოდგენილი.

## ნიკოლოზ ოთინაშვილი (გორი)

### ტოპონიმებისა და ანთროპონიმების შედარებითი ანალიზი ქსნის ხეობაში

**-ურ** სუფიქსიანმა სახელებმა ჩვენი ყურადღება მიიქცია, ისინი ოთხმოცხვე მეტია და თუ შევუდარებთ ისტორიულ დოკუმენტაციას, ეს რიცხვი გაორმავდება. **-ურ-ულ** ხეობაში აღნიშნავს წარმომავლობას, მისი ერთ-ერთი ფუნქცია არის კუთვნილების გამოხატვა.

**-ურ** ზოგადად სხვადასხვა დანიშნულებისა და წარმოშობისაა, მათ შორის ტოპონიმთა ერთ ნაწილში შედის ტერმინის შემადგენლობაში და ქცეულია ადგილის სახელეოდებად. ეს კი გვეხმარება გადაშენებული გვარ-სახელების აღდგენაში.

როგორც პროფესორი აკ. შანიძე თხზულებათა მესამე ტომში აღნიშნავს **-ურ** სუფიქსი სხვა სახელთან აღნიშნავს თვისებას სათანადო საგანთან მიმართებით. როგორც ჩანს, მას აქვს სხვა ფუნქცია სხვადასხვა ღიალექტში.

1774-82 წლების ქსნის ხეობის სტატისტიკურ აღწერაში ანთროპონიმების საწარმოებლად ხშირ შემთხვევაში გამოყენებულია **-ურ** სუფიქსი.

მიგგაჩნია, რომ გვარების საწარმოებლად გამოყენებული **-ურ** სუიქსი იგივეა რაც ტოპონიმებში გამოყენებული **-ური**.

ქსნურ მეტყველებაში **-ურ / -ულ** სუფიქსებს ძირითადად კუთვნილებასა და სადაურობის გამოხატვის ფუნქცია გააჩნია, ისტორიულად დაერთვოდა სახელებიც, რომელიც შემდგომ გვარებად იქცა.

## იზოლაცია რუსაძე (ქუთაისი)

### პროფ. მიხეილ ალავიძე — ლეჩებუმური დიალექტის მკვლევარი (წიგნის გამოცემიდან 75 წლისთავის გამო)

პროფ. მიხეილ ალავიძის, ჭერ კიდევ მე-4 კურსის სტუდენტის, პირველი საენათმეცნიერო ნაშრომი „ლეჩებუმური ლექსიკონი“ სხვა დიალექტურ ლექსიკონთან ერთად (კრებული გურული, ზემოიმერული და ლეჩებუმური ლექსიკონები) 1938 წელს ცალკე წიგნად გამოსცა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალმა. ამ წიგნში პროფ. მიხეილ ალავიძემ წარმოადგინა ლეჩებუმური დიალექტური ლექსიკა, რომელიც მოსახლეობის საქმიანობასთან დაკავშირებულ სიტყვებს შეიცავს.

სტუდენტობის წლებშივე შეუდგა მიხეილ ალავიძე ლეჩებუმური ზეპირსიტყვიერების ნიმუშებისა და ეთნოგრაფიული მასალების შეკრებას. ეს მასალა „ლეჩებუმური ზეპირსიტყვიერების“ სახელწოდებით 1951 წელს გამოიცა. წიგნი მთლად 150 გვერდია. ახლაც მიხ. ალავიძის წინასიტყვაობა, საიდანაც ვგებულობთ, რომ „ლეჩებუმური მდიდარი და მრავალფეროვანი ხალხური შემოქმედება დღემდის თითქმის უცნობი იყო“. იშვიათად იბეჭდებოდა ლეჩებუმური ფოლკლორული მასალები ქართულ პრესაში. არაფის უწარმოებია ლეჩებუმის ისტორიის, ეთნოგრაფიისა და მეტყველების საფუძვლიანი შესწავლა. სხვა საკითხებთან ერთად ამ ნაშრომში ავტორმა შეიტანა ლეჩებუმური დიალექტური მასალაც. მან შეადგინა ლექსიკონი და ამ წიგნს დაურთო 141-150 გვერდებზე. ამ ლექსიკონში არა მარტო ზეპირგადმოცემებში გამოყენებული ყველა სიტყვაა წარმოდგენილი, არამედ — უცნობი გეოგრაფიული სახელებიც. აქვეა დაბეჭდილი ზოგიერთი ცნობა, რომლებიც ისტორიული ადგილებისა და ძეგლების (სოფელი, მთა, ციხე, ტაძარი) შესახებ მოიპოვება გამოიჩენილ ქართველ მეცნიერთა შრომებში. ამ წიგნში 85-132 გვერდებზე მოთავსებულია „ეთნოგრაფიული ნარკვევი“, სადაც უცნობი სიტყვების განმარტება ტექსტშივეა მოთავსებული. ასეთ სიტყვათა რაოდენობა აქ რვაასს აღმატება.

ორივე წიგნმა მოწონება დაიმსახურა. განსაკუთრებით აღსანიშ-

ნავია ის მაღალი შეფასება, რომელიც აყად. კონსტანტინე გამსახურდიამ მისცა ლეჩხუმურ ლექსიკონს. მან ამ ლექსიკონებში მოთავსებული არაერთი სიტყვა ქართული სალიტერატურო ენისათვის საჭიროდ და გამოსადეგად მიიჩნია.

პროფ. მიხეილ ალავიძის მიერ ლეჩხუმში, ასევე იმერეთსა და რაჭაში მოპოვებული ბევრი დიალექტური ერთეული შესულია ქართული ენის რვატომიან განმარტებითს ლექსიკონსა და პროფ. ალ. ღლონტის „ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონაში“. ეს დიალექტური სიტყვები სანდო პირველწყაროა და აუცილებელი და საჭიროა ქართველურ ენათა ისტორიულ — შედარებითი შესწავლისათვის.

## მედეა საღლიანი (თბილისი)

### ნეგაციისათვის სვანურ ენაში

უარყოფა, როგორც საენათმეცნიერო ლიტერატურიდან არის ცნობილი, არის გრამატიკული თუ სემანტიკური პროცესი ან კონსტრუქცია, რომელიც გამოხატავს გამონათქამის (წინადადების, ფრაზის...) შინაარსის სრულ ან ნაწილობრივ ნეგაციას. სხვაგვარი განმარტებით კი, ეს არის ბაზისური ფრაზის (მტკიცებითი, კითხვითი, ბრძანებითი) ერთ-ერთი სტატუსი, რომელიც მდგომარეობს ფრაზის პრედიკატის უარყოფაში. ვინაიდან უარყოფა მთელ ენობრივ სისტემას მსჭვალავს, ამიტომ იგი უნივერსალურ მოვლენად მიიჩნევა, თუმცა, მიუხედავად ამისა, ენებს შორის მაინც მნიშვნელოვანი სხვაობა გვაქვს იმის მიხედვით, თუ რა სახით ხდება უარყოფის გამოხატვა, ანუ როგორია მათში გამოყენებული უარყოფის სისტემები. ამ მხრივ, რასაკვირველია, სხვაობა გვაქვს თვით ერთი და იმავე ენის განვითარების სხვადასხვა საფეხურებზედაც.

წინადადებას, რომელიც შეიცავს უარყოფით სიტყვას ან ზმნის უარყოფით ფორმას, უარყოფით წინადადებას უწოდებენ. უარყოფა კი შეიძლება იყოს ორგვარი:

1. აბსოლიტური, სრული უარყოფა, როდესაც უარყოფილია მთელი წინადადება (მაგ.: **დემეგ**, მი ამიშ მამაგრეშ მიმკერა! (ბქ.) „არა, მე ამისი არაფერი გამიგია!“...);

2. ნაწილობრივი (არასრული) უარყოფა, როდესაც უარყოფილია წინადადების მხოლოდ ერთი კომპონენტი (მაგ.: მი **დემეგ მასდიკ** ამიშ ლიჩტემ (ბქ.) „მე არ მწყინ ამისი გაყეობა“, ეშეუ ფიცხილ **მამ მიწუა** (ჩოლ.) „ერთი ნამცეცი არ მინახას“ და ა. შ.).

ქართულში, რამდენადც ცნობილია, უარყოფით წინადადებას სამი ნაწილაკი გამოხატავს: 1. კატეგორიული და მკაფიოდ გამოხატული უარყოფის ნაწილაკი **არ**, 2. შესაძლებლობის ფარგლებით შეზღუდული **ვერ** და 3. აკრძალვითი ბრძანებითის სპეციალური უარყოფითი ნაწილაკი **ნუ** (ა. შანიძე). ცხადია, მკვლევართა მეტ გამოწვლილვითაა შესწავლილი ამ ნაწილაკების განაწილება ზმნის სხვადასხვა დროისა და კილოს ფორმებთან (%. ჭუმბურიძე, ბ. ჭორბენაძე, მ. მიქელაძე...). ამასთანავე, დადგენილია ისიც, რომ მთის იბერიულ-კავკასიურ ენებში, გარდა წოვა-თუშურისა, მხოლოდ ოდენნაწილაკებიანი უარყოფა გვაქვს, რაც აღნიშნული სისტემის სიძველეზე მიუთითებს (დ. იმნაიშვილი). რაც შეეხება სვანურს, იგი საკმაოდ მდიდარია უარყოფითი ნაწილაკებით და, აგრეთვე, მათგან ნაწარმოები უარყოფითი ნაცვალსახელებით, ზმნისართებითა და კავშირებით, რომელთა გავრცელების არე და მნიშვნელობა, ცხადია, სხვადასხვაგვარია სვანურ დიალექტ-კილოკავთა მიხედვით.

ქართულ **არ**, **ვერ** და **ნუ** უარყოფით ნაწილაკებს სვანურში უპირისპირდება უარყოფით ნაწილაკთა მრავალრიცხოვანი ვარიანტები (მაგ.: **მა** (ლშ.), **მამა** (ბქ.), **მამ(ა)** (ლნტ.), **მამ(ა)** (ბზ., ლშ., ჩოლ.), **მად'ე** (ბქ.), **მად(ე)** (ლნტ.), **მად'ე** (ბზ., ლშ., ჩოლ.), **მად-მა** (%ს.), **მადმა** (ლნტ.), **მალ** (ლშ.), **მალ(ა)** (ბზ., ლშ., ჩოლ.), **მო-დე** (ბქ.), **მოდ(ე)** (ბზ., ლშ., ჩოლ.), **მოდმა** (ბქ.), **მოდმა** (ჩოლ.), **დემ** (ბქ.), **დემა** (ლნტ.), **დემე** (ბქ.), **დემეგ** (ბქ.), **დესაცა** (ლნტ.), **დეს'ა** (ბზ., ქს.), **დემ'ა** (ბზ., ლშ.), **დემამ** (ბზ., ლშ.), **დემის** (ბქ.), **დემის** (ბზ.), **ბაი/ბაჲ** (ლხმ.) „არ, არა“...; **მადშ—მაჩაჩი** (ლნტ.), **მადჩამაშაშ** (ლნტ.), **მადჩამიჩი** (ლნტ.), **მაჩაშ** (ლნტ.), **დეშ** (%ს., ქს.), **დეშა** (ლშ.), **დეშმა** (ლშ.), **დეშმაშ** (ლშ.), **დოშ** (ბზ., ქს.) „ვერ“...; **ნო** (%ს., ლნტ.), **ნოსა** (ლნტ.), **ნოს(ა)** (ბზ., ლშ.),

**ნომრა** (ბქ., ლნტ.), **ნომრა** (ბზ., ლშხ.)/**ნუმ(ა)** (ბზ., ლნტ.)/**ნგმ** (ლნტ.)/**ნგმ(ა)** (ზს.), **ნომმა** (%ს.), **ნომის** (ლნტ.), **ნომის** (ლშხ.), **ნომეგ** (ბქ.), **ნომრა** (ბზ.), **ნე** (ბქ.), **ნემ** (ლხმ.), **ნემეგ** (ბქ., ლხმ.) „ნუ“...), რომელთა სიმრავლეს, ძირითადად, დიალექტური ნაირსახეობები განაპირობებს. აღნიშნული ნაწილაკები კი, როგორც წესი, გარკვეული კანონზომიერებით არის განაწილებული და სწორედ მათი საშუალებით გადმოიცემა სვანურშიც წინადადების უკუთქმითობა.

გასული საუკუნის 40-50 წლებში იყო ცდა სვანურში არსებულ უარყოფით ნაწილაკთა, ნაცვალსახელთა, ზმინისართთა და კავშირთა როგორც აღნუსხვისა, ისე მათი მნიშვნელობის დადგენისა და, შეძლებისდაგვარად, უარყოფით ნაწილაკთა ხმარების წესებისა და შედგენილობის გარკვევისა (თ. შარაძენიძე), თუმცა აღნიშნული საკითხი გამოწვლილვით დღემდე არავის შეუსწავლია.

ამჯერად ჩვენი ნაშრომის ძირითადი მიზანია ნეგაციის კატეგორიის ზოგადი მიმოხილვა სვანურის ყველა დიალექტის (მათ შორის ჩოლურული მეტყველებისა და ლახამულური კილოკავის) მონაცემთა გათვალისწინებით.

**მედეა საღლიანი, ნატო შავრეშიანი,  
ლელა გიგლემიანი (თბილისი)**

**მიმართებითი ნაცვალსახელებისა და მიმართებითი  
ზმიზედების სტრუქტურული მოდელები სვანურში**

სვანურში განსაზღვრებით დამოკიდებულ წინადადებაში დამოკიდებულის მთავართან შესაერთებლად გამოყენებული მაქვემდებარებელი კავშირის ფურქციის მქონე მიმართებითი ნაცვალსახელები (მაგ.: **ხედი||ხედი||ხედუშვ||ხედუშვ||ხედუშვ||ხედუშვ||ხედუშმი||ხედს** „რომელიც“, **ერუშვ||ერუშვ||ერუშვ||ერუშვ||ერუშა||დარი** „რომელიც, ვინც“, **ეგშუშვ||ესუშვდშ** „გისაც“, **ესურა** „რომელსაც, ვისაც“, **მპ||მპ** „რაც“, **მპზუმის||მაზუმუშვ||მპზუმუშვ||მაზუმის||მპზუ** „რამდენც, რამხელაც“, **უოშავ||უოშუავ||უოშა||ოშა** „რამდენიც“, **მახუავვაც||**

მარტივია: ხედი, მშენებელი, შომა/შომას, უოშა/ოშა, დანარჩენი მიმართებითი ნაცვალსახელები და მიმართებითი ზმნიზედები (სხვა-დასხვა ბრუნვის უთანდებულო და თანდებულიანი ფორმით) კი რთული შედგენილობისაა, რომელთა სტრუქტურული მოდელები შემდეგი სახით წარმოგვიძება:

**ხელ+ი „რომელიც“** ← კითხვითი ნაცვალსახელი **ხელი** + გაძლიერებითი ნაწილაკი **ი** (**← ი + ი**)

**ხედი+ღ+ი** „რომელმაც“ ← კითხვითი ნაცვალსახელი **ხედი** + მოთხრობითი ბრუნვის ნიშანი-ღ + გაძლიერებითი ნაწილაკი ი (← ი + ი)

ხედი+ნ-ება-ი „რომელმაც“ ← კითხვითი ნაცვალსახელი ხედი + მიცემითი ბრუნვის უძველესი ნიშანი -ნ + მოთხრობითი ბრუნვის ნიშანი -ებ (← ა + ებ) + გაძლიერებითი ნაწილაკი ი (← ი + ი)

**ხედ+ს+ი „რომელსაც“** ← კითხვითი ნაცვალსახელი **ხედი** + მიცემითი ბრუნვის ნიშანი -ს + გაძლიერებითი ნაწილაკი ი (← ი + ი)

**ხედ+უშა+დ „რომელმა“ ← კითხვითი ნაცვალსახელი ხედი + მიმართებითობის მაწარმოებელი ნაწილაკი -უშა + მოთხრობითი ბრუნვის ნიშანი -დ**

ხედ + უშვა + ნ + ებ „რომელიაც“ ← კითხვითი ნაცვალსახელი ხედი + მიმართებითობის მაწარმოებელი ნაწილაკი -უშვა + მიცემითი ბრუნვის უძველესი ნიშანი -ნ + მოთხრობითი ბრუნვის ნიშანი -ებ (← ა + ებ)

ხედ + უშვა + დ + ო „რომელმაც“ ← კითხვითი ნაცვალსახელი ხედი + მიმართებითობის მაწარმოებელი ნაწილაკი -უშვა + მოთხრობითი ბრუნვის ნიშანი -დ + გაძლიერებითი ნაწილაკი ო (← ო + ო), მოსალოდნელი იყო \*ხედიდუშვა

**ხედ+უშვა+სგა** „რომელშიც“ ← კითხვითი ნაცვალსახელი ხედი +  
მიმართებითობის მაწარმოებელი ნაწილაკი -უშვა + თანდებულ-  
წინდებული -სგა

**ხედ+უად+დ+ი+მაგ „რომელმაც“** ← კითხვითი ნაცვალსახელი ხედი + მიმართებითობის მაწარმოებელი ნაწილაკი -უად + მოთხრობითი ბრუნვის ნიშანი -დ + გაძლიერებითი ნაწილაკი ი (← ი + ი) + განსაზღვრებითი ნაცვალსახელი მაგ, მოსალოდნელი იყო \*ხედი-დ-უად-ი-მაგ ან \*ხედი-დ-ი-უად-მაგ

**ხედ+უად+შდ+ი+მაგ „რომლისთვისაც“** ← კითხვითი ნაცვალსახელი ხედი + მიმართებითობის მაწარმოებელი ნაწილაკი -უად + მოქმედებითი ბრუნვის ნიშანი -შდ + გაძლიერებითი ნაწილაკი ი (← ი + ი) + განსაზღვრებითი ნაცვალსახელი მაგ, მოსალოდნელი იყო \*ხედი-შდ-უად-ი-მაგ ან \*ხედი-შდ-ი-უად-მაგ

**ხედ+უად+თ „რომლისკენაც“** ← კითხვითი ნაცვალსახელი ხედი + მიმართებითობის მაწარმოებელი ნაწილაკი -უად + მიმართულების აღმნიშვნელი თანდებული -თ

**ხედი+არ+ს+უად „რომლებსაც“** ← კითხვითი ნაცვალსახელი ხედი + მრავლობითი რიცხვის მაწარმოებელი სუფიქსი -არ + მიცემითი ბრუნვის ნიშანი -ს + მიმართებითობის მაწარმოებელი ნაწილაკი -უად

**ხედა+არ+დ+უად „რომლებმაც“** ← კითხვითი ნაცვალსახელი ხედი + მრავლობითი რიცხვის მაწარმოებელი სუფიქსი -არ + მოთხრობითი ბრუნვის ნიშანი -დ + მიმართებითობის მაწარმოებელი ნაწილაკი -უად

**ხედ+ოლ+უ „რომლებიც“** ← კითხვითი ნაცვალსახელი ხედი + მრავლობითი რიცხვის მაწარმოებელი სუფიქსი -ოლ + მრავლობითი რიცხვის მაწარმოებელი სუფიქსი -უ

**ხედ+ოლ+უ+ს „რომლებსაც“** ← კითხვითი ნაცვალსახელი ხედი + მრავლობითი რიცხვის მაწარმოებელი სუფიქსი -ოლ + მრავლობითი რიცხვის მაწარმოებელი სუფიქსი -უ + მიცემითი ბრუნვის ნიშანი -ს

**ხედ+ოლ+უ+ხენ+ქა „რომლებიდანაც“** ← კითხვითი ნაცვალსახელი ხედი + მრავლობითი რიცხვის მაწარმოებელი სუფიქსი -ოლ + მრავლობითი რიცხვის მაწარმოებელი სუფიქსი -უ + თანდებული -ხენ + თანდებულ-წინდებული ქა...

**ეერ+უად/უად/უად „რომელიც“** ← კითხვითი ნაცვალსახელი ეარ + მიმართებითობის მაწარმოებელი ნაწილაკი -უად/უად

**დარ+ი+მაგ „ვინც“** ← კითხვითი ნაცვალსახელი დარ + გაძლიერებითი ნაწილაკი ი (← ი + ი) + განსაზღვრებითი ნაცვალსახელი მაგ

**ეერ+უად//ეერ+უად** ← კითხვითი ნაცვალსახელი ეარ + მიმართე-

ბითობის მაწარმოებელი ნაწილაკი -უშვ-//უშვ

**ერ+უა+დ „ვინც“** ← კითხვითი ნაცვალსახელი დარ + მიმართებითობის მაწარმოებელი ნაწილაკი -უა (← -უშვ-//უშვ) + მოთხრობითი ბრუნვის ნიშანი -დ

**ერ+უშვ+დ//ერ+უშვ+დ „ვინც“** ← კითხვითი ნაცვალსახელი დარ + მიმართებითობის მაწარმოებელი ნაწილაკი -უშვ-//უშვ + გაძლიერებითი ნაწილაკი ო (← ო + ო) + მოთხრობითი ბრუნვის ნიშანი -დ...

**ეფშ+უშვ „ვისაც“** ← კითხვითი ნაცვალსახელის დარ'ის მიც. ბრ. ფორმა + მიმართებითობის მაწარმოებელი ნაწილაკი -უშვ

**ეშ+უშვ+შ „ვისიც“** ← კითხვითი ნაცვალსახელის დარ'ის ნათესაობითი ბრუნვის ფორმა + მიმართებითობის მაწარმოებელი ნაწილაკი -უშვ + ნათესაობითი ბრუნვის ნიშანი -შ (← -იშ)...

**ეს+უშვ+ს „ვისაც“** ← კითხვითი ნაცვალსახელის დარ'ის ნათესაობითი ბრუნვის ფორმა + მიმართებითობის მაწარმოებელი ნაწილაკი -უშვ + მიცემითი ბრუნვის ნიშანი -ს

**ეს+უშვ+შ+ხენ+ქა „ვისგანაც“** ← კითხვითი ნაცვალსახელის დარ'ის ნათ. ბრ. ფორმა + კითხვითი ნაცვალსახელის დარ'ის მიც. ბრ. ფორმა + მიმართებითობის მაწარმოებელი ნაწილაკი -უშვ + ნათესაობითი ბრუნვის ნიშანი -შ (← -იშ) + თანდებული -ხენ + თანდებულ-წინდებული ქა...

**მპ+ზუ „რამდენიც, რამხელაც“** ← კითხვითი ნაცვალსახელი მპ + მაწარმოებელი ელემენტი ზუ (← ქართ. ზომა)

**მად+ზუმ+ი||მპ+ზუმ+ი||მა+ზუმ+ი „რამდენიც, რამხელაც“** ← კითხვითი ნაცვალსახელი მად||მპ||მა + მაწარმოებელი ელემენტი ზუმ (← ქართ. ზომა) + გაძლიერებითი ნაწილაკი ო (← ო + ო)

**მა+ზუმ+უშვ||მა+ზუმ+უშვ||მპ+ზუმ+უშვ „რამდენიც, რამხელაც“** ← კითხვითი ნაცვალსახელი მა||მპ + მაწარმოებელი ელემენტი ზუმ (← ქართ. ზომა) + მიმართებითობის მაწარმოებელი ნაწილაკი -უშვ-//უშვ

**მპ+ზუმ+ს+ი „რამდენსაც“** ← კითხვითი ნაცვალსახელი მპ + მაწარმოებელი ელემენტი ზუმ (← ქართ. ზომა) + მიცემითი ბრუნვის ნიშანი -ს + გაძლიერებითი ნაწილაკი ო (← ო + ო)

**მპ+ზუმ+ს+უშვ „რამდენსაც“** ← კითხვითი ნაცვალსახელი მპ + მაწარმოებელი ელემენტი ზუმ (← ქართ. ზომა) + მიცემითი ბრუნვის ნიშანი -ს + მიმართებითობის მაწარმოებელი ნაწილაკი -უშვ...

**უოშავ** „რამდენიც“ ← კითხვითი ნაცვალსახელი **უოშა** + მიმართებითობის მაწარმოებელი ნაწილაკი **-ავ** (**← უავ**)

**უოშა+ს+ი** „რამდენსაც“ ← კითხვითი ნაცვალსახელი **უოშა** + მიცემითი ბრუნვის ნიშანი **-ს** + გაძლიერებითი ნაწილაკი **ი** (**← ი + ი**)

**უოშ+უავ** „რამდენიც“ ← კითხვითი ნაცვალსახელი **უოშა** + მიმართებითობის მაწარმოებელი ნაწილაკი **-უავ**

**უოშ+უავ+დ** „რამდენიც“ ← კითხვითი ნაცვალსახელი **უოშა** + მიმართებითობის მაწარმოებელი ნაწილაკი **-უავ** + მოთხრობითი ბრუნვის ნიშანი **-დ**...

**მა+კალიბ** ← კითხვითი ნაცვალსახელი **მა** + მაწარმოებელი ელემენტი **კალიბ** (**← ქართ. ყალიბ-ი**)

**მა+კა+უავ** ← კითხვითი ნაცვალსახელი **მა** + მაწარმოებელი ელემენტი **კა** (**← კალიბ** ← ქართ. ყალიბ-ი) + მიმართებითობის მაწარმოებელი ნაწილაკი **-უავ**...

**იმ+კალიბ** ← კითხვითი ნაცვალსახელის **მა’ს** მიც. ბრ. ფორმა + მაწარმოებელი ელემენტი **კალიბ** (**← ქართ. ყალიბ-ი**)

**იმ+კაი+უავ** ← კითხვითი ნაცვალსახელის **მა’ს** მიც. ბრ. ფორმა + მაწარმოებელი ელემენტი **კაი** (**← კალიბ** ← ქართ. ყალიბ-ი) + მიმართებითობის მაწარმოებელი ნაწილაკი **-უავ**...

**მა+გუარ** ← კითხვითი ნაცვალსახელი **მა** + მაწარმოებელი ელემენტი **გუარ** (**← ქართ. გვარ-ი**)

**მა+გუავ+უავ** ← კითხვითი ნაცვალსახელი **მა** + მაწარმოებელი ელემენტი **გუავ** (**← ქართ. გვარ-ი**) + მიმართებითობის მაწარმოებელი ნაწილაკი **-უავ**...

**იმ+ევ** ← კითხვითი ზმნისართი **იმე** (**← იმეგ**) + ნაწილაკი **ე** (**← ი**) **ი**

**იმ+პა+ჩუ** ← კითხვითი ზმნისართი **იმ** (**← იმეგ**) + მიმართებითობის მაწარმოებელი ნაწილაკი **-უავ** + თანდებული **-ჩუ**

**იმ+პა+ხო** ← კითხვითი ზმნისართი **იმ** (**← იმეგ**) + მიმართებითობის მაწარმოებელი ნაწილაკი **-უავ** + თანდებული **-ხო**...

**შომას+ი** ← კითხვითი ზმნისართი **შომა** + მიცემითი ბრუნვის ნიშანი **-ს** + გაძლიერებითი ნაწილაკი **ი** (**← ი + ი**)

**შომ+ავ||შომ+პა** ← კითხვითი ზმნისართი **შომა** + ნაწილაკი **-ავ||-პა** (**← უავ**)

**შომ+უავ** ← კითხვითი ზმნისართი **შომა** + მიმართებითობის

მაწარმოებელი ნაწილაკი -უად და ა. შ.

მოხსენებაში სრულად იქნება წარმოდგენილი ზემოდასახელებულ მიმართებით ნაცვალსახელთა და მიმართებით ზმინიზედათა ყველა სტრუქტურული მოდელი.

## ნათელა ფარტენაძე (თბილისი)

ქვემდებარისა და შემასმენლის რიცხვში შეთანხმების საკითხი სამხრულ მეტყველებაში

სამხრულ მეტყველებაში ქვემდებარისა და შემასმენლის რიცხვში შეთანხმებისას არ არის მტკიცე წესი დაცული. შეიმჩნევა მრავალფეროვნება. კერძოდ:

1. ზნა — შემასმენელი მრავლობითში გვხვდება:

ა) მხოლობითში მდგარ სულიერი საგნის აღმნიშვნელ ქვეძღებარესთან:

მე სიძე მყავან; მეც მყავდა ბიჭი, ყურბნეთში არიან; ნენევ მომიკდენ, ბაბოვ დიმიქორწილდენ; ნენევ მეც მომიკტენ; ანალუდი მომიკდენ; ჩვენ მარადიდელი რიალი მყავნ; ერთი ძროხა მყავს, ერთი, ისიც მეყოფიან; ბუზი აფრინდებიან; კაცმა დაგაწერიეს თუ ქალმა?; თურქმა პარვა იციან; მაჭახლელი ნოჭა მყავან; ბაბოვ არ მყავან მე, იმან დაგაწერიეს; იმს დუუძახნიან თქვენი თავი; მუსაფირი გიმინარდებიან, მიამებიან; ბაბოვ ხეირსუზი მყავდენ...

ბ) მხოლობითში მდგარ უსულო საგნის აღმნიშვნელ ქვემდებარესთანც:

კაფე მაქვანან, იქ გსაქმობ; თხილი მომიკდენ; მავიწყდებიან ქართული; ტრაქტორი მყავნ; მანქანა ყავან მას...

გ) მრავლობითში მდგარ უსულო საგნის აღმნიშვნელ ქვემდებარესთან:

სახლები აქ არიან; სახლები გაქვან თქვენ?; აქა წყლები მაქვან; აქა თუთები არიან...

დ) როცა ქვემდებარედ გვხვდება კრებითი არსებითი სახელი, ან მასთან მხაზღვრელად გამოყენებული გაურკვეველი რაოდენობის აღმნიშვნელი სახელი - „ბევრი“:

**ხალხი გავლენ იქ;** აქ დიდ **ხალხს უცოცხლიან;** **ხალხი ჭალაში არიან;** **ხალხი რაცხას დეიჯერებენ;** **ხალხი ცხოვრობდენ...** „თურქეთში ბევრი ხალხი ცხოვრობენ“; „საქონელი ბევრი იყვნენ და არ ყოფნილობდენ ბალახი“; „ბევრი ხალხი იქნებიან“; „ბევრი ხალხი მეიურებიან“; „აქ ბევრი ქურთი არიან“; „აქ ბითევი ქართველი არიან“... ამავე ტიპისაა: „ბევრი ალთუნი არიან“...

**ე) როცა ქვემდებარედ განსაზღვრებითი და განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელია:**

ზოგი რჩებიან, ზოგი წადიან; ანგლიზა თელმა (ყველამ) იციან; ვინცხას უყვარან; ვინმემ არ დამაწავლეს; რაცხა თისი ემედ აქვან; ვინცხას კი დავიწყნული აქვან; ვინცხამ კი იქა იკითხეს; უველავ რაცხას მღერობენ; ზოგი შერიგდებიან ...

აქვე უნდა აღვინიშნოთ, რომ სამხრულში **ზოგი'** მრავრობითის ფორმითაც გვხვდება: **ზოგებმა ნახეს;** **ზოგები ამბობენ,** **ზოგების საქმე** კაია...

**ვ) როცა ქვემდებარეს (როგორც მხოლობითში, ისე მრავლობითში მდგარს) განსაზღვრებად ახლავს ერთზე მეტი ან განუსაზღვრელი რაოდენობის გამომხატველი რიცხვითი სახელი:**

სამი ბიჭია, სამივეს მანქანა ყავან; ბიჭი ორი არიან; შვიდი — რვა კაცი იყვენ; ორი გოგო ისტამბულ არიან; ერთი ქალი მყავდენ...

ფუტკარი ჩვენ ბევრი მყავდენ; ბევრი ქალები მოსული არიან სამსუნიდან; აქ ბევრი მოლები არიან; ბევრი ხალხი მეიურებიან; მიწა ბევრი მაქვანან; აქ ბევრი ქურთი არიან; ასკერში ბევრი ერმენები არიან; ორი — სამი გენწი ბიჭები იყვენ, ორი ქალი ახლდა და ილაპარიკეს; ათი ქმები ვართ...

**ზ) ორცნებიანი კომპოზიტით გადმოცემულ ქვემდებარესთან:** „წადიან რძალ-შვილი“; „ბაზლები გათხოვლი არიან, მარტოერთი ბერ-დედაბერი ვართ“; „დედამთილ-მამათილ არ ყავს, მემიკ-დენ“.

**2.** შედარებით ნაკლებია მრავლობითში მდგარ სულიერი საგნის აღმნიშვნელ ქვემდებარესთან მხოლობითის ფორმით შეწყობილი შემასმენელი: **კაცები მოვიდა;** „აქა იქნება თხიები, ქიები ექნება, ისენიც ექნება“; „სახში არ დევლაპარიკებთ, აქევრი კაცები არ გეოტანს“; ხან ისინი გამიდის, გავდივართ...

**3.** საინტერესოა ისეთი ფორმები, სადაც მხოლობითში მდგარ ქვემდებარესთან შემასმენელი მრავლობითშია, მაგრამ გამოხატულია არა ქვემდებარის მრავლობითობა, არამედ დამატებისა, ოლონდ სუბიექტური პირის ნიშნებით:

**ის რაში დაგჭირიან თქვენ; შავი თუთა არ მაქვან ჩვენ; დმერთ-მა გზები გეგისკნან; ის მეყოფიან ჩვენ; ჩვენ ახლა სამარგელი მაქვანან...**

### **მამია ფალავა (ბათუმი)**

#### **ექსპედიცია კლარჯელ მუჭაჭირთა შთამომავლებთან და კლარჯელში (წინასწარი მოხსენება)**

მიმღინარე 2013 წლის ზაფხულში ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართველოლოგიის ინსტიტუტის მუდმივმოქმედმა კომპლექსურმა ექსპედიციამ იმუშავა კლარჯელ მუჭაჭირთა შთამომავლებთან (6-25 ივლისი) თურქეთის რესპუბლიკის რამდენიმე ილში (საქარია, კოჭაელი, სტამბული...) და ისტორიულ კლარჯელში (3-12 აგვისტო), — ჭოროხის ქვემო წელში (ბორჩხისა და მურღულის რაიონებში). ექსპედიციის შემადგენლობაში შედიოდნენ:

I. მამია ფალავა (ხელმძღვანელი), თამარ ჩოხარაძე (მაგისტრანტი), მაია ბარამიძე (დიალექტოლოგია);

II. თინა შიოშვილი, გიორგი მახარაშვილი, მემედ ალი ქესკინი (დოქტორანტი), ნიაზ ზოსიძე (ფოლკლორი);

III. ნუგზარ მგელაძე, ზაზა შაშიკაძე (თანახელმძღვანელი), მალხაზ ჩოხარაძე, რუსლან ბარამიძე (ეთნოლოგია);

ნიკა ტუღუში (ოპერატორი), ტარიელ დიასამიძე (მძღოლი).

ვრცელი იყო ექსპედიციის გეოგრაფია: ქოჭაელის ილის გოლფიკის რაიონის სოფლები: **ჰამიდიე** (ბორჩხა), **აივაზ ფინარი** (ქვ. ჩათალ ტაში), **სირეთიე** (მურღული), **მაამურიე** (ქვ. ჩურუქ ბადერი),

**იჯაადიე** (ძვ. ალი მეზარი), **ირშადიე** (ძვ. ბერლიქი), **ნუსრეთიე** (ძვ. დოშემი), **ლუთფიე** (ძვ. ბეგოლლი), **სოფულარი** (მამანეთი//მამანათი), **ნიმეთიე** (ცოცხობა)//ცოცხობანი), **ენი ფერჲჰადიე**, **ესკი ფერჲჰადიე**...

იზმითის (ქოჩაელის) რაიონი: **ბილაბილი**, **ნუსრეთიე** (ძვ. თა-თარ ქოვ), **შირინ სულიე**, **ჩუბუჲლუ** ბალა, ჰავუზლუ ბარჩე... აზი-ზიე (ახლა ქ. კარასუს უბანი, ძვ. ჰამიდიე), **დემირაჩმა**, **კოზლული**, **ქოიმერი**.

ბურსის ილის (გუბერნია) იზნიქის რაიონის აჭარული სოფლები: **ქირქ ხარმანი**, **სარი სუ**, ჰავი თხმანი, **ქირიმთი**, **ელმალი**... (ხეობას აჭარას ეძახიან).

იზნიქი (ძვ. ნიკეა)...  
თალოვას იღწეს სოფლები: **ჩენარჯი**, **თეშვიქიე**, **ესენქოვა**, **თერ-მალი**...

არმუთის რ-ნი: **ჰაირიე**, **მეჯიდიე**, **სელიმიე**.

გემლიქის რ-ნი: **ჰაიდარიე**, **ჰამზალი**...

საქარიას (ადაფაზარი) ილი, ხენდეკის რ-ნი: **ქოშქი**, **იქ ბაალიე** (ავანა), **ესენთეცე** (ტრაპენი), **ბიჩხიაზიქი** (ქართლა), **შევქეთიე** (ქა-მელეთი), **იქრაამიე** (ხატილა — ზემო და ქვემო), **ჰამითლი**...

გევვის რ-ნი, სოფ. **ნუროსმანიე**.

საფანჯას რ-ნი, სოფ. **ერდემლი** (ძვ. ულვიე). საფანჯას რაიონში სხვა ქართული სოფლებია: **მურადიე**, **მაჰმუდიე**, **გოლდიბი**, **კადი-ფენარი**, **ახჩაი**, **კირქვენარი**, **მანექი**... ქართველები ცხოვრობენ სა-ფანჯეშიც, რაიონულ ცენტრშიც.

**ყარაფურჩეკი** (დაბა), **მეჯიდიე**, **აჟმედიე**, **ქუჩუქექი** (აქაზის რ-ნი), **ქანლიჩა** (უმეტესად აჭარლები ცხოვრობენ), **შერეფიე** (იუ-სუფელიდან (ტაო) გადმოსახლებულები ცხოვრობენ), **რიშაადიე** (ამ სოფელში ხატილელები (ართვინის მახლობელი ხეობა) სახლობენ. აქ ქართულად გაჟირვებით, მაგრამ მაინც ლაპარაკობენ, მაშინ როცა ხატილელებმა მთლიანად დაივიწყეს მშობლიური ენა)...

ისტორულ კლარჯეთში ექსპედიციამ იმუშავა **ქლასკურში**, **ხება-ში**, **მარადიდში**, **დეგეჲლის**, **მურდულისა** და **ხატილას** ხეობებში.

ყველა დასახელებულ სოფელში, ბუნებრივია, ერთნაირად არ შეუნახავთ წინაპართა ენა და ტრადიციები (%ოგიერთ სოფელში სუ-

ლაც დაუვიწყიათ ქართული, ახსოვთ მხოლოდ, რომ მათი შინაპრები ბათუმიდან მოსულან). ქართულად ლაპარაკობს უმეტესად უფროსი და საშუალო თაობა, ახალგაზრდობა — იშვიათად.

მოპოვებული მასალები საყურადღებოა:

1. სამხრული კილოების, სამხრული ფოლკლორის, ეთნოლოგის, ზოგადად სამხრული ყოფისა და კულტურის შესასწავლად;

2. მუჭაჭირთა შთამომავლების კომპაქტური დასახლებები თურქეთის რეგიონებში და შეგროვებული დიალექტოლოგიური მასალები ცხადყოფს: ა. მუჭაჭირთა შთამომავლების მეტყველება არაა ერთიანი და საინტერესოა იგი კონკრეტული დიალექტის შესასწავლად; ბ. მუჭაჭირ კლარჯთა შთამომავლების მეტყველებაში ხელშესახებია სხვაობა მურლულისა და დევსელის ხეობებისა (ვუწოდოთ — ზემოკლარჯული) და ბორჩხის (ვუწოდოთ — ქვემო კლარჯული) მეტყველებას შორის. ყველაზე ხელშესახებია სხვაობა სახელისა და ზმნის სინტაქსურ ურთიერთობაში;

3. კლარჯეთიდან გადასახლებულ მუჭაჭირებს ახალ სამშობლოში საკარმიდამო მოუწყვიათ მშობლიურის მსგავსად, შეუნახავთ მამა-პაპათა ადათები და ტრადიციები, ადგილებზე უწოდებიათ ქართული სახელები: ბორჩხა, აჭარა, მამანეთი//მამანათი...

4. კლარჯელ მუჭაჭირთა შთამომავლებმა არ იციან ტელი ქართული გვარ-სახელები, მაშინ როცა აჭარლებმა და მაჭახლელებმა უმეტესად იციან. ქართული გვარის ნაცვლად კლარჯი ასახელებს ლალაბს/ლაყაფს (სიგელს, ძეგლს, მეტსახელს) ან ჩამომავლობის სახელს (სულალე), რაც გვარ-სახელი ნამდვილად არ არის.

5. მუჭაჭირთა სოფლებში ცხოვრობენ ლაზებიც. ადგილობრივები განარჩევენ: „მოხტი ლაზი” — ვინც ლაზური იცის, „ოფლი” — ოფელი, ვინც ლაზური არ იცის...

## ნათია ფონიავა (თბილისი)

### რელიგიური ლექსიკისათვის მეგრულ იდიომებში

მოხსენებაში განვიხილავთ რელიგიური ლექსიკის შემცველ მეგრულ იდიომებს. საანალიზოდ აღებულია ლექსიკონებიდან მოძიებული მასალა, ასევე ჩვენ მიერ ჩაწერილი ფრაზეოლოგიური ერთეულები.

მოპოვებული მასალის მიხედვით, გამოვლინდა შემდეგი ღერძული (საყრდენი) სიტყვების მქონე იდიომები:

**ღორონთი**, „ღმერთი“: **ღორონთშა ტოტიშ მოსუმალა** „მიუწვდომლის მიწვდენა“ (ზედმიწ. „ღმერთისათვის ხელის შეხება“) (აღსანიშნავია, რომ **ღორონთ-** ფუნქცის შემცველი ფრაზეოლოგიური შესიტყვებები განხილული აქვს ც. ჭანჭლავას);

**ეშმაკი:** **ეშმაკეუზიშა მიყოფურტინუა** „გონზე მოსვლა, ჰქუს მოხმობა, სიკეთისაკენ შემობრუნება, ბოროტ განზრახვაზე ხელის აღება“ (ზედმიწ. ეშმაკებზე მითუროთხება“);

**ანგელოზი:** **გადომიშეურინუა ანგელოზეფი** „არ შემაშინო, გული არ გამიხეთქო“ (ზედმიწ. „ანგელოზები არ შემიშინო“);

**ჯვარი:** **ჯვარ უწერს** „ცუდი აშოროს, ყოველგვარი უბედურება ასცდეს; ჯვარი სწერია“ (ზედმიწ. „ჯვარი უწერია“);

**ხატი:** **ხატიშა გინოჩამა** „დაწყევლა, შეჩვენება, შერისხვა“ (ზედმიწ. „ხატზე გადაცემა“);

**წირუა**, „წირვა“: **წირუა გაგთუცონ** „დაღალა, ძალა გამოაცალა“ (ზედმიწ. „წირვა გამოუყვანა“);

**პაპა**, „მღვდელი“: **ბორო პაპაშ ნანათა** „ბრიყვი, უჟკუო“ (ზედმიწ. „სულელი მღვდლის მონათლული“);

**თანაფა**, „აღდგომა“: **თანაფაქ გომთანდგ** „ძლიერ გახარება, აღფრთვანება, შვების გრძნობა (რაიმე შემთხვევის გამო)“ (ზედმიწ. „აღდგომა გამითენდა“);

**ზიარობა**, „ზიარება“: **ზიარობაშ წყარცალო მოჟიშაფა** „ხსნა, შველა“ (ზედმიწ. ზიარების წყალივით მოსწრება“);

**წმინდა შური**, „წმინდა სული“: **გარე წმინდა შურიში** „არაა პატიოსანი, წესიერი“ (ზედმიწ. „არაა წმინდა სულის“);

**წკონდა წყარი** „წმინდა წყალი“: **წკონდა წყარიში მაშუმალი** „ნამდვილი, ჰეშმარიტი; უზადო, უნაკლო“ (ზედმიწ. „წმინდა წყლის დამლევი“);

**მამაო ჩვენო:** **მამაო ჩვენოცალო კითხირი** „გაზეპირებულივით და ჩქარ-ჩქარა წაკითხვა რაიმესი“ (ზედმიწ. „მამაო ჩვენოსავით კითხვა“);

**მონასტერი:** **მონასტერიში არიება/მუნორთა** „არეულობისა და უთავბოლობის გამეფება, უწესრიგობა“ (ზედმიწ. „მონასტრის არევა, გაღაბრუნება“);

**ჭითა კვერცხი** „წითელი კვერცხი“: **ჭითა კვერცხი** „წითელი კოჭი. განსაკუთრებული, გამორჩეული ვინმე“ (ზედმიწ. „წითელი კვერცხი“);

**სანთელი:** **სანთელით ოგორალი** „ძნელად საშოვარი, იშვიათი რამ, ვინმე“ (ზედმიწ. „სანთლით საძებარი“);

**წესიშ ეგაფა** „წესის აგება“: **წესიშ ეგაფა** „სამაგიეროს მიზღვა, ბოლოს მოღება“ (ზედმიწ. „წესის აგება“);

**ჯოჭოხეთი:** **ჯოჭოხეთიშ მაშხალა** „უშინ, უსახური, გონჯი ჭალი“ (ზედმიწ. „ჯოჭოხეთის მაშხალა“);

**ჯანდაბა:** **ჯანდაბაშა ულა** „შორს, მოუსავლეთში, დასაღუპავში წასვლა“ (ზედმიწ. „ჯანდაბაში წასვლა“);

**ღდინი** „რჯული, რწმენა“: **ღდინიშ გომანუა** „შურისძიება, სამაგალითოდ დასჭა“, (ზედმიწ. „რჯულის, სარწმუნოების გატრუსვა“);

**ცოდა** „ცოდვა“: **ცოდაში კითხირი** „უბედურება, საშინელება“ (ზედმიწ. „ცოდვის კითხვა“);

**მეტანია:** **მეტანიას გიორთვე** „ძლიერი წუხილი რაღაცის გამო, ბოლთის ცემა“ (ზედმიწ. მეტანიას აკეთებს“);

**ელისამეთი** „იერუსალიმი“: **ელისამეთიშე ჭინა** „უმიზნო ცქერა, განზე ყურება“;

ზემოხსენებული ღერძული სიტყვების მქონე ყველა იდიომს აქვერ წარმოვადგენთ. ამ ეტაპზე სტატისტიკური კვლევა არ გვიწარმოებია, ვინაიდან ჩვენ ხელთ არსებული მასალა არ არის სრული, თუმცა ზოგადი დაკვირვება გვიჩვენებს, რომ მეგრულ იდიომებში **ღორონთ- „ღმერთი“** ფუძეზე უფრო ეშმაკ- „ეშმაკი“ ფუძე გვჩვდება; ასევე ნათლად იკვეთება ბუნებრივი ტენდენცია, რომ **ღორონთ-ს**

უკავშირდება დადებითი სემანტიკის გამოხატვა, **ეშაკ-ს** — უარყოფითი.

მეგრულში გამოვლენილი ზოგიერთი იდიომი ქართულში ვერ დავადასტურეთ: **ხეს სანთელიში აშაჭუაფა** „იმედის გაცრუება, მოტყუება, დაღალატება“ (ზედმიწ. „ხელში სანთლის ჩაწვა“).

მოძიებული მასალის ვრცელ ანალიზს მოხსენებაში წარმოვადგენთ. საკითხის სრულყოფილად შესწავლის მიზნით ამ მიმართულებით კვლევის გაგრძელება მომავალშიც ივარაუდება.

## ნინო ფხაკაძე (ქუთაისი)

### დიალექტურ ერთეულთა ფუნქცია ფორმულულ დისკურსში

სხვადასხვაგვარი საკომუნიკაციო სიტუაცია ამჟღავნებს ენობრივი კოლექტივის მსოფლედვის თავისებურებებს, მენტალურ ბუნებას, სოციალურ მიმართებებს. ახალი ტექნოლოგიების განვითარებამ ხელი შეუწყო სოციალური ურთიერთობების გაფართოებას, რაც შესაბამისად აისხა ენაზეც. ელექტრონულმა კომუნიკაციამ ინტერაქციას შესძინა პიბრიდული სახე, რომელშიც წერითი და ზეპირი მეტყველების მახასიათებლებს დაემატა ელექტრონულიც. ამ თვალსაზრისით საინტერესოა ქართული ინტერნეტფორმულების ენა.

მიუთითებენ, რომ ფორმულულ მეტყველებაზე გავლენას ახდენს როგორც მედიუმის ტექნიკური მონაცემები, ასევე საკომუნიკაციო სიტუაცია, ქართული ენის ლინგვისტური მახასიათებლები და მომხმარებლის პირადი მონაცემები.

ლინგვისტური ხერხები, რომლებითაც მომხმარებელი აზრის გამოხატვას ცდილობს, მრავალრიცხვანია. მათ შორის ერთ-ერთი ხშირად გამოყენებული ხერხია სამეტყველო კოდთა მონაცვლეობა.

სამეტყველო კოდთა მრავალფეროვან მიმართებებს შორის საინტერესოა სტანდარტული ენისა და დიალექტების მონაცვლეობა, რაც ფორმულულ მეტყველებაში სხვადასხვა ფუნქციის მქონეა.

დიალექტურ ერთეულთა რეალიზების სპეციფიკას განსაზღვრავს დიალოგში ჩართულ პირთა სოციალური სტატუსი, საკომუნიკაციო მიზანი, სასაუბრო თემა, პერსონალური მახასიათებლები. ინტერაქციის ძირითადი ემოციური ველია იუმორი, ირონია, კონტრასტულობის ხაზგასმა, სოციალურ იერარქიაზე მინიშნება, რეგიონული მახასიათებლების აქცენტირება.

სტატიაში ქართული ინტერნეტფორმების ენა განხილულია სტანდარტული ენისა და დიალექტების მონაცვლეობის ჭრილში, წარმოჩენილია ფორმულულ დისკურსში დიალექტურ ერთეულთა გამოყენების სიხშირე, პირობები, ფუნქციები.

## ხათუნა ყანდაშვილი (თბილისი)

### მეორე სუბიეტური და მესამე ობიექტური პირის გამოხატვა კახურში

ქართული ენის კახურ დიალექტში ზმნაში მეორე სუბიექტური პირისა და და მესამე ობიექტური პირის ნიშნების (ჰ-, ს-) ვარიანტები მრავალფეროვანია. როგორც ცნობილია, ნორმის მიხედვით თანამედროვე ქართულში მეორე სუბიექტურ პირს ნიშანი აღარ აქვს. მესამე პირდაპირი ობიექტური პირის ნიშანი ზმნაში არ აღინიშნება, ხოლო ირიბი ობიექტური პირი კი გამოხატება.

ამ მხრივ კახურში საინტერესო ვითარება გვაქვს. მასალის დამუშავების შედეგად გამოვლინდა, რომ ზმნაში პირდაპირ ობიექტს მესამე პირში ნიშანი ჩვეულებრივ მოუდის. ეს ნიშნებია :

**ა: მოღვლის, გადშლის, გადწერთნის.**

**ზ: ზ-დემდა.**

**მჲ: შე-მჲ-კრავს**

**მ-ის** გვერდით ჰ-ს გამოყენება, ვფიქრობთ, აძლიერერებს მნიშვნელობას. **შედეკრავს** ნიშნავს, რომ ძნას შეკრავს, ანუ მოქმედებას მომავალში შეასრულებს, ხოლო **შედჲკრავს** აღნიშნავს, რომ ძნას მაგრად შეკავს.

არის ისეთი შემთხვევები, სადაც უნდა იყოს მესამე პირდაპირი ობიექტის პირის ნიშანი, მაგრამ ზმნაში არ ვლინდება. ასეთი შემთხვევები ძირითადად გარეკახურში შეინიშნება:

### **სოცებს.**

ამ ზმნის დიალექტური ფორმა არის **მხოცაშს** (ზმნას თავში უნდა ჰქონდეს **მ** პირდაპირი ობიექტური პირის ნიშნად).

ირიბი ობიექტური პირის ნიშნები ჩვეულებრივ აღინიშნება ზმნაში. ეს ნიშნებია:

**მ: მჟეროდა.**

**ჰ: ჰეიდიაო.**

**ზ: ზდომნია.**

**შ: დაშვირდება.**

სამპირიან ზმნაში გამოხატულია მესამე ირიბი ობიექტური პირის ნიშანი. მაგალითად: **მოჰვევარა.**

კახურში აგრეთვე დასტურდება მოჰვევარა ზმნის პარალელური ფორმები: **მოჰვევარა// მაჰვევარა,** მოჰვევარა სალიტერატურო ქართულიდან უნდა იყოს შესული და დამკვიდრებული.

გარეკახურში დასტურდება ისეთი შემთხვევები, სადაც მოსალოდნელი მესამე ირიბი ობიექტის ნიშანი — **მ** ზმნაში არ არის წარმოდგენილი: **უვანდა.**

ამგვარი ზმნები ძირითადად გარეკახურში გვხვდება. ეს ინდივიდუალური თავისებურება ჩანს. მთქმელი ზმომერეთიდანაა ჩასახლებული და შესაძლოა ეს ფაქტი განაპირობებს იმას, რომ იგი არ იყენებს კახური დიალექტის ფორმებს. დიალექტური ნორმის მიხედვით უნდა იყოს **მყვანდა.**

მნიშვნელოვანია ერთი ფაქტიც: ქართული ენის კახურ დიალექტში ზმნაში გამოიყენება მეორე სუბიექტური პირის ნიშანი **მ.**

**მ: მზინარ.**

**მწევხარ.**

ალსანიშნავია, რომ დღევანდელ კახურ დიალექტში ამგვარ ზმნებში ს- გვაქვს პირის ნიშნად:

**სწევხარ.**

**გისდინარ.**

როგორც ჩანს, ხდება დიალექტური ფორმის „გალიტერატურება“ ისევ დიალექტური ფორმით. მეორე სუბიექტური პირის ნიშნად

ს მორთვების გამოყენება ზმნაში მეტწილად ახალგზარდების მეტყველებაში შეინიშნება.

## ନାୟକ ଶାପର୍କେଶୀବି (ତଥିଲୋସି)

## ქვემდებარული დამოკიდებული წინადაღებისათვის სკანურში

ქვემდებარულია დამოკიდებული წინადაღება, რომელიც მიემართება, ხსნის და აზუსტებს მთავარ წინადაღებაში ნაცვალსახელით გამოხატულ ან ნაგულისხმევ ქვემდებარებს. მაგ.:

ერტყდეს ჩავუ მშვი ხაყა, **ეკეგ** ხეკუტეს უ'პნდიანას (ლნტ., სვან. ქრესტ., 293,18) „ისიარე ქენი არ ჰყავს, მან ორთა ითხოვოს“

იარი ხიმნარიდ ათხე მიშეტი გარებლას, **ეჭიარ** გარ ახეზნდად ჟი  
(ლშე.) „ვინც ისმენთ ახლა ჩემ საუბარს, მხოლოდ ისინი წამოდექით“

სვანურში აღნიშნულ ჰიპოტეზურ წინადაღებებში კორელატი თითქმის ყოველთვის წარმოდგენილია, მთავარში მისათითებელი სიტყვის გამოტოვების შემთხვევები იშვიათია: ერტყად ქმნა მათ და, ქრონთე ესჭომას (ჩოლ.) „ვინც გარეთ იყვნენ, სახლში შერბოლნენ“

როგორც ცნობილია, სახელით გამოხატული წევრების ამხსნელ დამოკიდებულ წინადადებებში საკავშირებელ საშუალებებად, ძირითადად, მიმართებითი ნაცვალსახელები გამოიყენება. სვანურში ქვედებარულ დამოკიდებულ წინადადებაში დამოკიდებულის მთავართან შესაერთებლად გვხვდება მაქვემდებარებელი კავშირის ფუნქციის მქონე შემდეგი მიმართებითი ნაცვალსახელები: **ერუშავერუშავერ-უშავერუშავერუშავერ** „ვინც“, ესუბავერუშავეს „ვისაც“, აარსა „ვისაც“, ხედუშავეხედუშავეხედუშავეხედი „რომელიც“, მავერუშავე „რაც“... სხვადასხვა ბრუნვის ფორმით და **ერევერერე** „რომ“ მაქვემდებარებელი კავშირი.

საკავშირებელ სიტყვათაგან სკანურის ამ სახის ჰიპოტეზურ  
წინადაღებაში გაძატონებულია **ერტვერტვედარი** „ვინც“ მიმართე-  
ბითი ნაკვალსახელი, რომელიც **უტვრდა**, ი. კავშირის ნაწილაკდართული

დასტურდება. აღნიშნულ ნაწილაკთა გამოყენების თვალსაზრისით, სვანურის დიალექტებში არაერთგვაროვანი სურათი გვაქვს. ლაშეური და ჩოლურული -ი ნაწილაკიან მიმართებით ნაცვალსახელებს ანიჭებენ უპირატესობას, დანარჩენი დიალექტებისაგან განსხვავებით, სადაც - **უძველესი** ნაწილაკი დომინირებს:

ეჯი დემ იგნი თამადად, **თარ-ი** არაყს დეშა ითრე (ლშხ.) „ის არ დგება თამადად, ვინც არაყს ვერ სვამს“

მახე ამსუალდი დაგრას **თარ-ი** ქა იკუდენი, მეტარ ხამჭირ ეჯის ლიბურნალ (ჩოლ). „ახალგაზრდა ადამიანის სიკვდილს ვინც გებულობს, ძალიან ეზარება მას ამის გამხელა („გაცხადება“)“

მანკუ ხოშა **ერ-უძა** ირი ქორისგა ღუაუმარე, ეჯი ხოჯელუ სგუებინ (ბქ., სვან. პროზ. ტექსტ., 77,37) „უფროსი ვინც იქნება სახლში კაცი, ის მიუძღვება წინ“

მოხსენებაში განხილული იქნება ზემოთ ჩამოთვლილი საკავშირებელი საშუალებებისა და მისათთითებელი სიტყვების გამოყენების შემთხვევები, ასევე ქვემდებარული დამოკიდებული წინადადებების პოზიცია სვანურის ყველა დიალექტის (მათ შორის ჩოლურული მეტყველების) მონაცემთა გათვალისწინებით.

## ნინო შარაშენიძე (თბილისი)

### მოდალობის გამოხატვის ენობრივი საშუალებები ქართული ენის დასავლურ დიალექტებში

მოდალობა არის გამოხატვისადმი მთქმელის დამოკიდებულების გამოხატვა სხვადასხვა ენობრივი საშუალებით. იგი სემანტიკური კატეგორია, ამასთანავე უნივერსალური და ყველა ენაში გაღმიაცემა, მაგრამ განსხვავაებული ენობრივი მონაცემებით. მოდალობის კატეგორიის გამოხატვა ქართულ ენაში ხდება კილოსა და მოდალური ფორმების მეშვეობით. დიალექტებშიც იგივე ენობრივი სისტემა მოქმედებს, რაც სალიტერატურო ქართულში და იგივე მოდალური ფორმები ფუნქციონირებს, მაგალითად, დიალეტებში მთქმელის და-

მოკიდებულებას გამოხატავს **უნდა, ეგებო, იქნება** მოდალური ფორმები. დიალექტებში მოდალობის გამოსახატავად ასევე დასტურდება ისეთი ენობრივი საშუალებები, რომლებიც არაა დამახასიათებელი სალიტერატურო ენისათვის. ამგვარი საშუალებებია **ჭე / ჭი, მოდალური ელემენტები, რომელიც გვხვდება დასავლურ დიალექტთა უმრავლესობაში.** ასევე ვლინდება მოდალური კონსტრუქციები, რომლებშიც მონაწილეობს **ჭე / ჭერო** და **წევე** კავშირები, რომელთა საშუალებით შექმნილი კონსტრუქციები სხვადასხვა სემანტიკას გამოხატავს. ამ კონსტრუქციებში ვლინდება მთქმელის დამოკიდებულება და შეფასება **წინადადებაში** გაღმოცემული ფაქტისადმი. ეს კონსტრუქციები საინტერესოა იმის გამოც, რომ სალიტერატურო ქართულში მათი შესაბამისი კავშირები არ დასტურდება.

## ეთერ შენგელია (თბილისი)

### სამოსლის აღმნიშვნელი ლექსიკის ერთი ჯგუფი მეგრულ იდიომატურ გამოთქმებში

სამოსლის სხვადასხვა სახე არსებობს, რომელთაც, ბუნებრივია, შემადგენელი ნაწილები გააჩნია. ბევრი მათგანი გამოვლენილია იდიომატურ გამოთქმებში.

#### 1) მეგრ. **ოცალეში** || **ოცალე „საყელო“**

მეგრ. **ოცალეში** || **ოცალე ეფშა მაფუ** 1) „ბევრი მოვალეობა მაკისრია;“ 2) „ბევრი ვინმე მყავს სარჩენი“ (ზედმიწ. „საყელო სავსე მაქვს“).

მეგრ. **ოცალეშის ალაციმა** გადმოცემის მიხედვით, შიმშილობის წლებში სუფრიდან შინ წასალებ საჭმელს იპარავდნენ და საყელოდან იყრიდნენ უბეში. აქედან გამოთქმა: **ოცალეშის ალგმოცენსგ „საყელოში მიცვივა, ე. ი. უგემურად, ნაქურდალივით ვჭიმ, დამნაშავედ ვგრძნობ თავს.“**

მეგრ. **ოცალეშიშ(ი) ელაფართხუა „საყელოს ამოფერთხვა“.** როგორც აღნიშნავენ, ავტედობის ჟამს სუფრაზე ნაპარავს საყელო-

დან, საკინძიდან იყრიდნენ უბეში, ამიტომ საყელოს ამოთერთხვით ამტკიცებდნენ, ნაქურდალი არა მაქვსო. გადატანით ნიშნავს: „ამ საქმეში უბრალო ვარ“ (შდრ. ქართ. **საყელოს ამობერტყვა** „რისამე მოცილების ნიშანი, ბოროტსა და სიავეს განრიდება, უდანაშაულოდ აღიარება თავისა“).

2) მეგრ. **ორტყაფუ „სარტყელი“**

მეგრ. **ორტყაფუ მოლაფირი აფუ „ძალზე მოშიებულია (ზედ-მიწ. „სარტყელი შეხსნია, ჩავარდნია“ (შდრ. ქართ. **ქამრის დაკარგვა**).**

მეგრ. **ორტყაფუცალო ქვეთიკარკატანქე (II ქვეთიკოთანქე)** **ხეშა „გაფანადგურებ, დაგიმორჩილებ“** (ზედმიწ. „ქამარივით დაგიხვევ ხელზე“).

3) მეგრ. **ნაბადი**

მეგრ. **ნაბადით ვარე რთვილი ქიცანა (II ქიანა)** „სიმართლე არ იყარება“, არაფერი არ დაიმალება“, „გაუმჟღავნებელი არაფერი არ დარჩება“ (ზედმიწ. „ნაბადით არ არის ქვეყანა დახურული“).

მეგრ. **ნაბადიშორო მიყოფინგდუა კოჩი „მთელი ადგილი ხალხს დაეკავებინა; ადგილი აღარ იყო; ხალხის ტევა არ იყო“** (ზედმიწ. „ნაბადიგით იყოო მოფენილი ხალხი“).

მეგრ. **მა დო ჩქიმი ნაბადია „მთელი ჩემი შესაძლებლობით აქა ვარ“, (ზედმიწ. „მე და ჩემი ნაბადიო“).**

4) მეგრ. **ჯიბე „ჯიბე“**

მეგრ. **ჯიბე ეფშა (II გოკასილ-ი)** „მდიდარი, ბევრი ფულის პატრონი“, (ზედმიწ. „ჯიბესაგსე, გატენილი“ (შდრ. ქართ. **ჯიბეგატენილი**).

მეგრ. **ჯიბეშა ალახუნაფა** „მოტყუება, გაცრუება, ჯობნა რამე საქმეში, უპირატესობა ჭკუით, შეძლებით, ღონით, ცოდნით“ (ზედ-მიწ. „ჯიბეში ჩასმა“ (შდრ. ქართ. **ჯიბეში ჩასმა (გისმე)**).

მეგრ. **ჯიბეწკმა უკარსათ ვორექე** „ხელმოკლედ, უფულოდ ვარ“ (ზედმიწ. „ჯიბესთან უკაცრავად ვარ“, შდრ. ქართ. **ჯიბესთან უკაცრავად ყოფნა**).

მეგრ. **აბა, ჯიბეშა ქიმიქანჩევა!** „აბა, ფული გაეციო“ (ზედმიწ. „აბა, ჯიბეზე მოიქაჩე (ხელი)“ (შდრ. ქართ. **ჯიბეს გაიკარ ხელია!**).

მეგრ. **ჯიბე გორხვილი „ღატაკი“** (შდრ. ქართ. **ჯიბეგახვრეტილი**).

მეგრ. ჭიბე ფართხილი „არაფრის მქონე“ (ზედმიწ. „ჭიბე გამო-ფერთხილი“).

მეგრ. ჭიბეშა ჭუკი აფუ ალალურელი „არაფერი არ გააჩნია“ (ზედმიწ. „ჭიბეში თაგვი ჰყავს ჩამკვდარი“) (შდრ. ქართ. ჭიბეში თაგ-ვები უთამაშებენ).

მეგრ. ჭიბე ჭვილი-ი „მუნწი“ (ზედმიწ. „ჭიბედამწვარი“).

5) მეგრ. ძიქვა || შალვარი || შალუარი „შარვალი“

მეგრ. ძიქვას || შარვალს ეშე გამგონწყვენებ „სასწაულს და-გმართებ, შეუძლებელს გაგიკეთებ“ (ზედმიწ. „შარვალს ზემოდან, კა-ბასავით გაგხდი“).

მეგრ. ძიქვამო ონთხორალი „შარვლით დასამარხი (წყევლის ფორმულაა, რაც ნიშნავს — „სუდარა არ გლირსებოდეს“. გადმოცე-მის მიხედვით, სუდარა საშიშვლო იყო, ხელმოკლე ჭირისუფალი მკვდარს იმით მარხავდა, რაც ეცვა ან ჩატულს ოდნავ წააფარებდა სასუდარო ნაჭერს)“.

საანალიზო ლექსიკური ერთეულები საინტერესოა სტრუქტუ-რულ-სემანტიკური, ისტორიულ-ეტიმოლოგიური, ეთნოგრაფიული, ლინგვიკულ-ტუროლოგიური თვალსაზრისით. ისინი ფორმობრივ და სემანტიკურ შესატყვისებს ავლენენ ქართულ სალიტერატურო ენასა და დიალექტებში დადასტურებულ იდიომებთან, თუმცა ზოგჯერ სე-მანტიკა განსხვავებულია.

## ვაჟა შენგელი (თბილისი)

### გერიშ გემახვენები

(მიმღეობა — იდიომის ერთ-ერთი კომპონენტი მეგრულში)

იდიომი ენობრივი სისტემის ერთ-ერთი ძირითადი სტრუქტუ-რულ-სემანტიკური ერთეულია, რომლის კვლევა მნიშვნელოვანია რო-გორც მორფოლოგიურ-სინტაქსური, ისე შინაარსობლივი თვალსაზ-რისით. ამ ენობრივი ერთეულის სათანადოდ შესწავლა ქართველურ

ენებში ჭერ კიდევ დიდ ძალის ხმევას მოითხოვს. ეს განსაკუთრებით მეგრულ-ლაზური ენის მიმართ ითქმის. ამ ხარვეზის გარკვეულწილად ამოცსებას ისახავს მიზნად მკვლევართა ჯგუფი, რომელიც რუსთაველის ფონდის მიერ დაფინანსებული პროექტის ფარგლებში მუშაობს. ამ მუშაობის ერთი, მცირე ნაწილი წარმოდგენილი იქნება ამ მოხსენებაში.

მოხსენება ეხება ისეთ იდიომატურ გამოთქმებს, რომლებიც სტრუქტურული თვალსაზრისით მსაზღვრელ-საზღვრულებია: მსაზღვრელი ნათესაობით ბრუნვაში დასმული არსებითი სახელია, საზღვრული — მიმღეობა, სასუბიექტო თუ საობიექტო.

### ა) სასუბიექტო მიმღეობა იდიომში

1. **გურიშ გემახვენჯი „ყოჩალი, გამბედავი“**, ზედმიწ. „მგლის (მგელზე) მჯდომი“. გამოთქმა ისეთი აღამიანის (განსაკუთრებით ქალის) მიმართ გამოიყენება, რომელიც ვაჟკაცობით, გაბედულებით გამოიჩინა. სტრუქტურით ეს გამოთქმა მართული მსაზღვრელ-საზღვრულია. საზღვრული გემახვენჯი სასუბიექტო მიმღეობაა (მაწარმოებელია პრეფიქ-სუფიქსი **მა — ჯ**). ამ მიმღეობას იდიომში შეიძლება სხვა ვარიანტები ჩაენაცვლოს: **გიმახვენჯი || გემახუნალი || გომახუნალი**;

2. **ტურაშ მაჭკალარი „მოხერხებული, მარჯვე“, ზედმიწ. „ტურის შველავი“**. იტყვიან ადამიანზე, ვინ მოხერხებულობით არის გამორჩეული. **ჭვალ-** „წველა“ ზმის ფუძეა, მიმღეობას **მა — ალ** აწარმოებს;

3. **წყირიშ მატყაბარალი „წვრილმანი, ყველაფერზე წამსვლელი ადამიანი“, ზედმიწ. „რწყილის გამტყავებელი“**. მიემართება ადამიანს, რომელიც ცდილობს წვრილმანი საქმიანობით დიდი სარგებელი ნახოს. მიმღეობა ნაწარმოებია **ტყაბარ-** „გატყავება“ ფუძისაგან **მა — ალ** კონფიქსით.

4. ანალოგიური მნიშვნელობით იხმარება **წყირიშ მაყვარალი ზედმიწ. „რწყილის (და)მკოდავი“**. მიმღეობის მაწარმოებელი აქაც არის **მა — ალ**.

5. **შურის ეშმალარი „გამწვალებელი, მტანგველი, სულის ამომრთველი“, ზედმიწ. „სულის ამომღები“**. **მა — არ-ით** ნაწარმოებ მიმღეობას თუ მასდარით ჩავანაცვლებთ, იდიომატურობაც შენარ-

ჩუნდება და სათანადოდ მნიშვნელობაც: **შურიშ ეშალალა** „სულის ამორთმევა“.

6. **გურიშ მაცვილარი** „გამამწარებელი, დამაღლონებელი, გულის მომკვლევი“. მიმღეობაში გვაქვს პრეფიქს-სუფიქსი **მა — ალ**.

7. **წყარიშ მაკალი** „უსარგებლო, უაზრო საქმის მკეთებელი“, ზედმიწ. „წყლის მნაყველი“. აქც იგივე მაწარმოებელი გამოიყოფა.

8. **ბჟაშ მაჯინე** „ცოცხალი არსება“, ზედმიწ. „მზის მომზირალი“. მეორე კომპონენტად წარმოდგენილ მიმღეობაში **ჯინ-** ძირი და კონფიქსი **მა — ე** გამოიყოფა.

9. **დიდაშ მაცვილარი!** ზედმიწ. „დედის მკვლელი!“ გამოიყენება დანანების, მწუხარების გამომხატველი შორისდებულის მნიშვნელობით (უდრის დაახლ. ქართულ აფხუშ! შორისდებულს)

ბ) **საობიექტო მიმღეობა იდიომში**

1. **დიხაშ ონთხორალი** „სამარცხვინო, დასამიწებელი“, ზედმიწ. „მიწის ჩასათხრელი“ (ზღრ. ქართ. მიწაში ჩასადები). მიმღეობაში გამოიყოფა **ნოთხორ-** ძირი და საობიექტო მიმღეობის მაწარმოებელი **ო — ალ**.

2. **ქვარაშ ორცხონჯი** „მავნე, უსარგებლო, ურგები“, ზედმიწ. „მუცლის სავარცხელი“. მიმღეობაში წარმოდგენილია **რცხონ-** ძირი და **ო — ჯ** მაწარმოებელი.

3. **თოლიშ ჭკომილი** „გათვალული“, ზედმიწ. „თვალის ნაჭამი“. მეორე კომპონენტად გვაქვს ნამყო დროის საობიექტო მიმღეობა (ჭკომ- ძირია, **-ილ** — დერივაციული სუფიქსი).

4. **ტყაშ გითნასხაპა** „ველური, ტყვიური“ (ზედმიწ. „ტყის გამომხტარი“). იტყვიან უკულტურო, უზრდელ აღამიანზე. მიმღეობაში გამოიყოფა **სხაპ-** ძირი, რთული პრეფიქსი **გით-**, პრეფიქ-სუფიქსი **ნა — ა**.

5. **კითიშ ოქვათალი** „იშვიათი, ძნელად საშოვნი რამ“, ზედმიწ. „თითის მოსაჭრელი“. მიმღეობის მაწარმოებელი **ო — ალ**, **კვათ-** ძირი.

6. **კვარჩხშე ჭიკადილი** „უკულმართი, უკეთური“, ზედმიწ. „მარცხნიდან დაჭედილი“ (ჭიკად- ძირია, **-ილ** — მაწარმოებელი სუფიქსი).

7. **ტუტლაშ ინახუნაფალი** „ძალიან გამხდარი, დაჩიავებული“ (ზედმიწ. „აყიროს ჩასასმელი“). უწოდებენ დაჩიავებულ აღამიანს,

ირონიულად — პატარა ტანის, უსახურ ადამიანს;

8. **ჯიმა ლურელი!** იხმარება შორისცებულის მნიშვნელობით; გამოხატავს დანანებას, გაკვირვებას, გაბრაზებას (შდრ. ზემოთ **დიდაშ მაცვილარი!**)

და სხვ.

იღიომში მიმღეობა შეიძლება პირველ ადგილზეც (პრეპოზიციურად) იყოს წარმოდგენილი მსაზღვრელის ფუნქციით (მაგ., **დინაზოლ შური** „გლახაკი, ლატაკი, უხეირო“). უფრო დაწვრილებით ასეთ შემთხვევათა შესახებ ცალკე გვეჩნება მსჯელობა.

თინა შიომვილი, გიორგი მახარაშვილი (ბათუმი)

## კლარჯული ანდაზები

ანდაზა მსოფლიოს ყველა ხალხის სიბრძნისმეტყველების, მსოფლიმედველობის, ზნეობრიობის ანარეკლია და, ამავე დროს, ენის ლექსიკური სივრცის მოქნილობისა და განვენილობის განმსაზღვრელი.

საანდაზო მეტყველება ქართველი ხალხის სულიერი ცხოვრების თანამდევი, „ჭირსა შიგნ გამაგრების“ ერთ-ერთი მძლავრი ფაქტორია და ყოველთვის, ყველა ეპოქაში ზნეობრივი ტრიბუნის ფუნქცია ენიშვება.

ხალხური ანდაზები, ისევე, როგორც ზეპირსიტყვიერების სხვა ჟანრები, ბოლო დრომდე შემორჩა თურქეთის ოსპუბლიკაში, ისტორიულ კლარჯეტში, მცხოვრებ ჩვენებურთა ზეპირსიტყვიერებას.

კლარჯულ მეტყველებაში შემონახული ქართული ხალხური ანდაზების უმეტესობას პარალელები ექვებნება საქართველოს სხვადასხვა კუთხეთა, განსაკუთრებით კი აჭარის, ზეპირსიტყვიერებაში.

შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართველოლოგის ინსტიტუტის კომპლექსური სამეცნიერო ექსპედიციის მიერ 2007 და 2013 წლებში ისტორიული კლარჯეთის სოფლებში ჩაწერი-

ლი ანდაზები, ერთი მხრივ, გვაცნობენ ჩვენებურთა სულიერ სამყაროს, მათ მსოფლშეგრძენებებს, სოციალურ ვითარებას, ზნეობრივ იდეალებსა და მისწრაფებებს, რაც ზოგადქართული აზროვნების იდენტურია და, მეორე მხრივ, მნიშვნელოვან როლს ასრულებენ თურქულ გარემოში მცხოვრებ კლარჯთა ქართული მეტყველების სიმდიდრისა და ხიბლის შენარჩუნებაში, რაც მათი იდენტობისათვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია.

## ნანა ცეცხლაძე (ბათუმი)

### ჩვენებურთა მეტყველების ემოციურ-ექსპრესიული დახასიათება

ჩვენებურთა მეტყველება მეტად ხატოვანი, ემოციური და ექსპრესიულია. იგი მდიდარია სტილისტიკური საშუალებებით, ტრანპებით, ხატოვანი სიტყვა-თქმებით. ამნაირად გაღმოცეულული სათქმელი კი განსაყუთრებით გულში ჩამწვდომია და დიდხანს დასამახსოვრებელი. აქაური ქართველის სიტყვა მარტო კი არ აღნიშნავს ფაქტს, არამედ ქმნის ესთეტიკას, რაც თანამედროვე ფილოლოგიური მეცნიერების აქტუალური საკითხია. აქ დაცულია მეტად მდიდარი ხატოვანი სიტყვა-თქმანი: **ფაშვი დერდი აქ;** **ზარმელი ყოველთვინ მოკოტვილი აქ;** **ყია საჭრელით ხომ არ აქ ამოჭრილი?** ნათქუამბა დააჭიჭყა; ყირმიზ მუშებით დაპაიხნა; გულის კაკლის დაწვა; თუთია განდა; მზე რომ იყოს, არ შეგანათებს; პირიდან ძე // თაფლი გადმოდის; პირზე ნური ადგას; პირზე ჭეჭენები ანატია.

მეტად ექსპრესიულია: **კაჭა-კუჭარაკი;** ჭვავის ჭიბონი და თიკინის დავლი; **ლაპარაკში კატის //** ჯიხრიკის დამტვრევა; (რ)ძის გადმოვლა; კიბილის ტვინების დაყრევინება; **ლემსის ყურწში //** ბუხარში გაძვრენა; ბუხრიდან კტრის ატანინება; **სულის გაძვრენა//ჩენგეს შექანებინება.**

ფრაზოლოგიური სინონიმები მარკირებულია, ისინი ნებისმიერ კონტექსტში ვერ შეენაცვლება ერთმანეთს.

შემონაცულია ბევრი იშვიათი იდიომიც: **ბრუდე // გონჯი თუალი;** ვერჩეიფოთელა?; კუხე სიტყვები, საქმის კუჭეჭი; ყურგახრეტილი ინსანი, თვალგამხილო ინსანი, დაგრეხილი ინსანი...

აქაურთა მეტყველებაში თვალში საცემია მახვილსიტყვაობის ნი-  
მუშები, რომლებშიც გამოსჭივივის სატირა და ირონია: **წითელ კვი-**  
**რას, ნამიან დილას; ღუნიას თავი თავზე შამუარსო;** რაფერ არ  
მოკრეს ჭკვას ხელი? ლეხტზე რომ მიარტყამს თავს, მერე ისწავ-  
ლის ჭკვას; დათესილი აქ და თიბავს ჭკვას. ან კიდევ: ქობულეთელ  
მუჰაჯირთა მეტყველებაში დადასტურებული: **პუწუწა?** ჩიტს უთ-  
ქმია, ღუნიამ და დეიქცეს და ზრუგზე დაწოლილა, ტოტებით  
ცა?-და დეგძავოო.

აქვე გვხვდება იშვიათი შედარებანი: **თქუშასავეთ ლამაზია;**  
**წურბელასავით მეგეწეპება;** შვილების მარტო ხესავეთ გაზრდა;  
დედამთილის ძველ ფალაზივით მიგდება; ნათქუამის დამპალ  
სხლებივით გაჩერება; ობობას ქსელივით მოქსოვნილი ჭკუა; დო-  
ლოფალითვინ **სუნაგ კატასავენ აფარება** თვალებზე...

ემოციის გასაძლიერებლად არც თუ იშვიათად გამოიყენება **ჰი-**  
**პერბოლა:** **ზღუები რომ მელნათ იქცენ,** ხიები რომ კალმათ იქ-  
ცენ, ჩიმს დერდებს ვერ ასწერს; ყიაზე თოვლი მოვდა; ყიაზე  
ფულის ქონება; ჭვანის გათათრება ახსოვს... დეილაბარიკებდენ,  
ხორთლალი აღგებოდა; კდარსაც აალაპარიკეცს; მისი გემო ჰალა  
პირში მაქ....

**ლიტოტესის ნიმუშებია: ფხალისდენი არ მიყვარს; კვერცხი არ  
გადაბრუნდება.**

ჩვენებურთა მეტყველებაში გამოკვეთილია ერთი სტილისტიკური  
ხერხი-სინონიმური პარალელიზმი. სინონიმების პარალელურად ხმა-  
რება გაგებულია, როგორც აზრის გამაძლიერებელი საშუალება, მაქ-  
სიმაღლური ლიტერატურული ეფექტის მისაღწევი ერთ-ერთი მეთო-  
დი. აქ სინონიმურ პარალელიზმს ლექსიკური სინონიმები კი არ  
ქმნის, არამედ მისი აუცილებელი კომპონენტია ფრაზეოლოგიზმი და  
მისი შესატყვისები. მოკლედ, აქ ერთმანეთის გვერდივგერდ გამოიყე-  
ნება სიტყვა (ზოგჯერ წინადადებაც) და მისი პერიფრაზული სინონი-  
მი. კომპონენტები ერთმანეთს უკავშიროდ უერთდება. განმმარტებ-  
ლის ფუნქცია შეიძლება ჰქონდეს ქართულ სიტყვას ან ფრაზეოლო-  
გიზმს, რომელიც კალკური ან ნახევრადკალკური ფრაზეოლოგიზმის  
გვერდით გამოიყენება. სხვა დანარჩენ შემთხვევაში სინონიმების  
გვერდივგერდ მოხმობა ექსპრესიას აძლიერებს. გამოყოფთ რამდენი-  
მე ქვეჯუფს:

**1. უცხო სიტყვა // ფრაზეოლოგიზმი: ძალიან ჰუქუმდარი იყო,  
სიტყვა გუუდიოდა.**

2. ფალკური ფრაზეოლოგიზმი // ქართული ფრაზეოლოგიზმი: ინსანსა მისი აიბი პირზე არნა შამოკრა, სიჩცვილიდან-ნა გამეიყვანო; მისი ნათქუამი ძირს არ დაგარდება, სიტუუა არ წიექცევა;

3. ნახევრადკალკური ფრაზეოლოგიზმი // ქართული ფრაზეოლოგიზმი: მე ერთი ძმა მყავდა, ისიც ძალიან ყურგახრეტილი კაცი იყო, ყუელამფრიდან ხებერი ჰქონდა;

4. ნახევრადკალკური ფრაზეოლოგიზმი // ქართული სიტუვა (წინადადება):

თვალებს კი ღუუხუჭუავ, ემეს იქ, იშმარი მისცაო; კლავები აღარ მიდის, მევლალე.

5. ნახევრადკალკური ფრაზეოლოგიზმი // თურქული სიტუვა (წინადადება):

სისხლიდან არ გავრეცხილვართ, ისვენ სისიმ-ახრაბა ვართ ერთმანებისა.

6. ფრაზეოლოგიზმი // ეკვივალენტი სიტუვა: მის სიტუვაზე არ დადგება, ღალატია; გამახდნია ღლიაში, შეიფერა და....მუცელი მარტო საჭმლისთვის არ-ნა იყოს, საბრიანი-ნა იყო; უამი აქ ბირზე, ვერ დელაპარიკები; ჩემ ანამაც იცოცხლოს პაწა?!, სიკლილის ჭოხი პაწა ხანს არ მიეყულდოს; ძალიან ვიდერდე, ემჯამი, გევ-ლეწე დერდისგან; ვდერდობ, გული მეწვის.

არც თუ იშვიათად ფრაზეოლოგიზმით გამოხატული აზრის გაღმისაცემად მთელი წინადადებაა გამოყენებული: ხელი ჭავლაგი გიმისდა, კარგ ხელნაქმარ ვეღარ ვიჯები; პირზე ჭეპენნემი ახატია, შეხედავ, მიხდები, რა ინსანიცა; მიწის სული უდიან, იმფრათ დაბერებულან;

7. ფრაზეოლოგიზმი // გადატანითი მნიშვნელობით ნახმარი სიტუვა: მერიემა? ჩემზე იყო გამობმული, მეტირებოდა; გული დემეწუა, დამწვარი კაცი დემეწვა, გული იმიტირდა;

8. ფრაზეოლოგიზმი // ფრაზეოლოგიზმი: ტაროსმა პაწაი თვალი გაახილა, ისადილა; მოკოჭვილი კაცია, ხელ არ მეიჭამს; არ ქნა, არ ჭამა კატამ ნიორი; იმფერი კაი მოლაპარიკე იყო, სიტუვაში არ დეიმტრეოდა, ვერც სიტუვით დააბემდი; ისა სიტუვის კაცი იყო, პირ არ გატეხდა.

ოდენ პარალელიზმის ნიმუშია: სარფის კარი რომ გეიხსნა, ჩემმა გულმაც გეიხსნა.

ანტონიმური პარალელიზმის ნიმუშებია: **ქართულებითვინ დმერთსა სილამაზე მარტო ბუგით და ბირით კი არა, გულით და სულით მუუცემია; ახლა თელეფონით შეყვარება ამოჩთა, უწინ თვალით იყო; შენ თვალი ვერ გიგიძლია, ფაშვი ვერ გიგიძლია, მარტო გულით არ იქნება.**

ჩვენებურთა მეტყველება ექსპრესიულობით, სტილისტიკურ საშუალებათა მრავალფეროვნებით არსებითად სცილდება სასაუბრო სტილის ჩარჩოებს. სინონიმური პარალელიზმი აქ ბევრად უფრო მრავალფეროვანია, ვიდრე პოეტურ ენაში.

**მერი ცინცაძე, მაია ბარამიძე (ბათუმი)**

### **ფონეტიკური მოვლენები კლარჯულში**

კლარჯულში მეტ-ნაკლებად გვხვდება ყველა ფონეტიკური მოვლენა, რომელიც საერთოდ დამახასიათებელია სხვა სამხრული კილოებისთვისაც. განსაკუთრებით აღსანიშნავია პარალელური ფორმები.

წარმოვადგენთ კლარჯულის ფონეტიკური მოვლენების ზოგად მიმოხილვას ბსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ქართველოლოგის ინსტიტუტის მუდმივმოქმედი კომპლექსური ექსპედიციის მიერ 2007, 2013 წლებში მოპოვებული მასალების მიხედვით.

ხშირია ხმოვანთა და თანხმოვანთა **ასიმილაციის** სხვადასხვა შემთხვევა (სრული და ნაწილობრივი, პროგრესული და რეგრესული).

ხმოვანთა ასიმილაციის მაგალითებია: **ა>ეე:** ღეეხარჯა(ღაეხარჯა), წემეკინდლება(<წამეკინდლება>), ღეგვეწიკებიან(<ღაგვეწიკებიან>); ამ კომპლექსთა მონაცვლეობაა **გათხოვება** ფუძის ზმნის **ე-** პრეფიქსიან ვნებითში: გევეთხოვე(<გავეთხოვე>), არ გევეთხოვო(<გაეთხოვო>), გევეთხოვა(<გაეთხოვა>).

შევნიშნავთ, რომ სამხრულის სხვა კილოებში ფუძისეული **ო** იკარგვის. ჩვეულებრივია ფორმები: გეეთხვა, გეეთხვო.

**ა>ეო:** გეივლიდა(<გაივლიდა>), გეიქცა(<გაიქცა>), გეიცანი(<გაიცა-

ნი), წელი(<წადი), გემისივდება(<გამისივდება), გემიხარდა(გამიხარდა)...

**აი>იი:** წიმივიღდა(<წამივიღდა), გიმივიღდა(<გამივიღდა), დიგვითე-სია(<დაგვითესია).

**ეო>ოო:** მოზობელი(<ძეზობელი), ზომო(<ზემო)...

**ოე>ეე:** მეტებარე(<მომეტებარე), მეტსწრო(<მოესწრო), გამეტუ-რე(<გამოეტურე), წამეგელო(<წამოგელო), მეგემშევა(<მოგემშევა)...

**ოი>ეი:** მემიტანე(<მომიტანე).

თანხმოვანთა ასიმილაციის შემთხვევა ბევრი არაა.

**სდ>ხთ:** წახთენ(<წახდენ), მოხთა(<მოხდა); **ქზ>გზ:** აგზე(<აჯზე), მაგზე(<მაჯზე); **ცდ>ზდ:** ოზდაექსი(<ოცდაექსი); **გც>ქც:** მოქცეს(<მო-გცეს), გაქცეითოს(<გაცცეითოს); **გხ>ქხ:** შექხდებენ(<შეგხდავენ).

**დისიმილაცია** არ არის ფართოდ გავრცელებული. არალი (<არ არი), ღორჯუმელები(<ღორჯომელები), ლაპარიკობენ(<ლაპარაკობენ).

ფართოდ გავრცელებული ფონეტიკური მოვლენაა **ბგერის და-კარგვა**. იკარგვის თანხმოვანი და ხმოვანიც.

იკარგვის **თაგკიდური** ბგერა: წვანე(<ძწვანე), თავრობა(<ძთავრო-ბა), თელი(<ძთელი), თველი(<რთველი), ძალი(<რძალი), კლავი(<ძკლა-ვი), დომებია(<ნდომებია).

**სწ** კომპლექსში იკარგვის ფუძისეული **ს:** აწავლიან, დამაწავლა, დაწავლილი... იშვიათია: ასწავლიდა, ვისწავლე...

იკარგვის მიცემითი ბრუნვისა და ნათესაობითი ბრუნვის ნიშნი-სეული **-ბ:** დურლილ დავაყრი; სიზმარ ნახევდენ; კაცითაგა? სხალია.

ბევრია ფუძისეული ბგერის დაკარგვის შემთხვევა: მაამთილი(<მა-მამთილი), გაზდილა(<გაზრდილა), წელწადი(<წელიწადი), ექსი(<ექ-სი), გამოვდა(გამოვიღდა)...

გვხდება **ბგერის ჩართვის** შემთხვევებიც: თოკვი(<თოკი), ყვე-ლამფერი(<ყველამფერი), წავლენვო(<წავლენო), გაჩენვა(<გაჩენა), მა-ჟუქვეს(<მაჩუქვეს), მილაპარაკნია(<მილაპარაკია).

ზოგიერთი ზმნის ფორმაში ზედმეტია საწყისისეული ბგერა: ღმერთმა კარგად გამყოფნოს; შდრ.: ღმერთმა ამყოფოს; ვიცურგოთ.

**ხშირია** ბგერათა მონაცვლეობის - **სუბსტიტუციის** შემთხვევები: **ჭ//ჭ:** აკარელია, აკარული; **ხ//ღ:** ჭოროლი(<ჭოროხი); **ვ//მ:** დამამი-წყდა(<დამავიწყდა); **ვ//ბ:** დამაბიწყდა, მაბიწყდება. იშვიათია **ვ** თან-

ხმოვნიანი ამოსავალი ფორმა.

სამხრულ მეტყველებაში ჩვეულებრივია ფორმები, რომელთა ამოსავალია **ქორწილი:** დავაქორწილე, დაქორწილდა, დიმიქორწილდა... საინტერესოა, რომ კლარჯულში ამ ფორმათა გვერდით დასტურდება **ნარიანი** ფორმებიც: დავაქორწინე, დაქორწინდენ, დასაქორწინებელი, დაქორწინებულია.

სუბსტიტუციის სხვა მაგალითებია: **ტ//დ:** მოვწყვიდე(<მოვწყვი-ტე>); **ბ//ბ:** დეიპნა(<დაიპნა>); **რ//ქ:** ცემლები(<ცრემლები>), ინდივიდუალური ჩანს. **ს//შ:** დუუშტვინე(<დაუსტვინე>).

**მეტათეზისის** მაგალითებია: ძეირემი(<ძერიემი>), ღმერა(<ღღერა>), გვხვდება ღმერობაც, იღმერავდენ(<იმღერებდნენ>), ნავხე(<ვნახე>), ნავხავთ.

**ბგერის შერწყმა** იშვიათია: ქომო(<ქვემო>), ქომარადიდი(<ქვე, ქვემომარადიდი>).

კლარჯულში, ჩვენი მასალების მიხედვით, იშვიათია კლარჯეთის სოფლების კირნათისა და მარადიდის მეტყველებაში გავრცელებული **ერცხვა**, რომელიც **ერთი სხვა** სიტყვათა შეერთებით - ი-ს დაკარგვისა და **თს** შერწყმის შედევგად არის მიღებული. **ერცხვა** ფორმის ნაცვლად გავრცელებულია ამოსავალი **ერთისხვა**.

დასტურდება ზოგიერთი თურქული სიტყვის პარალელური ფორმებიც: გელინი//გენილი (gelin) რძალი; ფათათესი//პატატესი (patates) კარტოფილი; ჰასტანე//ჩასტანე (hastane) საავადმყოფო; ბელ-ქი//ბელ-ქინ (belki) იქნებ, შეიძლება; ჩეშიტი//ჩეშითი (çeşit) სხვადასხვა, ნაირნაირი.

ზემოთ წარმოდგენილი ფონეტიკურად შეცვლილი ბევრი სიტყვის პარალელურად დასტურდება ამოსავალი ფორმებიც.

## მარიამ ცისკარიშვილი (თელავი)

### დიგლოსია წოვა-თუშების ქართული მეტყველების ნიმუშების მიხედვით

დიგლოსია ხსნის იმ სიტუაციას, როდესაც მულტილინგვისტური საზოგადოების ცალკეული ენა ან მისი სახესხვაობის ვარიაცია ემსახურება სპეციალიზებულ ფუნქციას და გამოიყენება სათანადო დანიშნულებით. ტერმინი შეიცავს სხვადასხვა ფუნქციას და ლინგვისტური საზოგადოების სხვადასხვა ტიპისთვისაა დამახასიათებელი. დიგლოსია ტიპიურად აღწერს საკმაოდ მყარ სიტუაციას, რომელშიც ჩართულია ორი სხვადასხვა ენის კოდი, ენები, დიალექტები, ან ენა და დიალექტი. თითოეული მათგანი იერარქიულად დაკავშირებულია ერთმანეთთან. ერთი მათგანი მიეკუთვნება მაღალი სტატუსის (H), ხოლო მეორე დაბალი სტატუსის (L) კოდს. მაღალი კოდი გამოიყენება, როგორც დომინანტი და აქტიური, მას აქვს ოფიციალური ენის დანიშნულება. დაბალი კოდის გავრცელების არეალი შეზღუდულია. იგი გამოიყენება არაფორმალური ურთიერთობებისას.

დიგლოსის შემთხვევა განვიხილეთ წოვა-თუშური ენის მაგალითზე. საკვლევ მასალად ავიღეთ წოვა-თუშების ქართული მეტყველების ნიმუშები. დიგლოსის განხილვისას წოვა-თუშების ენობრივ სოციუმში მაღალ კოდს მიეკუთვნება ქართული ენა, რომელიც წოვა-თუშების მიერ გამოიყენება, როგორც სახელმწიფო ენა, როგორიცაა სკოლა, სახელმწიფო სტრუქტურები. ხოლო წოვა-თუშური მიეკუთვნება დაბალ კოდს, რადგან იგი გამოიყენება საოჯახო ურთიერთობის ენად კონკრეტულად სოციუმის განსახლების ადგილას. წოვა-თუშების ქართული მეტყველების ნიმუშები შეგვიძლია განვიხილოთ, როგორც ერთგვარი ჰეტეროდიგლოსის შემთხვევა, რომელიც შეიცავს კახური დაბალექტისა და წოვა-თუშური ენისთვის დამახასიათებელ ელემენტებს და ასახავს ენისა და დიალექტის ურთიერთობას ენის ანთროპოლოგიის კუთხით. მოვიყვანთ რამდენიმე მაგალითს:

„თელი ოჯახი, ჭალაბობა, ერთი პატარძალი ჰყოლიყო, შვილიშვილის ცოლი მთაში მიდენილიყო; ლეკთაკაში მე ვყოფილვარ იმ ტაფში, — იქ ჩამოსულან და თურმე დედამთილი უკენ ფეხით მი-

დის, აკავანი აქს, ბალღი შაწუხდა ხურჯინში და იგრე ფეხით მიდის და იმას ენახნა ტყეშიგ ცუდი ხალხი. ნიდაგ იმათ დატრიალდა ის.“

,„შუა გზაძლინ რო ათრია და როცა ვეღარ მიზდევს, მუცელში ხანჯალი ჩეეყარა და გადევგდო.“

,„ზალიან ნასწავლი ყოფილიყო და ხელმწიფეს ზალიან მეეწონა და თავის ქალი დალიშნა. თქმა არ ვიცი იმ ქალაგისა. იქ შახვედრა მაახდინა. ჸქვეყანაზე ხილის ბადება არა გვაქს.“

საანალიზო მასალამ გვაჩვენა რომ წოვა-თუშები ქართული მეტყველებისას აზროვნებენ წოვა-თუშურად, წინადადების წყობა და სტრუქტურა წოვა-თუშური წინადადების აგების პრინციპების აღეჭვატურია. წინადადების აგებისას, აზრის გაღმოცემისას იყენებენ კახური მეტყველებისთვის დამახასიათებელ დიალექტურ ფორმებს, რაც განპირობებულია კახურის ენობრივი არეალით.

## ნატო წულეისკირი (ქუთაისი)

### ეკოლინგვისტიკა: კვლევის შესაძლო პერსპექტივები და მიდგომები

საუკუნის მეორე ნახევარში აღინიშნება თანამედროვე მეცნიერების „ეკოლოგიზაცია“ და ეკოლოგიური პრობლემატიკის ფართო გავრცელება პოლიტიკურ სფეროსა და მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში; ეკოლოგიური პრობლემატიკა აქტუალურია ლინგვისტიკაშიც. ეკოლოგიის შესახებ ტექსტებს დიდი ადგილი უკავია ტექსტურ საინფორმაციო სივრცეში და აქტიურად მონაწილეობენ ეკოლოგიური ცნობიერების ჩამოყალიბებაში. კულტურულ სივრცეში ჩნდება მისწრაფება გაჩენილი მნიშვნელობის მაქსიმალური ვერბალიზაციისა.

ეკოლინგვისტიკა წარმოადგენს ერთ-ერთ თანამედროვე მეცნიერულ მიმართულებას ენათმეცნიერებაში, რომელიც ლინგვისტიკაში ჩამოყალიბდა სოციალური, ფსიქოლოგიური (მეტყველების ზემოქმედების პრობლემები) და ფილოსოფიური (საზოგადოებისა და შემეც-

ნების საერთო თვისებებისა და კანონზომიერებების გამოვლენა ენა-ში) მიმართულებების შეერთებით.

როგორც აღამიანისა და საზოგადოების არსებობის ენობრივი სფეროს შემსწავლელი მიმართულება, ეკოლინგვისტიკა ყალიბდება კანონების, პრინციპების და წესების გამოვლენის საფუძველზე.

დღეისათვის ეკოლინგვისტიკაში გამოიყოფა ორი მიმართულება:

„ეკოლოგიური ლინგვისტიკა“, რომელიც გამომდინარეობს ეკოლოგიდან და მეტაფიზიკურად გადააქვს ენაზე და ენათმეცნიერებაზე ეკოლოგიური ტერმინები (ეკოლოგიის ცნება, გარემოცვა, ეკოსისტემები), კვლევის პრინციპები და მეთოდები (ვ. ტრამპი, ა.ფილი, ი. შტორკი).

„ენობრივი ეკოლოგია“, რომელიც განიხილავს ენაში გამოხატულ ეკოლოგიურ თემებს. ენისა და ტექსტების ანალიზი ხდება მათი „ეკოლოგიურობის“ თვალსაზრისით, გამოიკვლევა ენის როლი გარესამყაროს აქტუალური პრობლემების აღწერაში (მ. დერინგი).

მნიშვნელოვანია ენის ეკოლოგიის სამი ასპექტი:

— ინტრაენობრივი (დაკავშირებულია ენის კულტურასთან, სტილისტიკასთან, რიტორიკასთან და მოიცავს მეტყველების სისწორის, ლოგიკურობის, ექსპრესიულობის და სხვა კომუნიკაციური თვისებების დარღვევების გამოკვლევას).

— ინტერენობრივი (დაკავშირებულია მრავალენოვნებასთან და ენების გაქრობის პრობლემასთან, ე.ი. ლინგვისტური მრავალფეროვნების შემცირებასთან დედამიწაზე).

— ტრანსენობრივი (დაკავშირებულია ერთი ენის, ერთი კულტურის ერთეულების, საშუალებების, რეალიების გამოყენებასთან სხვა ენის კონტექსტსა და საშუალებებში).

ამ მიღვომებით უდავოდ საინტერესო ჩანს ქართულენოვანი გარემოს შესწავლა და კვლევა.

## როინ ჭიკაძე (თელავი)

### იოტას ფონოლოგიური განდასებისათვის

ცნობილია, რომ ხმოვანთა და თანხმოვანთა ფიზიოლოგიური და სოციალური განსხვავების სათავე მათ საერთო გენეზისურ საშეისშია საძიებელი (გ. ახვლედიანი). ამ მხრივ საინტერესო მასალას იძლევა ქართველურ ენებსა და ღიალექტებში დადასტურებული ე.წ. „ნახევარხმოვნები“; ზოგჯერ მათ უმარცვლო ხმოვნებსაც უწოდებენ, თუმცა ისინი არსებითად თანხმოვნებია (გ. ჯორბენაძე), ვინაიდან დიფორმუნგიზაციის ნიადაგზე შეცვლილი ხმოვანი თანხმოვანს უტოლდება (თ. უთურგაიძე).

ქართული ენის ღიალექტებში იოტიზაციის გენეზისური განდასება პოვნიერდება დიფორმუნგიზაციის პროცესში • ხმოვნისა და ჰ/ს სპირანტთა ნაწილობრივი ან სრული რედუქციისას.

**ის** ძველ ქართულსა და ღიალექტებში ერთი და იმავე ფონემის კომბინატორულ ვარიანტებადაა მიჩნეული. **ის** ხმოვნის მომდევნოდ გვხდება თუშურში, რაჭულში, მესხურში, გურულში, აჭარულში, ინგილოურში...: მან?, კლდე?, წყარო?, ყრუ?... (თ. უთურგაიძე; თ. გამყრელიძე; ზ. სარჯველაძე...). ამასთანავე, **ი** როგორც **ჲ**, **ს**, **შ**, **ზ** სპირანტებისა და **ც** აფრიკატის რეფლექსი საკმაოდ ფართოდაა გავრცელებული ქართლურში, კახურში, ფშაურში, მთიულურ-გუდამაყრულში, ფერეიდნულში...: დგონია, მწავლობს, ტახტი, გამდილი, დღესაც... (არნ. ჩიქობავა; ა. მარტიროსოვი, გრ. იმნაიშვილი; ბ. ჯორბენაძე...).

ამჯერად ჩვენი ყურადღება მიიქცია იმ ფაქტმა, რომ ორთავე გზით მიღებულია იოტა, რომლის ფონეტიკური ტრანსკრიფციისათვის ტრადიციულად გამოყენებულია გრაფიკული ნიშანი **ი**. მართალია, „ასოსა და სამეტყველო ბგერის ურთიერთკავშირი რამდენადმე პირობითია, ერთი და იგივე ასო შეიძლება გამოხატავდეს სხვადასხვა სამეტყველო ბგერას“ (გ. ახვლედიანი), თუმცა ეს გარემოება სრულიადაც არ ამართლებს იმას, რომ აკუსტიკურად მსგავსი, მაგრამ წარმოშობით სხვადასხვა ბგერები ერთი და იმავე გრაფიკული ნიშნით გამოვხატოთ. მიგვაჩინა, რომ იოტიზებული • იდენტური ვერ

იქნება რედუცირებული სპირანტი თანხმოვნებისა. ისინი აკუსტიკურად სხვაობენ არა მხოლოდ გენეზისით, არამედ ხმოვანსაცემითაც და განეკუთვნებიან თანხმოვანთა ჯგუფს, რომელთაც დაკარგული აქვთ ფონემურობა.

ზემოთქმულის გათვალისწინებით, მართებულად მიგვაჩნია, სხვა-დასხვა წარმომავლობის იოტიზებული ბერების გამოსახატავად გამოყენებულ იქნას განსხვავებული ასო-ნიშნები.

## ნინელი ჭოხონელიძე (თბილისი)

### **ზოგი ზარ- ფუძიანი ომონიმური ცალების წარმომავლობისათვის**

ილ. აბულაძის „ძველი ქართული ენის ლექსიკონის თბ., 1973“  
მიხედვით **ზარ-ფუძიანი** შემდეგი ომონიმური სიტყვები დასტურდება:

**ზარი<sup>1</sup>:** შიში, ელდა [სპარ. **ზპრ** „ტირილი“].

„დაეცა მათ ზედა **ზარი** და შიში ფრიადი“ (O, ნემ. 6, 15).  
„კელარი იგი შეიბყრა შიშან და **ზარმან** ფრიადმან“ (მ. ცხ. 424r).

**ზარი<sup>2</sup>:** მწყობრი, გუნდი; ხალხი [არაბ.-სპარს. **ზკრი** // **ზარე**  
„გლეხი, მიწათმოქმედი“].

აპა ესერა **ზარი** დიდი წარმოპოლიდა, და იტყოდეს წარმავალ-ნი...“ (მ. ცხ. 311g).

ქეგლის მიხედვით კი **ზარ-** ფუძე შემდეგ ომონიმურ ცალებს წარმოგვიდგენს: **ზარი<sup>1</sup>:** 1. იხ. ძველი ქართულის **ზარი<sup>1</sup>** მნიშვნ.<sup>1</sup> 2. ძვ. სამგლოვიარო უსიტყვო გალობა მიცვალებულის გასვენებისას. მე ვიქნები **ზარის** მთქმელი, მე ვიქნები მესაფლავე (ი. გრიშ.). II მო-თქმით ტირილი, დატირება ვისიმე. გლოვა და **ზარი** იყო სათაგვეთ-ში (თ. რაზიკ.).

**ზარი<sup>2</sup>:** **ზარი<sup>5</sup>** „რვალის დიდი სარეკელი“ — საბა. ატყდა, ატყდა  
**ზარის** რეკა, დიდი **ზარიც** ბოხ ხმას აძლევს (რ. ერისთ.). სადგურის **ზარმა** ამცნო ყველას მატარებლის გამოსვლა მახლობელი სადგური-

დან (ს. მგალობ.). ॥ პატარა ზარი (ან სხვა რაიმე სახის სარეკავი მოწყობილობა) რისამე სანიშნებლად. ენკენის თვის პირველში გაისმა სკოლის ზარის წერიალიც (თ. რაზიკ.).

სამეცნიერო ლიტერატურის მიხედვით, ქართულ ზარ- ძირს კანონზომიერად შეესატყვისება მეგრული ზორ-. მასალა შეაპირისპირა ჰ. ფენრიხმა (ჰ. ფენრიხი, ჰ. სარჯველაძე).

**ზარი<sup>3</sup>:** ზარი, ძარი გოდორი, შესანახავი სიმინდისა, ან ქორთა საჭდომი გალია (დ. ჩუბინ.).

გოდორს თავი აკლიაო, ცხრის ურმისა ზარში ჰყრიდენ (დ. გურამიშვილი). სიმინდი ბევრი მოსულა, ყველას დაუდგამს ზარია (თ. რაზიკაშვილი).

ვფიქრობთ, რომ ზარი < ძარი; ძარ-ფუძისთვის კი აღდგება ს.-ქართვ. ფუძე \*ძარ-ძან-, „ვარცლი, გოდორითჲ“ (მ. ჩუხუა).

**ზარი<sup>4</sup>:** საუბ. იგივეა, რაც კამათელი [სპ.-თურქ. ზირ]. ზარის გაგორება.

გარდა ზემოდასახელებული ომონიმური ცალებისა, ასევე დამოუკიდებელ ლექსიკურ ერთეულებად შეიძლება მივიჩნიოთ:

**ზარი<sup>5</sup>:** ზარი გესლი, შხამი, საწამლავი, სამსალა [სპარს. ზაჰრ]. გემოდ გუელისა ზარსა ჰგავს (ვისრამიანი). ზაჰრიანი შხამიანი (გ. ანდრონიკაშვილი). იმას თუ უკუნისამდიცა შეაგუბებ და მსახურებ, იგივე ზაჰრიანი გუელია, ოდესცა კბენა დაემართების (ვისრამიანი).

**ზარი<sup>6</sup>:** ოქრო, ოქრომყედი. [სპარს. ზაჰრ — „ოქრო“]. ზარიანი: ოქროთი შემკული. ვითა ქელმწიფეთა წესია, ეგრე ზარიანად, მაჰრანით კუბო ოქროითა, თუალითა და მარგალიტითა შეკაზმული... ეგზომნი საქონელი და ოქრო გაუგზავნა ძიძასაცა (ვისრამიანი). ზარ (აზ. ზარ) ბრჭყვიალა ამობურცული წერტილები ანუ ბზინები ქსოვილზე. ისტიფას შიგ ზარ აქ; ზედს. ზარიან: ზარიან ფარჩამ ისეთი ქსოვილი, რომლსაც შიგ ზარი აქვს (ინგილოური, ღამბაშიძე). შდრ. ზარიანი ოქროსი. ფარჩა ზარიან — დ. ჩუბინ.

## ნინო ჭუმბურიძე (თბილისი)

**ზმნისწინთა სიტყვაწარმოებითი დანიშნულებით  
გამოყენების შემთხვევები ქართულ მხატვრულ  
ლიტერატურასა და დიალექტებში**

ცნობილია, რომ ზმნისწინი მოქმედების, მოძრაობის სემანტიკის გადმოცემაში განსაკუთრებულ როლს თამაშობს. ის მონაწილეობს არა მხოლოდ მიმართულებისა და გეზის, არამედ მოძრაობის მანერის, მოქმედების ინტენსივობის, უნებლიობისა და სხვა ნიუანსების გამოხატვაში.

მწერლები სათქმელის ზედმიწევნით გაღმოცემისა და მხატვრული ეფექტის გაძლიერების მიზნით ხშირად მიმართავენ ისეთ უჩვეულო ფორმებს, როგორიცაა მაგალითად, მივეტუჩე, ამოვყლაპე, დამიელვაჩე, მიიტყორჩნება, გადაჩქმალული, გადაეყვინთა და სხვა, რომლებშიც კარგად ჩანს ზმნისწინის მეშვეობით როგორ იცვლება, ზუსტდება ან განსხვავებულ ნიუანსს იძენს ზმნის ფუძით გამოხატული შინაარსი.

საინტერესო სურათს გვიჩვენებს ქართული ენის დიალექტებიც. დიალექტურ ტექსტებში დასტურდება არაერთი ფორმა, რომლებშიც სემანტიკური ცვლილებები ამა თუ იმ ზმნისწინის დართვით არის გამოწვეული. ამის ნიმუშებია: გამომისინათეთ, გადმოვდულდები, ამოარგვალეფს, ამოაგუნდავებს, წავეტოტე, გაუწუწუნა და სხვ.

მოხსენებაში განხილულია ის ზმნური ფორმები, რომლებიც ზმნისწინების დართვით მოქმედების ნაირსახეობებს გამოხატავენ და საინტერესოა ენის სიტყვაწარმოებითი შესაძლებლობების გამოვლენის თვალსაზრისით.

## მზია ხახუტაიშვილი (თბილისი)

### ზმნიზედები ქობულეთურ კილოკავში (მუპაჭირთა მეტყველების მიხედვით)

ქობულეთური კილოკავი ზმნიზედების ხმარების თვალსაზრისით საინტერესო სურათს გვიჩვენებს, ამასვე ადასტურებს ქობულეთურ მუპაჭირთა ქართული მეტყველებაც. კონსერვირებული ენობრივი მასალა მეტად მრავალფეროვანია.

ქობულეთურში დროის ზმნიზედას გამოხატავს მრავალფეროვანი ფორმები: **ამგზობად** (ახლახანს, ამჯერად); **ამწახანებად** (უახლოეს წარსულში); **უცუათად** (უცებ) რუმ შევხედე; **ლიანქრად** (გურ. ოდნავ, ბუნდოვნად) მახსოვს;

ჭარბადა „ხან“ ფორმით ნაწარმოები დროის ზმნიზედები: **ჯდომიხან**; **მოხლიხან**; ასერში **წახლიხან** დავრგით; **მარგლიხან** რუმ ყივოდენ; **რახან** მოხვალ (კითხვის ზმნიზედის მნიშვნელობით);

გვხვდება ვითარების ზმნისართები: ტყულად, ძვილად, ჩუქათად, რომელთაც ქვემოგურულისამებრ ნართაული -ი//ე დაერთვის.

დასტურდება ქველი ქართული „**მერმე**“ დროის ზმნიზედა „**მემრე//მემრენ**“ (სუბსტიტუციითა და ნაზალიზაციით): **მემრე** ფაცას მია; **მემრე** ერი ცხენი ბოშათ დარჩა; **მემრე** წერილები მიეცი;

ადგილის ზმნიზედის მნიშვნელობით დასტურდება **საცხა-ხადაც**: **საცხა** მიხვალ; **საცხა** ლამაზ გოგებს ვნახავ; ასევე მიმართულების აღმნიშვნელი **ერკენ** (ერთ მხარეს), მეორეკენ (მეორე მხარეს): ერი სოფელი ერკენ, მიორე სოფელი **მიორეკენ**.

ქობულეთურში გვხვდება კითხვითი ზმნიზედა **რატუმ** ძირის ხმოვნის ცვლილებით, რაც უცხოა აჭარულისათვის; ასევე გვაქვს **რეიზა** რატომ კითხვის გამომხატველი ზმნიზედის მნიშვნელობით.

მუპაჭირთა მეტყველებაში ზმნიზედის მნიშვნელობით გვხვდება ზედსართავი **კარგი/კაი**: **კაი** (კარგად) ირეცხვოდა, ლამაზი სული ექნებოდა; **კაი** (კარგად) ვიჟავით.

ზემო და ქვემო აჭარულთან მიმართებით ქობულეთურ კილოკავში ზმნიზედები რიგ თავისებურებებს გვიჩვენებს. თვალშისაცემია ზემო და ქვემო აჭარულისათვის ნიშანდობლივი -ში და -ზე თანდე-

ბულდართული ადგილის ზმნიზედები (აგზე, იგზე; აქში, იქში). იგი უჩვეულოა სხვა დიალექტებისათვის. აღნიშნული ზნიზედები მხოლოდ **აქ//აქა// აქანად** ფორმით გვხვდება ქობულეთურში; **აქანად** კაცი მუუკლია; **იქანად** დავჭექით; **აქა** ჭამდა, **აქა** სმიდა; იქა ჩაჭრილა; ხასანა? იქ დარჩენილა; **იქ//იქა//იქანად** ფორმით გვხვდება, რაც გურულთან სიახლოვითაა შეპირობებული.

ასევე უცხოა ქობულეთურისათვის ზემო აჭარულისთვის ნიშან-დობლივი „**შით**“ (**შიგ// შიგან**) ზმნიზედა. ეს უკანასკნელი „**შით**“ ფორმით დასტურდება ქობულეთელ მუჰაჯირთა მეტყველებაში: **შით** ნიგოზს მუამწყრევენ; ფარას ჩადებდენ **შით**.

ქობულეთურ კილოკავში დასტურდება ადგილის ზმნიზედები: **სად, საცხა, საიდან** შდრ. აჭარული: **჌ად, ჌აცხა, ჌აიდან**.

ქობულეთურში დროს გამოხატავს ზმნიზედები: **ეიერს** (ავლის დროს); **ჩამეიერს** (ჩამოვლის დროს); **გვიერს** (გავლის დროს) შდრ. აჭარული: **გაგლად, ავლად, ჩავლად**.

## ცირა ჯანჯღავა (თბილისი)

### დო „და“ კავშირი მეგრულ იდიომებში

როგორც ცნობილია, იდიომი ჩვეულებრივ უკავშირო შესიტყვებაა, მაგრამ ქართულში გვხვდება **და** კავშირიანი სიტყვათშეერთება, რომელიც იდიომის ძირითად მოთხოვნას — ერთმანეთთან დაკავშირებული სიტყვების მნიშვნელობათა ჭამი არ უნდა უდრიდეს საერთო მნიშვნელობას, უბასუხებს, ამიტომ ასეთი სიტყვათშეერთებაც იდიომად მიიჩნევა (მაგ., ალილო და ხვალაო, მთა და ბარის გასწორება, მზე და მთვარე ამოსდის...). ასეთივე ვითარებაა მეგრულ-ლაზური ენის მეგრულ დიალექტში. შევეხებით რამდენიმე შემთხვევას.

1. **ცა და დიხა** „ორი ძალიან განსხვავებული რამ“, ზედმიწ. „ცა და დედამიწა“: იტყვიან, როდესაც ორ საგანს (აღამიანს, ნიგთს) შორის დიდი განსხვავებაა ( მაგ., ჭიმალეფი მუჭოთ **ცა დო დიხა** თეშ რენა „ძმები ძალიან განსხვავებულები არიან“, ზედმიწ. „ძმები რო-

გორც ცა და მიწა ისე არიან“).

2. ზემოთ განხილული იდიომის მსგავსი მნიშვნელობით გამოიყენება სიტყვათშეერთება **ზღვა დო გვალა** ზედმიწ. „ზღვა დო მთა“ (მაგ., ინეფი ზღვა დო გვალა ჯგუა რენა ზედმიწ. „ისინი ზღვა და მთასავით არიან“).

3. **ბუა დო ღვინიშ აკნაწყორა** „ძალიან ლამაზი, მწყაზარი, თეთრ-ყირმიზი“, ზედმიწ. „რძისა და ღვინის ნაზავი“. ჩვეულებრივ იტყვიან ძალიან ლამაზ ქალზე (მაგ., ნაბეტან სქვამ რე — **ბუა დო ღვინიშ აკნაწყორა** „ძალიან ლამაზია — რძისა და ღვინის ნაზავი“).

4. **ჭა დო ჭუა** „მაგარი, მყარი, მტკიცე; ჭიუტი, უჭიათი“, ზედმიწ. „ხე და ჭვა“ (მაგ., თე სხული **ჭა დო ჭუა** რე „ეს მსხალი მაგარია, ჭვასავითაა“; ჟირხოლო ჭიმალეფი **ჭა და ჭუა** რენა „ორივე ძმა ჭიუტია“, ზედმიწ. „ორივე ძმები ჭიუტები არიან“).

5. **ღვა დო თომაშ ტყაბარუა** „შეცხადება, მოთქმა-ტირილი“, ზედმიწ. „ლოყისა და თმის დაკაწვრა“ (მაგ., ბაბუშ ღურა ჭიგეგუნი, თი წუთის **ღვა დო თომაშ ტყაბარუა** ქიდიჭყუ „პაპის სიკვდილი რომ შეიტყო, იმ წუთას მოთქმა-ტირილი დაიწყო“).

6. **ჭოლორ დო კატუცალო** „ძალიან მტრულად, ძალლი-კატასავით“ (მაგ., ასე ჩილ დო ქომინჭი ჭოლორ დო კატუცალო რენა ზედმიწ. „ახლა ცოლი და ქმარი ძალლი და კატასავით არიან“).

7. **ხე დო კუჩინი ბორკილი** „შეეიწროებული, შეზღუდული“. მიუთითებს ადამიანზე, რომელსაც მოქმედების თავისუფლება რაიმე მიზეზით შეზღუდული აქვს (მაგ., მუ აქიმინე, **ხე დო კუჩინი ბორკილი** აფუ ზედმიწ. „რა უნდა ქნას, ხელი და ფეხი შებორკილი აქვს“).

8. **შურ დო გური** „სულისხამდგელი; მეტად ძვირფასი; ალალად, გულიანად“. ეს იდიომი პოლისემანტიკურობით გამოირჩევა (მაგ., ბორია თე საქმეშ **შურ დო გური** „ბორია ამ საქმის სული და გულია“; ე ბაღანა თიშოთ **შურ დო გური** „ეს ბავშვი მისთვის მეტად ძვირფასია“; არძა საქმეს **შურ დო გურით** მეურე „ყველა საქმეს ალალად, გულიანად აკეთებს“ — ამ შემთხვევაში სახელი მოქმედებით ბრუნვაში წარმოგვიდგება).

9. **დღაშ დო სერით** „დღე და ღამე, განუწყვეტლივ“ (მაგ., **დღაშ დო სერით** სვანჯა ვაულუ „დღე და ღამე მოსვენება არა აქვს“; **დღაშ დო სერით** მუშენს „დღე და ღამე (განუწყვეტლივ) მუშაობს“).

ორი უკანასკნელი იდიომი იმით არის გამორჩეული, რომ მათი კომპონენტების ადგილი არ არის მუდმივი — გვხვდება როგორც **შურ დო გური**, ისე **გურ დო შური**, როგორც **დღაშ დო სერი**, ისე **სერ დო დღაში**, რაც იმ თვალსაზრისის სასარგებლოდ მეტყველებს, რომლის თანახმადაც უცვლელი სიტყვათწყობა არ შეიძლება მივიჩნიოთ იდიომის ერთ-ერთ ძირითად დამახასიათებელ თვისებად.

## მარინა ჯლარკავა (თბილისი)

### ისქენდერ ჭითაშის „ჩქუნი ჭარა“

1929 წ. 15 სექტემბერს ქ.სოხუმში დაიბეჭდა ისქენდერ ჭითაშის მიერ შედგენილი ლაზურის სახელმძღვანელო „ჩქუნი ჭარა“, რომელიც ახალი რედაქტირებით სტამბოლში 2012 წელს გამოსცა ირფან ალექსივაშ. წიგნი ვოლფგანგ ფოიერშტაინს მოუპოვებია და შემდგომ გადაუცია ირფანისთვის; სახელმძღვანელოს რუსული ტექსტის თურქულად თარგმნასა და რედაქტირებაში, ტექსტების გამართვასა და გამოცემაში დიდი წვლილი შეიტანეს ნურთენ ქურნაზიმ, ჰასან უზუნჰასანოლიმ, ლაზური კულტურის ცენტრის ერთერთმა დამაარსებელმა მემედალი ბარიშ ბეშლიმ და ირფან ალექსივას მეუღლემ კადერინამ, რომელმაც დააფინანსა ეს გამოცემა.

ისქენდერ ჭითაშის „ჩქუნი ჭარა“ საინტერესოა ისტორიოგრაფიული და ლინგვისტური თვალსაზრისით. ეს გახლავთ ლაზური წერა-კითხვის სასწავლო სახელმძღვანელო, რომელშიც მოცემულია საბჭოთა პერიოდის დასაწყისის ლაზთა ყოფა-ცხოვრების ამსახველი მცირე მოთხოვნები და ლექსები, ძირითადად კოლმეურნეობა „მჭითა ლაზისტანის“ დაარსების, მუშათა და ლეხთა ცხოვრების სურათები.

ლინგვისტური თვალსაზრისით საყურადღებოა ისეთი ლექსიკური ერთეულების შექმნისა და დანერგვის მცდელობა, როგორებიცა: კოლმანი „კოლმეურნეობა“, კოლმანური „კოლმეურნე“, მაგვერდალობა „მონახევრეობა“, თი-გემჩალობა „თავმჯდომარეობა, მართვა“, სოციალიზმი „ოკოდუ „სოციალიზმის შენება“, მჭითა ორდუ „წითელი

არმია“, მაღულიე „მუშა“, მახაჩქალი „გლეხი“, სოვეთიარი „საბჭოთა“ და სხვა.

ავტორს უცდია ლათინური ალფაბეტის ბაზაზე შეექმნა ლაზური ანბანი; ბოლოს დართულია ლაზურ-თურქულ-რუსული ლექსიკონი.

ისეუნდერ ჰითაშის „ჩეუნი ჰარა“ განკუთვნილი იყო სკოლების-თვის, სადაც უნდა ესწავლებინათ ლაზური, როგორც ცალკე ენა. სამწუხაროდ, 30-40-იანი წლების საბჭოთა პოლიტიკის ქარცეცხლს შეეწირა მრავალი ოჯახი, მათ შოროს ლაზებისა; ბევრი მათგანი თურქეთში გადავიდა საცხოვრებლად, ბევრი კი გადასახლეს შუა აზიის რესპუბლიკებში; კოლმეურნეობა „მჭითა ლაზისტანიცა“ დაიშალა და შემდგომში გადაჭიდა კინდლის საბჭოთა მეურნეობად, სადაც ლაზთა ორიოდე ოჯახი შემორჩა.